Гипноз в медицине—91 назв. (кн. и журн.; русск. 1924—1935 гг.).

Геморрагические диатезы—78 назв. (русск. и иностр. 1927—1939 гг.).

Гипертрофия простаты—204 назв. (кн. и журн.; русск. и иностр.. 1931—39 гг.).

Гирудотерапия—31 назв. (кн. и журн.; иностр.: 1935—39 гг-).

Гравидан—78 назв. (кн. и журн.; русск.; 1929—1938 гг.).

Диабет—90 назв. (кн. и журн.; русск.; 1924—1939 гг.).

Диатермия—125 назв. (кн. и журн.; русск.; 1934—1939 гг.).

Диатермия—лечение язвы жел. и двенадцатип. кишки—25 назв. (кн журн.; русск. 1924—39 гг.).

Желудок-перфорация—92 назв. (журн. ст. русск и иностр.; 1929—1938 гд.).

Женские болезни—грязелечение—20 назв. (журн. ст. русск. 1935-38 гг.)

Жировой обмен—85 назв. (кн. и журн.; русск. и иностр.; 1925—1939).

Инородные тела—49 назв. (кн. журн.; русск. и иностр.; 1924—39 гг.).

Ишиас—30 назв. (журн. иностр.; 1931—1939 гг.).

Кислотно-щелочный обмен—45 назв. (кн.,журн.; русск. 1929—1938 гг.).

Креатин, креатинов. обмен—62 назв. (кн. журн ; иностр.; 1935—39 гг.).

Кровь, свертываемость—50 назв. (кн., журн.; иностр.; 1935—1939 гг.).

Кортин, влияние на полов. органы—26 назв. (журн.; иностр.; 1934—1939 гг.).

Ламблиоз—87 назв. (кн. журн.; русск., иностр.; 1935—39 гг.).

Лизатотерапия—80 назв. (кн. журн.; русск.; 1934—38 гг.).

Марганец—проф. отравление—15 назв. (кн. журн.; иностр.: 1932—1939 гг.).

Матка, перфорация при аборте—77 назв. (кн., журн.; русск., ин.; 1927—38 гг.).

Кровь, микйометод. определения веществ—47 назв. (кн., журн.; иностр. 1935—38 гг.).

Минеральный обмен—70 назв. (кн. журн.; русск.; 1927—38 гг.).

Кровь—мочёвина—89 назв. (кн. журн.; иностр.; 1931—39 гг.).

Нагноения послеоперационные—68 назв. (кн. журн.; русск. иностр.; 1929—38 гг.).

Наркотики, влияние на плод—33 назв. (журн.; иностр.; 1935—38 гг.).

Нервная трофика—25 назв. (журн.; русск.; 1936—38 гг.).

Никотин, влияние на организм—81 назв. (журн.; иностр.; 1934—1939 гг.).

Недержание мочи—49 назв. (журн.; иностр.; 1933—1939 гг.).

Непроходимость кишок—208 назв. (кн. журн.; русск. иностр.; 1926—39 гг.).

Окислительно-восстановит. процессы при беременности и после родов—38 назв. (кн. журн.; иностр. 1934—39 гг.).

Ожоги - лечение—96 назв. (кн., журн.; русск. иностр. 1937—39 гг.).

Паратиф А—43 назв. (кн. журн.; русск.; 1923—36 гг.).

Пеллагра—65 назв. (кн. журн.; иностр.; 1933—39).

Переливание плацентарной крови—74 назв. (кн. журн.; русск., иностр.; 1934—39 гг.).

Пневмококковый перитонит у детей—55 назв. (кн., журн.; русск. иностр.; 1930—39 гг.).

Печень, абсцессы—120 назв. (кн. журн.; русск. иностр.; 1930—39 гг.).

Печень, патологич. изменен. при беременности—43 назв (кн. журн.; иностр. 1935—39 гг.).

Печень, функциональная диагностика—85 назв (кн. журн. русск.; 1924—1935 гг.).

Легкие—абсцессы—85 назв. (кн. журн.; русск. иностр.; 1924—39 гг.).

Plastodium ovale—16 назв. (журн.; иностр.; 1933—36 гг.).

Пластические операции—50 назв. (кн. журн.; русск.; 1935—38 гг.).

Позвоночник, переломы—96 назв. (кн., журн.; русск., иностр.; 1931—39 гг.).

Полиневрит—50 назв. (кн. журн.; русск.; 1930—1939 гг.).

Почки,—опухоли—35 назв. (кн., журн.; русск.; 1939—36 гг.).

Простейшие кишечные—85 назв. (кн. журн.; иностр. 1935—39 гг.).

Пуриновый обмен—31 назв. (кн., журн.; русск.; 1927—39 гг.).

Рак экспериментальный—52 назв. (кн., журн.; русск. 1929—36 гг.).

Раны (регенерация и физиотерапия)—25 назв. (журн. иностр.; 1937—39 гг.).

Ревматизм в детском возрасте—268 назв. (кн., журн.; русск. и иностр.; 1931—39 гг.).

Сердце (функциональная диагностика)—60 назв. (кн., журн.; русск.; 1928—38 гг.).

Синтетические средства—250 назв. (кн. журн.; русск. иностр.; 1929—39 гг.).

Слепая кишка (опухоли)—81 назв. (кн., журн.; русск. иностр.; 1903—1938 гг.).

Слюна (изменения)—68 назв. (кн., журн.; русск. иностр.; 1923—38 гг.).

Свинцовое отравление—100 назв. (кн., журн.; русск., иностр.; 1924—39 гг.).

Спинномозговая жидкость (исследование)—191 назв. (кн., журн.; русск., иностр.; 1929—39 гг.).

Стрептоцид—233 назв. (кн. журн.; иностр.; 1937—39 гг.).

Субфебрилитет—62 назв. (кн. журн.; русск.; 1928—39 гг.).

Тетания—55 назв. (кн. журн.; иностр. 1932—39 гг.).

Травматический невроз—35 назв. (кн. журн.; иностр. 1933—38 гг.).

Туберкулин (терапия)—84 назв. (кн. журн.; иностр. 1902—1910; 1929—39 гг.).

Углеводный обмен—250 назв. (кн. журн.; русск. журн.; 1924—1938 гг.).

Фолликулин (действие на грудную железу)—40 назв. (кн. журн. иностр.; 1932—38 гг.).

Холестериновый обмен—86 назв. (кн. журн.; русск. 1924—1933 гг.).

Шизофрения (лечение кардиозолом)—85 назв. (кн., журн. иностр.; 1935—39 гг.)

Endocarditis lenta—79 назв. (кн. журн.; русск. иностр.: 1925—39 гг.).

Эхинококковые болезни—282 назв, (кн. журн.; русск. иностр.; 1924—39 гг.).

Эмпема в детск. возрасте—143 назв. (кн. журн.; русск., иностр.; 1924—39 гг.).

(ყველა ეს ცნობები შედგენილია ე. ვაჩნაძისა და ბ. ლაპინსკაიას მიერ).

§ 9. საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკას ჯერ არა აქვს სპეციალური ბიბლიოგრაფიული განყოფილება. მიუხედავად ამისა ის უკვე ადგენს **„მუსიკისმცოდნეობის ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას“**, რომლისთვისაც იყენებს თავის წიგნადსა და საჟურნალო ფონდს. „ბიბლიოგრაფია“ გაფორმებულია ჯერჯერობით ანბანურ-საგნობრივი კარტოთეკის სახით და შეიცავს 700-ზე მეტ აღწერილობას. შემდგენელებს განზრახული აქვთ შეავსონ ეს საყურადღებო კარტოთეკა აგრეთვე საქ. კომპოზიტორთა კავშირის ბიბლიოთეკისა და საქ“ საჯარო ბიბლიოთეკის მუსიკალური ფონდების აწერით (-resp. წიგნებისა საჟურნალო სტატიების აწერით). ამ ახალ ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკაში უკვე გახსნილია რუბრიკები—„ქართული მუსიკა, „სომხური მუსიკა“, „რუსული მუსიკა“ და ა. შ. გარდა ამისა, ცალკეულ კომპოზიტორთა სახელების ირგვლივ შეჯგუფებული იქნება როგორც ყველა მათი ნაწარმოები, ისე მთელი არსებული ლიტერატურა მათი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

§ 10. **საქართველოს სახ. წიგნის პალატის ბიბლიოთეკა.** საქართველოს წიგნის პალატის საერთო ბიბლიოგრაფიულ სამუშაოებს სპეციალური სტატია აქვს მიძღვნილი ამ წიგნში. ჩვენ შევეხებით მხოლოდ **პალატის ბიბლიოთეკის** მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკებს, ისიც მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან კარტოთეკებს, რომლებიც, ეჭვს გარეშეა, მიიზიდავს ყველა დარგის სპეციალისტისა და მეცნიერ მუშაკის ყურადღებას. ეს კარტოთეკებია:

1. სსრ კავშირში 1938—1939 წლებში გამოსული წიგნების სრული ანბანური კარტოთეკა; შედგენილია საკავშირო პალატის მასალების საფუძველზე (ნატ. კანდელაკის მიერ).

2. სსრ კავშირში 1939 წელში გამოსულ ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის კარტოთეკა. შედგენილია საკავშირო პალატის „Летопись"-ების საფუძველზე; შეიცავს დაახლოებით 2000 სხვადასხვა დარგის ბიბლიოგრაფიული წყაროს აღწერილობას. (შემდ. ნ. კანდელაკი).

3. თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში არსებული ბიბლიოგრაფიული, საცნობო და ლექსიკოლოგიური ლიტერატურის შეერთებული კატალოგი. შეიცავს 1939 წლამდე საქ. საჯარო, უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და რამდენიმე სხვა ბიბლიოთეკის მიერ მიღებული ლიტერატურის აღწერილობას ზემოთასახელებულ დარგებისა; სისტემატიზირებულია და მუდმივ ივსება სხვა ბიბლიოთეკების აღწერილობებით (შემდეგ.—ზ. იაშვილი).

4. სერია პატარა სპეციალურ კარტოთეკებისა შემდეგ თემებზე: საქ. სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელნიც ბეჭდვით ორგანოებს სცემენ; საქართველოში არსებული სტამბები (ძველი და ახალი); საქ. გამომცემლობანი და სხვ. (შემდ. თ. ნაკაშიძე).

5. ბიბლიოგრაფია ქართულ ენაზე არსებული დამხმარე ლიტერატურისა „საკ. ყ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესასწავლად; 900 სახელწ. 1938—1940 წწ.; სისტემატიზირებულია თავების მიხედვით. (შემდგ. თ. ნაკაშიძე).

ამ წერილში ჩვენ განვიხილეთ თბილისის ათი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული მუშაობა. „მოამბის" შემდეგ წიგნებში განვიხილავთ დანარჩენ ჩვენ ბიბლიოთეკების მუშაობის.

ს. გიორგაძე

უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება საქართველოში

ბიბლიოთეკური მუშაობის სრული გაშლა, ბიბლიოთეკური კადრების აღზრდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი. მანამდე ბიბლიოთეკა აწარმოებდა მხოლოდ წიგნების გაცემა-მიღებას და ბიბლიოთეკის მუშაკის ფუნქცია ამოიწურებოდა მხოლოდ ბიბლიოთეკური მუშაობის მარტივი და სადა ტექნიკის ათვისებით. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბიბლიოთეკა ნამდვილად გახდა მშრომელთა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებად, სადაც მშრომელი იმაღლებს თავის იდეურ-პოლიტიკური განათლების დონეს, ისვენებს კულტურულად, იჩენს ნიჭს, უნარს და შესაძლებლობას კულტურის ფრონტზე.

აქედან ცხადია, რომ მხოლოდ ბიბლიოთეკური მუშაობის ტექნიკის ცოდნა, მით უმეტეს ისეთი მარტივის, როგორიც იგი იყო რევოლუციამდე, სრულებით აღარ არის საკმარისი.

ამას უნდა დაერთოს ის გარემოება, რომ ბიბლიოთეკათა რიცხვიც არაჩვეულებრივი სისწრაფით გაიზარდა და ამ ზრდას იგი ახლაც შეუჩერებლივ განაგრძობს.

ამიტომ ფართოდ გაიშალა მუშაობა ჩვენს ქვეყანაში ბიბლიოთეკართა კადრების მომზადების და გადამზადებისათვის, დაარსდა მთელი რიგი ბიბლიოთეკური უმაღლესი სასწავლებლები, გაიშალა ქსელი ბიბლიოთეკური ტექნიკუმებისა, რომლებიც შემდეგში ბიბლიოთეკურ სასწავლებლებად გადაკეთდა და სხვ.

მაგრამ დასახელებული სასწავლებლები ვერ ასწრებდნენ სპეციალისტების საკმაო რაოდენობით მომზადებას. ამიტომ ფართო ადგილი დაეთმო მოკლევადიანი კურსების სისტემას. ეს კურსები მიზნად ისახავდნენ როგორც არსებული კადრების გადამზადებას, ისე ახალი კადრების მომზადებას.

საქართველოს სსრ-ში მოკლევადიანი კურსების სისტემა უფრო ადრე იქნა შემოღებული, ვიდრე სპეციალური საშუალო და უმაღლესი ბიბლიოთეკური სასწავლებლები.

თავდაპირველად მოკლევადიანი კურსები მეტწილად უწყებრ
ვი ხასიათის იყო: ესა თუ ის დიდი ორგანიზაცია ან უწყება აწყო
და კურსებს თავის სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკების მუშაკებ
სათვის. ასეთ კურსებს აწყობდა საქ. პროფკავშირთა საბჭო, მ.
ინსპექცია, საქ. საჯარო ბიბლიოთეკა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა მტკიცე სტაბილურ
სასწავლო გეგმები და პროგრამები, ამ კურსებმა საბიბლიოთე
ფრონტს დიდი სამსახური გაუწიეს კადრებით უზრუნველყოფ
საქმეში.

კურსებზე მუშაობის პროცესშივე შეიქმნა კადრი მაღალკვალ
ფიციური ლექტორების, პედაგოგების, რომლებიც ამჟამად დიდ
წარმატებით მუშაობენ როგორც საბიბლიოთეკო ფაკულტეტზე, ი
პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლების განყოფილებებში.

საბიბლიოთეკო განათლებას მყარი საფუძველი ჩაეყარა საბჭ
ლიოთეკო მუშაობის შესახებ საკ. ცაკის 1934 წლის 27/III დადგენილ
ბის შემდეგ, რის საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების განსახკ
მებში ჩამოყალიბდა საბიბლიოთეკო სამმართველოები, რომლებსა
დაეკისრათ ბიბლიოთეკური მუშაობის ხელმძღვანელობა მთელ რეს
პუბლიკაში.

მას შემდეგ ყოველწლიურად, სისტემატურად ეწყობა ერთ
წლიანი საბიბლიოთეკო კურსები, რომლებიც მუშაობენ მყარი, სტა
ბილიზებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით. მა
გრამ საკურსო სისტემა მაინც ვერ უზრუნ
ველყოფს საკმაო კადრებით.

მოკლევადიანი კურსების სისტემა თუ ეფექტურია არსებულ
კადრების გადამზადების, მათი დახელოვნებისათვის, იგი ნაკლე
გამოსაყენებელია ახალი კადრების მომზადებისათვის, რადგანაც ამ
სათვის დათმობილი შედარებით მცირე დრო ისე ვერ უზრუნველ
ყოფს ბიბლიოთეკარის მომზადებას, როგორც სპეციალური სასწავ
ლებელი.

ამის გამო საქართველოს განსახკომის წინაშე დაისვა საკითხ
სპეციალური საბიბლიოთეკო სასწავლებლების შექმნის შესახებ.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგმული იქნა 193
წელს, როდესაც თბილისის პედაგოგიურ სასწავლებელთან გაიხს
ბიბლიოთეკური სექტორი. შემდეგი წლიდან საქართველოში გაიშა
ლა ქსელი პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლებისა, რომლებთანაც
არსებობს საბიბლიოთეკო განყოფილებები.

ასეთი სასწავლებლები, თბილისის გარდა, გაიხსნა ბათუმსა დ

ეთაისში (თბილისის სასწავლებელმა უკვე მოგვცა 2 გამოშვება). ორიგად შეიქმნა ბაზა უმაღლესი ბიბლიოთეკური განათლებისათვის ა ჯერი მიდგა საქართველოში ბიბლიოთეკური უმაღლესი სასწავებლის დაარსებაზე.

1938 წლის ზაფხულში მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტთან გახსნილიყო საბიბლიოთეკო ფაკულტეტი. იმავე წლის აგვისტოში ჩატარდა მისაღები გამოცდები და სექტემბრიდან ამ ფაკულტეტმა დაიწყო მუშაობა.

განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა სასწავლო გეგმის და პროგრამების შედგენა. საქმე ისაა, რომ მანამდე ყველა არსებული საბიბლიოთეკო ფაკულტეტები და უმაღლესი სასწავლებლები ოთხწლიანი იყო. საჭირო იყო სასწავლო გეგმის შედგენა ორწლიანი ფაკულტეტისათვის ისე, რომ არ დარღვეულიყო საბიბლიოთეკო ფაკულტეტების სასწავლო გეგმების ძირითადი სტრუქტურა და ამავე დროს იგი ჩატეულიყო ორი წლის კურსში.

გარდა სპეციალური საგნებისა, სასწავლო გეგმაში შეტანილია ს. წ. საერთო განათლების საგნები. მაგრამ ეს საგნები შერჩეულია ისე, რომ მოგვცენ სპეციალისტი, კარგად შეიარაღებული თავის მომავალ ასპარეზზე მოქმედებისათვის. ამიტომ, სპეციალური და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

საბიბლიოთეკო ფაკულტეტის სასწავლო გეგმა შეიცავს შემდეგ საგნებს: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, სამხედრო მომზადება, მსოფლიო ისტორიის ზოგადი კურსი, სსრკ ხალხთა ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია, რუსული ლიტერატურის ისტორია, მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, რუსული ენა, ინგლისური ენა, სპეციალური საგნების ციკლი: ზოგადი ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაცია, ბიბლიოგრაფია და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა, მკითხველთა მომსახურების მეთოდიკა.

სპეციალური საგნებისათვის (პრაქტიკიანად) დათმობილი საათები შეადგენს მთელი სასწავლო პროგრამის 40%-ს მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ძნელია საზღვრის დადება სპეციალურ და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შორის, რადგან ყველა საგანი, შეტანილი სასწავლო გეგმაში, მიზნად ისახავს—მოგვცეს მაღალკვალიფიციური ბიბლიოთეკარი, მომზადებული პოლიტმასობრივი მუშაობისათვის. ის გარემოება, რომ სასწავლო კურსი ორწლიანია, შე-

უძლებელს ხდის საგნების მეტ დიფერენციაციას. ამიტომ არის, რო საგანში „ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაცია“ გაერთიანებუ ლია ორი საბიბლიოთეკათმცოდნეო დისციპლინა: კატალოგოგრაფი და კლასიფიკაცია, თუმცა უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვა ლოს ამ საგნების ცალცალკე სწავლება. ასევე არ არის ცალკე გა მოყოფილი ბავშვთა მომსახურების მეთოდიკა, საბავშვო ლიტერა ტურის ბიბლიოგრაფია და მთელი რიგი სხვა დისციპლინები.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სტუდენტთა პრაქ ტიკულ ვარჯიშს. მეორე კურსიდან სტუდენტებს ეწყებათ საწარმოო პრაქტიკა. იგი შეიცავს 2 პერიოდს. პირველ პერიოდში, მე-3 სემეს ტრის განმავლობაში, სტუდენტები ჩაბმულნი არიან ე. წ. დაკვირვე ბით პრაქტიკაში. ამ მიზნით სტუდენტები დაყოფილნი არიან ჯგუ ფებად 4-5 კაცის შემადგენლობით და მიმაგრებულნი არიან თბილისი რამდენიმე ბიბლიოთეკაზე. აქ მათ აცნობენ თავის მუშაობას ბიბ ლიოთეკის კვალიფიციური მუშაკები. პრაქტიკას უშუალოდ ხელმ ძღვანელობენ ინსტიტუტის სპეციალური საგნების ლექტორები. პრაქ ტიკის მეორე პერიოდში სტუდენტები სწავლისაგან მოწყვეტილ სხვადასხვა ბიბლიოთეკებში მუშაობენ 2 ექვსდღიურის განმავლობა ში, როგორც მათი მუდმივი თანამშრომლები. ორივე პერიოდში თითოეული სტუდენტის მუშაობა იღებს შეფასებას ნიშნით, რომლი მიხედვითაც იგი დაიშვება შემდგომ მეცადინეობაზე და გამოცდებზე.

უნდა აღინიშნოს ის უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს საწარმოო პრაქტიკას თეორიული ცოდნის გაღრმავება-გაფარ თოებისა და დაკონკრეტებისათვის. ამას თვით სტუდენტებიც აღნი შნავენ. ამრიგად, ბიბლიოთეკები, მათი საუკეთესო მუშაკები, აქტიუ რად არიან ჩაბმულნი ახალი კადრების მომზადებაში, გადასცემენ მათ თავის გამოცდილებას და პრაქტიკულად, თვალსაჩინოდ აცნო ბენ მუშაობის ხერხებს, მის მეთოდებს.

1938 წლის სტუდენტთა მიღებისას საბიბლიოთეკო ფაკულტეტ ზე ჩარიცხულ იქნა 30 სტუდენტი. აქედან სამმა სტუდენტმა სხვა დასხვა მიზეზების გამო სწავლა შეწყვიტა. ამრიგად მეორე კურს ზე ირიცხება 27 სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ ამ რიცხვიდან უმაღლეს სასწავლებელში შემოსვლამდე ბიბლიოთეკაში უმუშავია 5 სტუდენტს, ხოლო დამთავრებული აქვს საპოლიტგანმანათლებლო სასწავლებლის ბიბლიოთეკური განყოფილება 7 სტუდენტს. ამრი გად შემადგენლობის თითქმის ნახევარი—პროფესიით ბიბლიოთეკა რებია.

1939 წელში საბიბლიოთეკო ფაკულტეტზე მიღებულია 5

სტუდენტი. აქედან ბიბლიოთეკებში ნამუშევარი არის 4 სტუდენტი, ხოლო საპოლიტგანმანათლებლო სასწავლებლიდან მიღებულია 6 სტუდენტი.

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს სპეციალური საგნების პროგრამების შედგენა და სწავლების მეთოდიკის გამომუშავება. 1938/39 სასწ. წელში შედგენილი იყო პროგრამები ყველა სპეციალურ დისციპლინებში. გასული სასწავლო წლის გამოცდილების მიხედვით, მიმდინარე წელს, ეს პროგრამები გადამუშავდა და ხელმეორედ დაიბეჭდა. ცხადია, რომ ეს მუშაობა პროგრამების დაზუსტებაზე შემდეგაც გაგრძელდება. რასაკვირველია, მუდმივი შემოწმებისა და გაუმჯობესების პროცესში იქმნება სწავლების მეთოდიკაც.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფაკულტეტის უზრუნველყოფას სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოებით და მასალებით. ამისათვის აუცილებელია საბიბლიოთეკათმცოდნეო კაბინეტის ჩამოყალიბება, რაც ჯერჯერობით არ არის მოწყობილი.

ახლო მომავალში ფაკულტეტი უზრუნველყოფილი იქნება ყველა თვალსაჩინო მასალებით და ხელსაწყოებით, მათ რიცხვში შედის კატალოგოგრაფიის ყველა შემთხვევებისათვის სპეციალურად დამზადებული დიდი პლაკატები ბიბლიოთეკური მუშაობის შინაარსისა და ფორმების მეთოდების შესახებ, წიგნის დამუშავების პროცესების, გაწყობის და სხვა ოპერაციების შესახებ, სანიმუშო ავეჯი, კატალოგები, აბონემენტი და სხვ.

უმაღლესი ბიბლიოთეკური განათლების მაღალ საფეხურზე აყვანისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. როგორც უკვე აღინიშნა, სასწავლო გეგმა საჭიროებს გადამუშავებას და შესწორებებს. აუცილებელია ჩატარდეს საგნების მეტი დიფერენციაცია: საჭიროა კლასიფიკაცია გაემიჯნოს კატალოგოგრაფიას; დაკომპლექტების საკითხებს მეტი ადგილი დაეთმოს ბიბლიოგრაფიის კურსში; საჭიროა ცალკე საგნად გამოიყოს ბავშვთა მომსახურება, რომელსაც დაუკავშირდება ავრეთვე საბავშვო ლიტერატურის საკითხი; ბიბლიოგრაფიის კურსიდან უნდა გამოიყოს წიგნის ისტორია და იკითხებოდეს ცალკე საგნად სათაურით: „ბეჭდვითი სიტყვის ისტორია“, რომელშიც შევა სასტამბო საქმეც.

საჭიროა დაჩქარდეს ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტის ჩამოყალიბება და მისი ლიტერატურის შევსება, ბიბლიოთეკის მოწყობილობის ნიმუშების დამზადება, პლაკატები და სხვ. მანამ კაბინეტი მოეწყობა, აღნიშნული მასალების მომარაგება შეუძლებელია.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის თითქმის ყველა საკითხზე უკვე არის

ქართულ ენაზე მეცნიერული და მეთოდური ლიტერატურა. მაგრამ ჯერ არ არის მთლიანი სახელმძღვანელოები კლასიფიკაციისა, ბიბლიოგრაფიისა, მომსახურების მეთოდიკისა. არ არის აგრეთვე საკლასიფიკაციო ტაბულები.

აუცილებლივ მნიშვნელოვანია კონტინგენტის საკითხიც, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების ძირითადი კადრი, მუშაკები, რომელთაც რამდენიმე წელიწადია დაამთავრეს საშუალო სკოლა და მუშაობენ ბიბლიოთეკებში, კლუბებში და ქოხსამკითხველოებში, ვერ ახერხებენ მისაღებ გამოცდებზე მისვლას. ამავე დროს აღნიშნული მუშაკები ჩვენთვის ყველაზე უფრო საიმედოა, რადგანაც მათ უკვე აქვთ რამდენიმე წლის პრაქტიკა და სურთ უფრო მეტად დახელოვნდნენ თავის საქმეში—მიიღონ უმაღლესი განათლება. მიზანშეწონილია, რომ მათთვის ყოველწლიურად მოეწყოს მოკლევადიანი მოსამზადებელი კურსები უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისათვის. ეს ღონისძიება საბიბლიოთეკო ფაკულტეტს შესძენს შერჩეულ კონტინგენტს.

საბიბლიოთეკო ფაკულტეტს დაკისრებული აქვს ფრიად სერიოზული ამოცანა: მოამზადოს კვალიფიციური კადრები ბიბლიოთეკებისათვის, რომელთა რიცხვი მე-3 ხუთწლედში თვალსაჩინოთ გაიზრდება, გაიზრდება აგრეთვე მუშაობის მოცულობაც.

ცხადია, რომ ამ ამოცანას ინსტიტუტი შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დაეხმარება მთელი ბიბლიოთეკური საზოგადოებრიობა, ფართოდ გაუღებს სტუდენტებს ბიბლიოთეკების კარებს პრაქტიკისათვის და გადასცემს მათ იმ დიდ, მდიდარ გამოცდილებას, რომელიც ჩვენ ბიბლიოთეკარებს აქვთ მიღებული თავის ხანგრძლივი სასარგებლო მუშაობიდან.

ვლ. კახიანი

ნარკვევთხრობითი ანოტაცია

1

ანოტაციის საკითხი იყო და რჩება ყველაზე რთული და თავსატეხი პრობლემა ორგანიული ბიბლიოგრაფიის სისტემაში [1]. კულტურის წინსვლამ მეცნიერების და ხელოვნების უაღრესად გადიფერენცირება—სპეციალიზაციამ უდიდესი სიმკვეთრით და გარკვეულობით დააყენა საკითხი ისეთი გზების და საშუალებების დაძებნისა, რაც წიგნის წაუკითხავად გააადვილებს მისი შინაარსის ზოგად კონტურებში გათვალისწინებას.

ანოტაცია საზოგადოთ, როგორი სახითაც არ უნდა გაკეთდეს იგი, რა თქმა უნდა, მაინც უძლურია სისრულით მოიცვას ყველა იმ საკითხების კომპლექსი, რომელიც ჩვეულებრივ წიგნშია წარმოდგენილი. მაგრამ მკითხველს აქვს უფლება მოითხოვოს ანოტაციის ისეთი ფორმის გამომუშავება, რომელიც მას ახლოს გააცნობს წიგნის შინაარსს, უჩვენებს იმ ჩონჩხს, რაც წიგნის არსებით ნაწილს შეადგენს. თეორიულ ბიბლიოგრაფიაში მიუხედავათ მრავალგზისი ცდებისა დაედგინათ ნაჩვენები სახის ანოტაციის ფორმა, რაც ჯეროვნად უპასუხებს მკითხველთა ინტერესებს—ჯერხნობით შეუსრულებელი რჩება. მკითხველს აწვდიან ისეთ ხასიათის ცნობებს, როგორიცაა ავტორის ვინაობის, წიგნის ილუსტრაციების და ნახაზების რაოდენობის წინასიტყვაობის და სხვა მაგვარ ელემენტებზე. გვერდს უვლიან ბიბლიოგრაფიული ანოტაციის ისეთ გადამწყვეტ მნიშვნელობის შემცველ მოვლენებს, რასაც წიგნის შინაარსის ზოგად ხაზებში გამოვლენა-გამომჟღავნება ეწოდება.

ხშირად ბიბლიოგრაფიის თეორეტიკოსები სიტყვიერად არ უარყოფენ წიგნის შინაარსის გადმოცემა-დალაგებას, მაგრამ პრაქტიკაში მხოლოდ თემის ჩვენებით კმაყოფილდებიან და ამრიგად შედეგში დეშიფრაციამდე, ანოტაციის უმარტივეს ფორმამდე და-

[1]) ორგანიულ ბიბლიოგრაფიის შესახებ ჩემი წერილი: „ბიბლიოთეკათმეცნიერების საგანთა სისტემისათვის". იბეჭდება „საქ. სახ. საჯ. ბიბლიოთეკის შრომათა" მე-5 წიგნში.

ყავთ თავიანთი საქმიანობა [1]). დეშიფრაცია, რამდენადაც მას შინაარსთან აქვს საქმე ჩვენ ანოტაციად მიგვაჩნია ისე, როგორც ატომი ფიზიკური სხეულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ვინ არ იცის რომ მათი ღირებულება მათივე სიდიდით არის შეპირობებული.

რა იწვევს მკითხველთა უკმაყოფილებას? ბიბლიოგრაფს რა უშლის ხელს წაიკითხოს მკითხველთა მოთხოვნილებათა შეხვედრაზე?

არსებული გაუგებრობა ორ გარემოებაში უნდა ვეძიოთ. ერთნი გრძნობენ ამოცანის სიძნელეს წესიერი ანოტაციის შედგენის სახით და ამიტომ ბუნებრივად იოლად წასვლის გზას ირჩევენ, თემის ჩვენების თხზულების დასკვნა, დებულებების მოყვანის საშუალებით. მათ ჩინებულად იციან, რომ წიგნის წინასიტყვაობის სარჩევის რეზიუმეს და მასზე არსებული ლიტერატურის სახელდახელო გადათვალიერებით ადვილად, 15—20 წუთის განმავლობაში ამოიკრიფება აღნიშნული ცნობები. სინამდვილეში, ანოტატორს, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს წიგნის შინაარსზე, საეჭვო ღირსების მანიპულიაციებით უძლურია რაიმე ახალი, ღირებული მიაწოდოს მკითხველს.

სრულფასოვანი ანოტაციის შედგენა მართლა საკმაოდ რთული საქმეა. ამ გარემოებას გრძნობენ არამარტო სევერჯი, ფომინი, შამურინი, კიპერმანი და სხ., რომელნიც ახლო იცნობენ ამ საკითხს, არამედ შედარებით სხვა სფეროში მომუშავე ავტორები. „საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს ანოტაციაში ისეთი მასალის შეტანა, რომელიც წიგნის შინაარსს ახასიათებს"—ამბობს მანსუროვი [2]). „რეფერატი მოითხოვს დიდი დროის დახარჯვას და საფუძვლიან ცოდნას იმ საგნისა, რაზედაც რეფერატს ვაკეთებთ ამიტომ მიუცილებლად საჭიროა სიფრთხილე ანოტაციის შედგენის რეფერატიულ მეთოდისადმი" დასძენს ზდობნოვი (იხ. ნ. ვ. ზდობნოვი „სამხარეო ბიბლიოგრაფიის საფუძვლები" მოსკოვი-ლენინგრადი, 1931 გვ. 72) რუს. ენაზე და ა. შ.

ბიბლიოგრაფოს თეორეტიკოსთა მეორე ნაწილი ტყვეობაში ყავს იმ ტრადიციულად განმტკიცებულ ჩვეულებას, თითქოს ანოტატორის მთავარი ამოცანა თხზულების მხოლოდ თემის და დასკვნა დებულებათა ჩვენება იყოს საკმარისი და არა იმ არსებითი ელემენტების გამომჟღავნება, რაც მასშია მოქცეული.

თავდაპირველად ანოტაცია, როდესაც სქედოგრაფიულ კატალოგრაფიულ ნაწილიდან ახლად იყო გამოყოფილი, მართლაც ამ

---

[1]) იხ. ჩემი ნარკვევი: „ანოტაციის საგნის საკითხისათვის" „საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები" წიგნ. IV ტფ 1938 გვ. 98—112).

[2]) იხ. ჟურნ. „Советск. библ". 1933 № 1-3 გვ. 113.

ამოცანების იქით არ მიდიოდა მისი დანიშნულება. მაგრამ დღეს ამით შემოიფარგლა უკვე არ ეთანხმება მისი განვითარების პირობებს. მეცნიერების თავბრუდამსხმელი სისწრაფით წინსვლამ ანოტაციას ახალი საპატიო მოვალეობა დააკისრა, სახელდობრ იყოს არამარტო გზამკვლევი ურიცხვ ლიტერატურის ლაბირინტში, არამედ მოკლედ აჩვენებდეს იმ შინაარსისა, რაც მის არსს შეადგენს. ანოტატორი, რომელიც გვერდს უვლის ბიბლიოგრაფიის მთავარ ამოცანებს და ზოგად ბრძნობასა და ფილოსოფოსობაში ხედავს თავის საქმიანობას, ამაოდ დამაშვრალობს და ვერაოდეს ვერ მოიპოვებს პატივისცემას, პოპულარობას, მკითხველთა შორის. ანოტაციაში დასკვნა დებულებანი შინაარსთან შედარებით დაახლოებით იმ პროპორციაში უნდა იქნეს წარმოდგენილი, რა მიმართებაშიაც დაცულია ისინი უშუალოდ თვით წიგნში. (პედაგოგიური რეკომენდაციული ანოტაციის გამოკლებით, სადაც გარკვეული მიზანდასახულების გამო ორივე მომენტი: შინაარსი და მასზე არსებული ფარული კრიტიკა თანაბარი ზომით უნდა შეიცვეს).

ლიტერატურის სიმრავლე (სხვადასხვა ენებზე) მათ შინაარსში გარკვევის მოთხოვნილება ბიბლიოგრაფოსისათვის აუცილებელს ხდის ყურადღების ცენტრის შინაარსის გამოვლენისაკენ გადატანას. შინაარსის წინწამოწევა სრულიად არ გულისხმობს უგულვებელყოფას დასკვნა დებულებათა, თემის აკადემიურ თუ სხვა მომენტებისა, პირიქით მათ გარეშე ემპირიული მასალა ბრმაა, ისე როგორც შინაარსის გარეშე ფორმა ცარიელია, მაგრამ მათ შორის აუცილებელი არჩევანის გაკეთების შემთხვევაში სასურველია ფორმის ნაწილობრივ განწირვა შინაარსის შედარებით გადარჩენის მიზნით. ეს მით უფრო, რომ შინაარსის უბრალო გადმოცემაშიაც არ ისპობა შესაძლებლობა მარქსისტულ-ლენინურ მსოფლგაგებით და შეგრძნობით ლოგიკური მახვილები გარკვეული მიმართებით იქნას გადატანილი, გამოხატული და ამგვარად იდეოლოგიურ-კლასობრივი სიფხიზლე ბოლომდე თანმიმდევნოთ შენარჩუნებული. ბიბლიოგრაფოსს ურყევად და მტკიცედ უნდა ქონდეს აღებული ორიენტაცია წიგნის შინაარსზე, თუ არ სურს მას ანოტაციამ დაკარგოს ის ცხოველმყოფელი ძალა, რაც მას, როგორც ერთგვარ შემაერთებელ რგოლს, ევალება დაამყაროს უწყვეტელი კავშირი წიგნსა და მკითხველებს შორის.

2

აღწერითი და რეფერატიული ანოტაცია

მრავალი სახის ანოტაცია არსებობს საზოგადოდ. თვითეულ

ავტორს ანოტაციის ფორმათა რაოდენობა თავისებურად აქვს განსაზღვრული და განმარტებული. მათი სახეთა სიმრავლე ჩვეულებრივ გამოწვეულია საკითხის იმ სირთულით და მრავალსახიანობით, რომელთანაც ანოტაციას საერთოდ აქვს საქმე. გარკვეული თემა და საგანი ადექვატური ფორმის ანოტაციას მოითხოვს. არსებობს ლიტერატურა, სადაც დეშიფრაციული ანოტაცია ადვილად სწყვეტს დასახულ ამოცანას და მის განვრცობას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. აგრეთვე არის სფერო, სადაც 300—600 ბეჭდვურ ნიშანში ადვილად ანოტირდება თხზულება. ამაზე უფრო გაშლა ანოტაციისა სიმოკლაციის და უბრუნველობის დანერგვის საფრთხეს ქმნის მოსწავლე ახალგაზრდობათა შორის. [1])

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანოტაციის იმ ფორმას, რომელიც შინაარსის გამომჟღავნებას ისდის თავის მთავარ საგნად. ამ მხრივ ორი სახის—აღწერითი და რეფერატიული ანოტაცია განსაკუთრებით ებრძვის, ეცილება ერთმანეთს. პირველი—თავის ამოცანად თხზულების შინაარსის გადმოცემას აცხადებს ცენტრალურ ამოცანად. მას მოელენათა გადმოცემის ორი გზა გააჩნია. იმ შემთხვევაში, როცა წიგნის შინაარსი ყველგან, თანაბრად ერთნაირი ღირებულების შემცველია ე. წ. უნივერსალური ტიპის აღწერითი ანოტაციას ირჩევენ; პირიქით, როცა თხზულებაში აღძრულ საკითხთა, მხოლოდ ერთი ნაწილი, გარკვეული მხარეა გადმოსაცემი-ე. წ. სპეციალურ თემატიურ დესკრიპციულ ანოტაციას (ე. შამურინი. „ბიბლიოგრაფიული მუშაობის მეთოდიკა". მოსკოვი, 1933, გვ. 209, რუსულ ენაზე).

რეფერატული ანოტაცია აღწერითი თხრობითი მომენტის გვერდით ავტორის მიზანს, საგნის კვლევითი მეთოდს, თხზულების იდეურ მსოფლმხედველობას, აკადემიურ მხარეს, თუ დასკვნა დებულებათა გამორკვევას ანიჭებს წამყვანი ადგილის როლს.

შედარებით მცირე მოცულობაში (შამურინი ამ ზომას 300—400 ბეჭდვურ ნიშნით განსაზღვრავს (?! ვ. კ.) ანოტატორს ევალება ნაჩვენებ ნიშნების მიხედვით არა მარტო აღწეროს თხზულების შინაარსი, არამედ ზუსტად, ლაკონიური მოკვეთილობით, წინადადებათა კომპაქტური აგებით დაალაგოს მისი დედაარსი.

დიდი აზრთმახვილობა არაა საჭირო ადვილად მიეხვდეთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ამოცანა განუხორციელებელი რჩება. ანოტა-

[1]) იხ. ჩემი: „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები" ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი ანოტაციებით. ტფ., 1937.

ციის ორ მომენტიდან დალაგება და აღწერიდან უკანასკნელი სავსებით იკარგება ანოტაციის სტრუქტურაში და ამრიგად ხელთ გვრჩება უსულო, შინაარსისაგან დაცლილი ცარიელი სქემა, რომლის ღირებულება ძალზე მცირეა.

საილუსტრაციოთ მოვიყვანოთ თვით შამურინის მიერ შედგენილი და სანიმუშოდ მიჩნეული რეფერატი ერთ წიგნზე (ლ. რაევსკის „პეტრაშეველების სოციალური მსოფლმხედველობა"), რომელსაც ავტორი შემდეგნაირად აგებს: „პირველად წყაროებზე დამყარებული, მემუარებსა და სასამართლოს საქმის მასალებზე, მარქსისტული გამოკვლევა ეპოქის ეკონომიკისა, კლასობრივი ფესვებისა, ფილოსოფიური სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ მსოფლმხედველობისა. პეტრაშეველების შემდგომ ევოლუციას მიყავს დასკვნამდე, რომ ისინი გამოსულნი არიან 20—40 წლების კრიზისით განადგურებულ წვრილ მემამულე აზნაურთა წრიდან და წვრილი ბურჟუაზიული იდეოლოგები იყვნენ კაპიტალისტური განვითარების გზაზე მდგომი რუსეთისა, რაც სასარგებლო იყო გაღატაკებულ აზნაურთათვის. თანდართულია რიგი დოკუმენტებისა, სახელების მაჩვენებელი". მოცემული ანოტაციის ანალიზის დროს პირველი კითხვა, რომელიც ბუნებრივად იჩენება-ეს არის სურვილი ცოდნისა, თუ სახელდობრ რა მასალის ნიადაგზე აკეთებს რაევსკი აღნიშნულ დასკვნებს. სწორეთ ამ საფუძვლის საცნაურყოფა არის მთავარი მკითხველისათვის და არა იმ დასკვნებისა, რომელიც წიგნის სახელდახელოთ გადათვალიერებით ადვილად მიიღება (წიგნის წინასიტყვაობის და ბოლო დასკვნითი ნაწილიდან). ბიბლიოგრაფოსს აქ პირველ რიგში შინაარსის დამახასიათებელი მომენტების, თუნდაც მარტივი აღრიცხვითი გზით შეეძლო სასარგებლო სამსახური გაეწია მკითხველისათვის, რადგან ნაჩვენები ცნობების მიღება წიგნის დაკვირვებული ჩაკითხვის გარეშე სავსებით წარმოუდგენელია. ბიბლიოგრაფოსის მოვალეობაც ის უნდა იყოს მკითხველს ეფექტურად, რეალურად დაეხმაროს სიძნელეთა დაძლევაში. ბევრი ანოტაციას იმდენად ზოგად განყენებული ფრაზებით აღგენს, რომ ის ათეულ, ასეულ წიგნს შეიძლება მოემსახუროს როგორც უბრალო საერთო რუბრიკი. ანალოგიური მოსაზრებანი ანოტაციების გავრცელება სერიოზულად იწვევს ეჭვებს ანოტაციის საკუთარი გზიდან აცდენა ხომ არ მომდინარეობს მისი ამოცანების მცდარი გაგებიდან. ვერც მშრალად აღწერითი ანოტაციას შეუძლია გადასწყვიტოს არსებული ამოცანა. შინაარსის შედარებით ობიექტური გადმოცემის მეთოდი, რომელსაც ის ემყარება, არ არის საკმარისი. ანოტაციაში დალაგე-

ბითი ელემენტის ელიმინაცია—მხოლოდ ემპირიული მასალის გროვას გვაძლევს და ამგვარად ანოტაცია უსრულო, დაუმთავრებელი რჩება. რა თქმა უნდა არის შემთხვევები, სადაც ანოტაციის ეს ორი სახე სათანადოთ ამართლებს თავის მიზანდასახულებას, მაგრამ თუ წარსულში ასეთ შემთხვევათა რიცხვი თითქმის ზღვარდაუდებელი იყო, დღეს მათი სამოქმედო სფერო საგრძნობლად შემცირდა. შექმნილი მდგომარეობა შინაგანის აუცილებლობით აყენებს საკითხს სათანადო ანოტაციის ფორმის გამომუშავებისა, რომელიც მოქნილად, შედარებით სიზუსტით შეითავსებს ბიბლიოგრაფიისათვის ყველა იმ ელემენტებს, რომელთა დაცვა თანამედროვე მეცნიერების განვითარებით არის ნაკარნახევი. ეჭვს გარეშეა, მდგომარეობისა და საერთოდ კულტურული ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით ბიბლიოგრაფიის ამოცანები მნიშვნელოვანად შეიცვალა. თხზულების შინაარსის, ვერც დედაარსის გარეშე აღწერა და ვერც მარტოოდენ შინაარსს დაცლილი დედაარსი ვერ აკმაყოფილებს ჩვენი საბჭოთა მკითხველის მზარდ კულტურულ მოთხოვნილებას. დასასრულ, ვერც ამ ანოტაციათა ფორმების ეკლექტიკური შეერთება გვაძლევს გასაღებს ახალ გზაზე გამოსასვლელად. იმისათვის, რათა ანოტაციამ დროის მიერ წამოჰრილ მოთხოვნილებებს ჯეროვანად უპასუხოს, საჭიროა სერიოზული მოფიქრებული კვლევითი მუშაობის ჩატარება არსებულ მოთხოვნილებათა და ამოცანათა შესასწავლად.

3

ნარკვევთხრობითი ანოტაცია

მოცემული ანალიზის შემდეგ ჩვენ ვცდით წამოვაყენოთ ორგანიული ბიბლიოგრაფიის ერთი ახალი ფორმა, რომელსაც ნარკვევთხრობითი ანოტაცია გვინდა ვუწოდოთ.

ნარკვევთხრობითი ანოტაცია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურისადმი გამოიყენება. ის გარკვეული ნიშნის და საზრისის მიხედვით გულისხმობს თხზულების შინაარსის თხრობა-გადმოცემას. საყურადღებო მოვლენების კონკრეტული ფაქტებით გამოვლენას, მეორე ხარისხოვან მოვლენათა, მხოლოდ სათაურებრივი (თეზისური) უბრალო დასახელებათა სახით აღნიშვნას. ანოტაციის სტრუქტურასა და ორგანიულ წყობაში პროჟექტორული სხივი შინაარსის არსებით მომენტებს ეცემა. ნაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენები ამ შემთხვევაში ერთგვარ ჩრდილშია მოქცეული, ისე, რომ მისი არსებობა მაინც იგრძნობა მკითხველთათვის.

ნარკვევთხრობითი ანოტაცია დაახლოებით სამი ათას—ხუთი

ათას ბეჭდვური ნიშნით ისაზღვრება. ის უაღრესად პრაქტიკული გამოყენებითი და ცოცხალ კონკრეტული შინაარსით ივსება. მისი მოცულობის ცხრა მეათედი აღწერითი თხრობითს ფაქტებს უჭირავს; ერთი მეათედი კი ავტორის თვალსაზრისს, მისი შრომის მთავარი დასკვნების იდეოლოგიურ აკადემიურ მხარის დალაგება-კვალიფიკაციას.

თვით კომპოზიტური ტერმინს „ნარკვევთხრობითს“ შემთხვევით არ ვარჩევთ ჩვენს მიერ შემოღებულ ანოტაციას, ნარკვევის ქვეშ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბიბლიოგრაფოსის უფლება გარკვეულ ასპექტში შინაარსის გამოყოფისა, კომბინირებისა, დალაგებისა. ცნება ნარკვევი ადვილად ითავსებს აგრეთვე დასკვნითი მსოფლმხედველობითი მომენტს, რის გამო ის ამ უკანასკნელზედაც დაუბრკოლებლივ შეგვიძლია განვავრცოთ. რაც შეეხება სიტყვის მეორე ნაწილს „თხრობითს“ ჩვენ მას სპეციფიკური გაგებით ვიღებთ მასში მხოლოდ კონკრეტული ფაქტების და მოვლენების გადმოცემას ვგულისხმობთ, ე.ი. ნარკვევთხრობითი ანოტაცია წარმოადგენს თხზულების შინაარსის გარკვეულ განაკერში კონკრეტული ფაქტების ვრცელს — და ნაკლებ მნიშვნელოვან ნაწილში სათაურებრივ გადმოცემა აღრიცხვას, სათანადო მსოფლმხედველობრივი დასკვნითი ელემენტების შეტანით. ის განსაკუთრებით გამოყოფს მეცნიერული შრომის იმ ნაწილს, რაიც ორიგინალური თავისებურების და აღმრჩენითი სიახლით არის აღბეჭდილი.

ნარკვევთხრობითი ანოტაცია ძირითადად ემორჩილება იმ წერითი ნორმებს, რომელსაც ბიბლიოგრაფიული ანოტაცია დიდი სიმკაცრით და თანმიმდევრობით ატარებს თავის სფეროში (მოკლე, სხარტი, ლაკონიური გამოთქმა აზრისა, წინადადებათა კომპაქტურად აგება. უკუგდება: ფიგურალური და მხატვრული ფრთოვანი გამოთქმებისა, პოლემიკა ავტორთან და სხვა).

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში აირჩევს კონკრეტული სინამდვილის შესაბამად თავისუფლად იმოქმედოს. ნარკვევთხრობით ანოტაციას გააჩნია მთელი რიგი პირობით ნიშანთა და გამოთქმათა საშუალება ფარულ კრიტიკულ ფორმაში გადმოსცეს ავტორის მართებული თუ მცდარი შეუსაბამო აზრები. მაგალითად ავტორი ამბობს ასე (sic!) [ლათინური სიტყვაა—ნიშნავს ასეა, (დედანში ასეა წარმოდგენილი)]. პრობლემატიური საკითხისათვის (?), უცნაურ შეუსაბამო აზრისათვის (!!), ავტორის უმართებულო აზრის ციტაციის ან ზუს-

ტად მოთხრობისას გამოთქმები: „ავტორი ფიქრობს“, „ავტორმა იცის ან არ იცის“, „ავტორს გონია“—„მიაჩნია“, „თითქოს“ და მისთანანი. მოცემული ნიშნები სათანადოთ მოუმზადებელ მკითხველისათვის კეთილსაიმედო პაროლებია, რათა ადვილად გაერკვეს, თუ სად იწყება ცთუნების და ფეხის წამოკვრის არე.

ბიბლიოგრაფოსისათვის ასეთი „ფართე“ უფლებების მინიჭება მოვლენებში „თვითნებური ჩარევისა“, ერთი შეხედვით შეიძლება ვისმეს გადაჭარბებად ეჩვენოს. ამიტომ ჩვენ საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რათა უკეთ გავერკვეთ, თუ სახელდობრ რა კონკრეტულ შემთხვევებში იჩენს თავს აუცილებლობა ნაჩვენები მიმართულებით, მოძრაობაში მოვიყვანოთ აღნიშნული ინსტრუმენტი.

„თუშებთან შეკითხვაზე, თუ ტომობრივი წარმოშობის მიხედვით ვის ეკუთვნიან ისინი, უკანასკნელნი ალალი გულით თითქოს მოგიგებენ ჩვენ ევროპიდან ვართ მოსულნი“ (sic!) იხ. I. Reineggs Allgemeine historise topographische Beschreibung des Kaukasus. Erst. th. გვ. 181. [1])

ავტორს გონია, რომ იმერულში იმდენი უცხო სიტყვებია შესული, რომ ქართლ-კახელს ძლიერ უძნელდება ან სავსებით ვერ გებულობს მოსაუბრე იმერელის წინადადებათ (!!) იხ. Petzoldt. A. Der Kaukasus Zu Band. გვ. 42, სქოლიო. [მას ფშაველები და თუშები ქართველთა მონათესავე ხალხად მიაჩნია (!) (რატომ არა თვით ქართველებად?! ვ. კ.)] (Stern. Kaukasische Trachten, გვ. 4H).

„მოგზაურ კოხს ძველი ზემო ქართლის პროვინციები: ტაო, ისპირი, დორთომი, პარხალი და სხვა სომხეთად მიაჩნია, კავკასიის სომხეთი ყოფილი ერევნის გუბერნია საქართველოს ნაწილად (!!) იხ. Koch. Reisen pontischen Gebirge und turkischen. Armenien, გვ. 46. მისივე Reise in Grusien am Kaspischen Meere. გვ. 54—55).

კერ პორტერ რობერტს და რაინეგსს კახელები გაქართველებულ ალბანებად მიაჩნია (??!) იხ. Ker Porter Robert. Reisen გვ. 154; Reineggs Allgemeine... გვ. 122 და ა. შ. ზემოდ ხაზგასმული სიტყვები თუ პირობითი ნიშნები თხრობას პოზიტიურ ახრს ართმევს და მათ სისწორეს ეჭვის ან კითხვის ქვეშ აყენებს, ზოგჯერ გადაჭრით აქარწყლებს კიდეც. ყოველივე ეს ხდება ავტორთან პოლემიკის წარმოების გარეშე და ამავე დროს ნაჩვენები ფარული კრი-

[1]) ვაცნობირებ ჩემი დაუბეჭდავ წიგნიდან: „უცხოელები და უცხოური ლიტერატურა საქართველოს შესახებ“, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ბეჭდავს.

ტიკული ფორმით მკითხველს მარჯვეთ და მრავალმეტყველად ვანიშნებთ თხზულების საეჭვო ადგილებზე.

ანოტაციის ფორმები.

ანოტაციის ფორმათა გარჩევის დროს ჩემს წერილში: „ანოტაციის საგანთა საკითხისათვის"-ში თავისებური დეფინიციით და განმარტებით მე ორგანიული ბიბლიოგრაფიის ექვს ფორმას ვიღებდი: დეშიფრაციულს, არაუშუალოს, აღწერითს, რეფერატიულს, კრიტიკულს და რეკომენდაციულ ანოტაციებს. მე დაახლოებით განვსაზღვრე, თუ რა კონკრეტულ პირობებსა და შემთხვევებში რომელი ფორმა გამოიყენება. მათ მე ვუმატებ მეშვიდე სახეს, ნარკვევთხრობითი ანოტაციას ტიპოლოგიურად, როგორც ყველაზე მაღალ სრულყოფილ ფორმას არსებულ შესაძლებელ ანოტაციათა შორის.

რამდენადაც მიზანდასახულება, საგანი და პირობები გარკვეულ შემთხვევაში განსხვავებული რჩება—აღნიშნულ ანოტაციებს ვერავინ წაართმევს არსებობის უფლებას.

მე რეფერატის განსაზღვრებაში, ბოლოდ მცირეოდენი დამატებითი შესწორება შემაქვს, სახელდობრ რეფერატის ექვსი მეათედი დესკრიპციულ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, დანარჩენი ოთხი მეათედი კონცეპციის დალაგებითი მომენტებს. სხვა მხრივ ჯერხნობით ის უცვლელად ინარჩუნებს თავის სტრუქტურას და მოცულობას. ნარკვევთხრობითი ანოტაცია რეფერატთან შედარებით საესებით განსხვავებულ კონსტიტუტიური ნიშნების შემცველია და სულ სხვა საფუძვლებს ემყარება (მათ შორის განსახვავება თავს იჩენს, როგორც მოცულობასა, ასპექტსა, კონსტრუქციასა, ისე ენობრივ სტილისტიურ განასერში).

ერთი შეხედვით ის შეიძლება ვისმეს თხზულების კონსპექტად, რეზუმედ ან რეცენზიად მოეჩვენოს, მაგრამ საკმარისია დაკვირვებით გავსინჯოთ მისი მექანიზმი, რომ მყისვე დავრწმუნდეთ ამ აზრის მცდარობაში. კონსპექტი საზოგადოდ მინიატურულ, დაკუმშულ ფორმაში გვაძლევს დიდ მოცულობაში გაშლილ შინაარსს, რეზუმე კიდევ თავის მხრივ გარკვეულ აზრთა და მოსაზრებათა თავმოყრა დაჯამებებს წარმოადგენს. ის არც რეცენზიაა,—რამდენადაც მოკლებულია ფრთოვან ფიგურალურ გამოთქმათა საშუალებებს ლირიულ გადახვევებს, პოლემიკურ ტონს და სხ. ნარკვევთხრობითი ანოტაციის ზემოდ მოცემულ განმარტებებს თუ მოვიგონებთ ადვილად მივხვდებით, რომ მათ შორის, როგორც რაოდენობით, ისე ხარისხობის მხრივ ზღვარია გარკვეული.

РЕЗЮМЕ

Попытка установить новую форму в органической библиографии—очерково-повествовательную аннотацию.

По своей структуре и конститутивным признакам эта форма аннотации совершенно отличается от всех существующих в настоящее время форм аннотации, а также от рецензии, конспекта и резюме.

Форма очерково-повествовательной аннотации применяется при аннотировании научной литературы и передает конкретными фактами описание существенной части содержания произведения. Менее значительная часть произведения находит свое отражение в виде простого перечня явлений, со включением элемента квалификации и мировоззрения.

Особенно выделяется все оригинальное и новое.

Очерково-повествовательная аннотация лишь в основном подчиняется существующим нормам составления аннотации. Она не критикует явно, и не полемизирует с автором, но при помощи условных знаков и выражений в скрытой форме указывает читателю на сомнительные и слабые места произведения.

$^{9}/_{10}$ очерково-повествовательной аннотации занимает изложение конкретных фактов, $^{1}/_{10}$ уделяется квалификации идейной стороны произведения.

Размер очерково-повествовательной аннотации составляет от 3-х до 5 тысяч печатных знаков. Возникновение очерково-повествовательной аннотации продиктовано чрезвычайным ростом научной литературы и ее специализацией и дифференциацией.

Эта форма аннотации строится на точных, конкретных и живых фактах так, что ограниченный временем читатель может, не читая книги, разобраться в ее содержании. Очерково-повествовательная аннотация представляет из себя высшую и наиболее совершенную из всех возможных форм аннотаций.

შ. დოლაძიძე

ანალიტიკური აღწერილობის ზოგიერთი საკითხი *

ანალიტიკური აღწერილობა მიზნად ისახავს ბეჭდვითი ნაწარმოების დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი ნაწილის თავისებურების გამოვლინებას. ამდენად იგი ნაწარმოების შინაგანი მხარის (ნაწილების) ფორმალური ელემენტების კანონზომიერი რეგისტრაციაა. ამით არა მარტო სრული სურათი გვაქვს ნაწარმოების შიდა შედგენილობისა, არამედ თავი ეყრება ერთისა და იმავე ავტორის სხვადასხვა კრებულსა, ჟურნალსა თუ გაზეთში გაბნეულ მასალას. ამ უკანასკნელს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დამხმარე მასალას, მეცნიერულისა, თუ სათვითგანვითარებო მუშაობისათვის. ასეთი ბიბლიოგრაფიული აღწერილობებისა და სისტემატიზაციის გარეშე შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ საკითხის ლიტერატურაზე. პერიოდული პრესა და კრებულები მრავალმხრივ მასალას შეიცავს და ფართო სურათს წარმოგვიდგენს საზოგადო მოღვაწეთა, სხვადასხვა საგნებისა, საკითხებისა და სხვათა შესახებ.

რამდენად დიდია და მრავალფეროვანი განსაკუთრებით პერიოდული პრესის შინაარსობრივი მხარე, რომელიც სტატიობრივ აღწერილობას საჭიროებს, რამდენად ვრცელია კრებულებისა, შრომებისა, სერიული გამოცემებისა, მრავალტომიანი გამოცემების ფორმა და შინაარსი, იმდენად რთულ ბიბლიოგრაფიულ პროცესს წარმოადგენს ანალიტიკური (სტატიობრივი) აღწერილობა, რომლის მეთოდები და ხერხები ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოყალიბებულად არ შეიძლება ჩაითვალოს: არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი აღწერილობის ელემენტები ლოგიკურის თანამიმდევრობით იყოს დადგენილი და შეწონილ-შეზომილი მისი პრაქტიკულად გამოყენების მოხერხებულობასთან, მკითხველის მოთხოვნილება საროგებლობის სიადვილესთან. ამდენად ბიბლიოგრაფს პერიოდული პრესის სტა-

* იბეჭდება განხილვის წესით.

ტიების აღწერილობისას მოუხდება ანგარიში გაუწიოს ზემოაღნიშნულ მომენტებს, ამასთანავე მასალის შერჩევა და მისი კატალოგიზაცია (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით),—კლასიფიკაცია და ანოტაცია თანაბრად განსაზღვრავენ ბიბლიოგრაფის მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს.

საკმარისია გადავათვალიეროთ ანალიტიკურ—სტატიობრივი აღწერილობები სსრკ-ის სხვადასხვა რესპუბლიკებში, იქნება ეს წიგნის პალატების გამოცემებში, თუ ცალკეულ, სპეციალურად გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ წიგნებში, რომ ჩვენთვის საესებით ნათელი იქნეს ის ნაირგვაროვნება, რომელიც ჟურნალებისა, გაზეთებისა, კრებულებისა და სხვ. სტატიობრივი აღწერილობისას იჩენს თავს. ეს გარემოება მით უფრო გამოკვეთილად ჩანს, რომ ხშირად ერთი და იგივე ორგანო ცვლის აღწერილობის წესსა და ხერხებს წლიდან-წლამდის; მაშასადამე, საკმარისად უხეშად ირღვევა აღწერილობის ის ერთობლივობის წესები, რომლებიც დიდი ხნიდან ბიბლიოგრაფიის საოცნებო საგანს წარმოადგენენ. ამით, ერთის მხრივ, ჩრდილი ეფინება ნაწარმოების, როგორც მთლიანისა, და მისი ნაწილის ინდივიდუაციას, ხოლო, მეორის მხრივ, მეტად საგრძნობ გაუგებრობასა და უხერხულობაში ვარდება მისი მომხმარებელი. დასახელებულის ილუსტრაციას წარმოადგენს, მაგალითად, აღწერილობის ელემენტების განაწილება აბზაცებად, ბეჭდილობის ცნობების აღნიშვნა, აღწერილობის ფორმის (ვრცელი და შემოკლებული) გამოყენება, ელემენტების გაწესრიგება შემოკლებული აღწერილობისას, საერთოდ შემოკლებათა საკითხი და სხვა მრავალი. ამიტომ, ბუნებრივად, ვიდრე ანალიტიკური აღწერილობის წესებს, ზოგადად მაინც, ჩამოვაყალიბებდეთ, ამ საკითხებს შევეხებით.

ა) ა ბ ზ ა ც ე ბ ა დ დ ა ყ ო ფ ა. აბზაცებად დაყოფას საერთოდ ცნებათა, ელემენტების დაქვემდებარება უძევს საფუძვლად; პირველხარისხოვანი. როგორც ნაწარმოების სტრუქტურის, ლოგიკურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე მომხმარებლისათვის, ელემენტები წინ უსწრებს ნაწარმოების მეორეხარისხოვანსა და ა. შ. ბიბლიოგრაფიულ ელემენტებს (ცნობილია, რომ ყოველი ასეთი ელემენტი ნაწარმოების ამა თუ იმ მხარის, მისი თავისებურების კიბურანალიზურ სურათს იძლევა). თითოეული ამ ელემენტთაგანი სათანადო აბზაცში თავსდება თანამიმდევრობით. აბზაცების ამგვარად განაწილებას კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ მომხმარებელი ადვილად გაერკვეს აღწერილობაში, მას, ასე ვსთქვათ, გარკვეული ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს, აბზაცებად დაყოფა თანაბრად

ვრცელდება, როგორც ნაწარმოების მთლიანად, დამოუკიდებლად აღწერილობასა. ისე ანალიტიკურ აღწერილობაზე. ჩვენის აზრით, თუ ასეთი დაყოფა საბიბლიოთეკო კატალოგებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული გამოცემებისათვის არა თუ არ წარმოადგენს აუცილებლობას, არამედ იგი შეიძლება არარაციონალურიც იყოს. მართლაც, ბეჭდურ ნაწარმოებში აბზაცების ვიზუალურ ვითარებას სხვადასხვა შრიფტი თავისუფლად ცვლის; ამაეე შრიფტის გონივრულად გამოყენებისას ცნებათა კიბურიც მტკიცედ მყარდება, ხოლო ამ ნიადაგზე ადგილის ეკონომია ფრიად საპატიო ადგილს იკავებს ყოველგვარ პირობებში, თავი რომ დავანებოთ სხვა მოვლენებს.

თუ აღწერილობებს დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ იგი ორი ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებული ნაწილისაგან შედგება: ცნობები (აღწერილობის საწყისი, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ტექსტი: სათაური, ქვესათაური, ბეჭდილობის ცნობები, კოლაცია), რომლებიც ნაწარმოების პირდაპირი დამახასიათებელია და ცნობები (ანოტაცია და სხვა), რომლებიც ნაწარმოებს არაპირდაპირ ახასიათებენ; ამის მიხედვით, უმჯობესია აღწერილობის ორ აბზაცად დაყოფა, პირველში მოთავსდეს ცნობათა პირველი რიგი მიყოლებით, ხოლო მეორე აბზაცში—ცნობათა მეორე რიგი.

ბ) ა ნ ა ლ ი ტ ი კ უ რ ი აღ წ ე რ ი ლ ო ბ ი ს ფ ო რ მ ა. როგორც ცნობილია, ანალიტიკური აღწერილობის ორგვარი ფორმა არსებობს: სრული, ანუ გაშლილი და შემოკლებული, ანუ გამარტივებული. სრული აღწერილობის ფორმა შეიცავს შემდეგ ცნობებს: აღწერილობის საწყისი, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ტექსტი (სათაური, ქვესათაური, სტატიის ადგილმდებარეობა—სად არის იგი მოთავსებული.—სახელწოდებით, ნაწარმოების გამოცემის ადგილი, დაბეჭდვის წელი, რიგითი ნომერი, რიცხვი და თვე), პაგინაცია.

შემოკლებული ფორმა, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, უფრო მოკლეა ვრცელთან შედარებით; იგი უგულებელყოფს, მაგ., ნაწარმოების გამოცემის ადგილს; ამ უკანასკნელს მხოლოდ მაშინ აღნიშნავს, როდესაც იგი ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანია მსგავსიეე ნაწარმოებისაგან; ნაწარმოების სახელწოდებას ძალზე ამოკლებს; ადგილის შემდეგ იწერება ტომის ან ნომრის სახელწოდება, შემდეგ ორწერტილი დაისმის; გვერდების აღნიშვნისას სიტყვა „გვ." არ იხმარება, თვეების აღნიშვნა კი ინიციალებამდის არის დაყვანილი. წელი მე-20 საუკუნემდის მთლიანად იწერება, ხოლო მეოცე საუკუნე ორი უკანასკნელი ციფრით აღინიშნება, წინ დაეს-

მის აპოსტროფი (ნახე „Расписывание статей периодических изданий". Сост. под руковод. Е. И. Шамурина. М. Гос. центр. книжн. Палата РСФСР. 1932 და ივ. ციციშვილი, „კატალოგრაფია". თბ. 1940, გვ. 213—222).

მიუხედავად „დადგენილი" ფორმებისა, ერთგვაროვნება მაინც არ არის დაცული; გარდა ამისა, შემოკლებული აღწერილობისას ელემენტების განლაგებაც არ არის სწორი. გაშლილი აღწერილობის პრაქტიკა საქ. წიგნის პალატას აქვს წარმოებული. თუმცა მას სხვადასხვა წელში სხვადასხვა გვარად აქვს აღწერილი მასალა, ამასთანავე ელემენტების კოორდინაციაც მხოლოდ ამ ბოლო ხანში გასწორდა. მაგალ.

ორლოვი, პ. წითელი არმიის გმირული გზა [20 წლისთავი წითელი არმიისა] კომუნისტი, № 44, გვ. 2, თებ. 23, 38. (ნახე „გაზეთის სტატიების მატიანე", თბ. 1938. განყ. XIII, გვ. 41, № 979).

იგივე დაწესებულება 1940 წ. შემდეგი სახის აღწერილობაზე გადავიდა:

ბარნოვი, ვ. დიდი მოურავი გიორგი საакაძე (ნაწყვეტი ისტორიული ტრილოგიიდან). ჩვენი თაობა, 1939, № 11, გვ. 5—19. (ნახე „ჟურნალის სტატიების მატიანე", თბ. 1940. განყ, XXIII, გვ. 30).

შემოკლებული ფორმის აღწერილობა შემდეგი იქნება:

ხეთაგური, სვ.

სასკოლო ბაღის მოვლა-პატრონობისათვის. (ახ. სკ-საკენ, 4:19—27,25) (ნახე ივ. ციციშვილი, კატალოგრაფია, თბ. სახელგამი, 1940, გვ. 217).

წარმოდგენილი ნიმუშების გარდა სხვაგვარი აღწერილობებიც გვხვდება. საკვარისია ახლახან მოტანილ ნიმუშებსაც დავაკვირდეთ, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს შემდეგი: სრული აღწერილობის ფორმები მერყეობა, ცვალებადია; სრული აღწერილობა მხოლოდ მიახლოვებით არის სრული და შემოკლებულ, გამარტივებულ აღწერილობებში ზოგიერთი ელემენტი არალოგიკურად არის განლაგებული. საილუსტრაციოდ აღვნიშნავთ, რომ ვრცელი აღწერილობისას არ არის აღნიშნული პერიოდული გამოცემის გვარეობა: „ჟურნ.", „გაზ." არ არის აღნიშნული გამოცემის ადგილი, პირველ მაგალითში №-ის შემდეგ აღნიშნულია გვერდი, ხოლო შემდეგ თვე, რიცხვი და წელი, არ არის შემოკლება გამოყენებული სათანადო ადგილას და სხვა,

ისევე, როგორც შემოკლებულ აღწერილობაში წელი. გადატანილია ბოლოს.

ვიდრე აღწერილობის ელემენტების თანამიმდევრობას შევეხებოდეთ, მანამდის ორიოდე სიტყვა ფორმათა შერჩევა-გამოყენების შესახებ. რომელია ამ ფორმათაგანი უმჯობესი-გამოვიყენოთ ბიბლიოგრაფიული აღწერილობისას. ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ამოცანებთან, რომლებიც დასმულია აღწერილობის წინაშე-არის ეს განკუთვნილი ეიწრო, სპეციალისტთა ჯგუფისათვის, რომელსაც ხშირად საგნის გარკვეული ბიბლიოგრაფია აინტერესებს, მისი ბიბლიოგრაფიული დეტალები კი-ნაკლებად, თუ იგი დოკუმენტის, როგორც დამოუკიდებელი ღირებულების მქონე კულტურის მოვლენას ასახავს მთელი თავისებურებით. ამის მიხედვით, ჩვენის აზრით, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ფორმა (განსაკუთრებით სახელმწიფო ბიბლიოგრაფიულ დაწესებულებაში) უემველად ერცელი უნდა იყოს (სიტყვათა შემოკლება სხვა საკითხია), რადგან ერთ ადგილას მაინც დარჩეს ნაწარმოების სრული ინდივიდუალობის შემცველი აღწერილობა, რასაც გარკვეული კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მან ყოველი „წვრილმანი" უნდა წარმოადგინოს ნაწარმოებისა (მისი ელემენტების შესახებ ნახე ქვემოთ). ამრიგად, ისეთი ბიბლიოგრაფიული დაწესებულებისათვის, როგორიც წიგნის პალატაა, აღწერილობის ერცელი ფორმა უნდა იყოს აუცილებელი, შემოკლებული ფორმა სხვა ხასიათის ბიბლიოგრაფიული აღწერილობებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული—ერცელი ფორმა იქ მიზანშეწონილი არ იქნება თავისი მიზანდასასრულობისა გამო (ამ მომენტს პრინციპული მნიშვნელობა აქვს აღწერილობის მოცულობისას).

საკითხი ისმის, რა ელემენტები და როგორი თანამიმდევრობით შევიტანოთ აღწერილობაში. არსებობს ელემენტთა რიგი, რომლის შესახებ არ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა; ასეთებია: აღწერილობის საწყისი, აღწერილობის ტექსტი და სხვა. მაგრამ ზოგიერთი ელემენტის დაწერილობის ადგილის გაზიარება (მიღებული პრაქტიკით) საძნელოა. ამ საკითხთაგან გამოვყოფთ შემდეგს:

1. ნაწარმოების (გვარეობითურთ) დასახელება, რომელშიაც მოთავსებულია სტატია;

2. გამოცემის ადგილის აღნიშვნა:

3. რიგითი ნომრის აღნიშვნა;

4. გამოცემის წელი;

5. პაგინაცია;

6. შემოკლებათა საკითხი.

ბიბლიოგრაფიულ პრაქტიკაში ხშირად შევხვდებით ისეთ შემთხვევას, როდესაც პერიოდული გამოცემის აღნიშნისას არ ასახელებენ ჟურნალია იგი, თუ გაზეთი. ზოგ შემთხვევაში კი დიფერენცირებული მიდგომაა ხოლმე გაბატონებული. ამ უკანასკნელის დროს ემყარებიან გულისხმობის მომენტს, ან მხოლოდ განმსგავსებულ შემთხვევისას აღნიშნავენ მას. გულისხმობის შესახებ ის უნდა ითქვას, რომ იგი არ შეიძლება გამოდგეს ბიბლიოგრაფიული მუშაობის საფუძვლად, რადგან იგი ფსიქოლოგიური და არა ბიბლიოგრაფიული მომენტია.

ხშირია მაგალითები, როდესაც ერთი და იგივე სახელწოდების ბეჭდვითი ერთეული ხან ჟურნალია, ხან კიდევ გაზეთი (მაგალითად „ივერია", „ლომისი" და სხვ.). ან და ერთ შემთხვევაში იგი აღნიშნავს გაზეთს, მეორე შემთხვევაში კი კრებულს და სხვა. ამას გარდა, თეორიულად ამათუიმ სახელწოდებას თავისი განმსაზღვრული უნდა ახლდეს, როგორც შემადგენელი კომპონენტი; ისიც მივიღოთ მხედველობაში, რომ ასეთი განმარტება ორგანოს ქვესათაურში ყოველთვის არის მოთავსებული. მართალია, ნაწარმოების დამოუკიდებლად აღწერილობის დროს იგი მითითებულია, მაგრამ ნაწილი უეჭველად იზიარებს მთელის კანონებს, ამასთანავე საჭიროა მომხმარებლის გარკვეულობა, როგორც პრაქტიკული პრინციპი, გათვალისწინებული იქნას. ამგვარად, ანალიტიკური აღწერილობის დროს ნაწარმოების წოდების აღნიშვნისას მოხსენებული უნდა იქნას მისი გვარეობა (თუ კრებულია—კრებ.; ჟურნალი—ჟურ.; გაზეთი—გაზ. და ა. შ.). ეს იმ შემთხვევაში არ არის საჭირო, როდესაც ბიბლიოგრაფიულ ორგანოზე განსაზღვრულია პერიოდული გამოცემის გვარეობა (მაგ. „გაზეთის სტატიების მატიანე"... ბიულეტენი,... მოამბე და სხვ.).

ის, რაც ნაწარმოების გვარეობის დასახელების შესახებ ითქვა, საესებით შეიძლება განმეორდეს გამოცემის ადგილის შესახებაც. ადგილი გამოცემისა უნდა აღინიშნოს თუნდაც იმიტომ, თავი რომ დავანებოთ სხვა, გარკვეულ ბიბლიოგრაფიულ საფუძვლებს, რომ ერთი და იგივე გამოცემა ხშირად, მით უმეტეს ჩვენს დროსა და ჩვენს ქვეყანაში, სხვადასხვა ადგილას იბეჭდება; არის ხოლმე შემთხვევა, რომ ერთი და იგივე პერიოდული ნაწარმოები, ხანდახან ერთდროულადაც, სხვადასხვა ქალაქში იბეჭდება, რაც ზემოდასახელებულ მოსაზრებას დამატებით ამტკიცებს.

პერიოდული გამოცემის სტატიის აღწერილობისას, სპეციფიკურობის გამოსავლენად და მეტი გარკვეულობისათვის, აუცილებლად უნდა დაიწეროს თვე (თუ ასეთი აღნიშნულია გამოცემაზე) და ნომერი, რომელშიაც არის იგი მოთავსებული. ეს იმდენად ელემენტარული რამ არის, რომ შემდგომ დასაბუთებას არ უნდა მოითხოვდეს; ოღონდ ეს კია, რომ ნომრის აღნიშვნისას, თუ პერიოდულ გამოცემას კონკრეტული და საერთო ნომრები ახლავს, ორივე უნდა გამოვლინდეს. შემდგომი საკითხი პაგინაციის საკითხია. მართალია, ზოგადად, მის შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობა არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, გაზეთის აღწერილობისას ზოგიერთი ბიბლიოგრაფიული დაწესებულება გვერდებზე არ მიუთითებს (ასეთია საკავშირო წიგნის პალატის პრაქტიკა). ჩვენის ფიქრით, გვერდი არა მხოლოდ სტატიის თავისებური დეტალია, არამედ მას საორიენტაციო, რაოდენობითი მახასიათებლის როლი აქვს დაკისრებული გაზეთის სტატიისათვისაც, ამიტომ იგი უეჭველად უნდა იქნას აღწერილი, მით უმეტეს, რომ ხშირად სტატია გაზეთის რამდენსამე გვერდს მოიცავს. ამ საკითხზედაც ასე მოკლედ მოვჭრათ და გადავიდეთ ზემოთდასახელებული ელემენტების თანამიმდევრობაზე.

ეს ელემენტები სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად განლაგდებოდა. ასეთი განსხვავებულობა არსებობს აღწერილობის ვრცელსა და შემოკლებულ ფორმებში; მაგალითად: ვრცელ ფორმაში, მომეტებული შემთხვევისას, ვთქვათ, მოთავსებულია ჟურნალი, მისი სახელწოდება, გამოცემის წელი, №, თვე, დღის რიცხვი, გვერდთა რიცხვი; შემოკლებულ ფორმაში კი—სახელწოდება, №, გვერდთა რიცხვი, თვე და გამოცემის წელი (ნახე საკავშირო წიგნის პალატის ინსტრუქცია, 1936, გვ. 9; ი. ციციშვილის „კატალოგრაფია“ და საქ. წიგნის პალატის პრაქტიკა—მის გამოცემებში). ამ ცნობების შედარებისას, ნათელია ის ალოგიკურობა, რომელიც ელემენტების განლაგებისას იჩენს თავს. მართლაც და, რა ნიშნის მიხედვით უნდა დაიწეროს, ერთ შემთხვევაში, სახელწოდების შემდეგ წელი, მეორე შემთხვევაში კი სახელწოდების შემდეგ, ნაცვლად წლისა, ნომერი. ასევეა სხვა შემთხვევაშიაც. შემოკლებული ფორმა ხომ იმას არ ნიშნავს, რომ თანამიმდევრობა ელემენტებისა დაირღვეს. შემოკლებული ფორმა ელემენტების გამოშვებასა და შემოკლებას უნდა გულისხმობდეს და არა მათ გადასმას, შეცვლას. აქედან უნდა დავასკვნათ: ელემენტების თანამიმდევრობა ორსავე ფორმაში ერთგვარი უნდა იყოს. როგორ დავალაგოთ იგი? ამისათვის გარკვეული პრინციპით

უნდა ვიხელმძღვანელოთ. ასეთ პრინციპად ჩვენ აღწერილობის ცნობების მნიშვნელოვანება მიგვაჩნია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბეჭდვითი ერთეულის შემადგენელი ნაწილები ერთგვარი ღირებულებისა არ არიან. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს: ზოგს საავტორო, იურიდიული (მაგალ. ავტორი—პერსონალური და კორპორაციული), რომელსაც ნაწარმოების საგნობრივ-შინაარსობრივ ეთარებაში არა აქვს, ასე ვსთქვათ, პირდაპირი მნიშვნელობა (შეადარე ანონიმები); ზოგი ნაწარმოების პირდაპირ სტრუქტურული ელემენტია (სათაური, მაგალითად); ზოგი ნაწარმოების მიზნობრივი ეთარების გამომსახველია (მაგალითად ქვესათაური), ზოგიც ნაწარმოების მოვლენის სადაურობა, როდინდელობას და მისთ. გამოსახავს (ბეჭდილობის ცნობები) და დასასრული,—ზოგიც ნაწარმოებს რაოდენობრივად ახასიათებენ (პაგინაცია და მისთ.). ჩამოთვლილ ცნობათაგან თითოეულს თავისი ფუნქცია აქვს დაკისრებული და მათ ერთურთის შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ ძალუძთ. თითოეული მათგანი ნაწარმოების გარკვეულ მხარეს ახასიათებს. აღნიშნულ ცნობათაგან, ცხადია, პირველმნიშვნელოვანია იურიდიული პირი, რომელიც შემქმნელია ნაწარმოებისა, როგორც „პირველმიზეზი" წიგნის ჩამოყალიბებისა: ნაწარმოები ამ პირის, სუბიექტის აზროვნების, ასახული საგნისადმი დამოკიდებულების ნეოთიერ-სიმბოლიკური გამოსახულებაა. ამდენად, აღწერილობამ პირველ რიგში „ვინ"-ს უნდა გასცეს პასუხი (შეადარე ანბანური კატალოგის—ფართო გაგებით—ამოცანები და მიზნები). მის შემდგომ მიმდინარეობს, უეჭველად, ნაწარმოების სათაურის, როგორც მისი საგნის, თემის, საკითხის შემცველი სიტყვა, ან სიტყვათა ჯგუფი. ხოლო ამ უკანასკნელის ლოგიკურ განმარტებას ქვესათაური წარმოადგენს. ამიტომ ეს სამი ცნობა, მომხმარებლისა და ნაწარმოების ავებულების თვალსაზრისით, პირველი სამი ძირითადი ცნობაა (პირველი ორი—მთავარია). ამ ცნობათა თანამიმდევრობას აქამდის მიჰყვებოდა ე. წ. ბეჭდილობის ცხობები, მაგრამ ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით წიგნის პალატის პრაქტიკაში, ზესათაურმა გაუსწრო მას, ან და სულ სხვა ხასიათის ცნობებმა, რაც, ჩვენის აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი შეცთომაა. მაგალითად, აღწერილობა: ჩიქვანაია ა. ბავშვთა აღზრდის ზოგიერთი საკითხი. (საქ. სსრ პროკურორის მოადგილე). კომუნისტი, 1940, № 3, იანვ. 4 (ნახე: საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის, „გაზეთის სტატიების მატიანე"... 1940 წ. № 1 10 იანვარი, აღწერილობა № 122). ამ აღწერილობაში, სრულებით გაუგებარი და უადგილოა მრგვალ

ფრჩხილებში მოთავსებული ცნობა: საქ. სსრ პროკურორის მოადგილე. ეს ცნობა შენიშვნაში უნდა იყოს მოთავსებული, რადგან ბავშვის აღზრდის ზოგიერთ საკითხთან იგი ოდნავადაც არ არის დაკავშირებული, არამედ ავტორის თანამდებობის აღმნიშვნელია. ასეთივე გარემოებაა ე. წ. ზესათაურის, სერიის აღწერილობისას (ნახე „წიგნის მატიანე," 1940, იანვარი, № 1, გვ. 7, აღწერილ. № 11), სადაც ქვესათაურს მრგვალ ფრჩხილებში მოსდევს დაწყ. და საშ. სკოლის სახ. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი. შემდეგ კი—ადგილი, წელი და სხვა.

ასეთი რამ გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს. პირველ შემთხვევაში თუ აშკარაა ცთომილება, მეორეში ცოტა სხვაგვარადა გვაქვს საქმე. ზესათაური წიგნის შინაარსობრივ-საგნობრივ მხარეს არ გამოხატავს; იგი მისი რაოდენობრივი მახასიათებელია და ნორმალურ შემთხვევაში საავტორო პრეტენზიებიც კი გააჩნია (შეადარე სერიული აღწერილობა), ამიტომ იგი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მისდევდეს სათაურს, ან ქვესათაურს, არამედ რაოდენობითი დახასიათების ორბიტში უნდა მოექცეს. აღნიშნულს გარდა, ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ხერხი ფსიქოლოგიურ უხერხულობასაც იწვევს (ცნობათა გათიშვა, დაცილება), მით უმეტეს, რომ სერია, ზესათაური საერთოა მრავალი ნაწარმოებისათვის. ახლახან დასახელებული გარემოება, მართალია, ანალიტიკური აღწერილობის ფარგლებს სცილდება, მაგრამ ნაწილობრივ მასზედაც ვრცელდება. ამ აღწერილობის შემდგომ უნდა დაიწეროს პერიოდული გამოცემის გვარეობა, სახელწოდება, ადგილი გამოცემისა, წელი, თვე, დღის რიცხვი, № და გვერდი, იქნება იგი გამოცემა საერთოდ ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი. ასეთი უნდა იყოს, ჩვენის აზრით, აღწერილობის ელემენტთა განაწილება-თანამიმდევრობა. პერიოდული გამოცემის წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: აღწერილობისას პერიოდული გამოცემის ის წელი უნდა აღინიშნოს რომელიც უახლესია, რადგან იგი, როგორც პოლიგრაფიული ფაქტი, გარკვეულს წელს იქცა; მისი ადრინდელი თარიღი შენიშვნაში უნდა მიეცეს, როგორც მისი შექმნის პროცესის მაჩვენებელი.

შემდგომი საკითხი, რომელსაც აქ უნდა შევეხოთ, არის რ ე ც ე ნ ზ ი ე ბ ი ს ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. მიღებული ინსტრუქციებითა და სახელმძღვანელოებით, აქამდის რეცენზია აღიწერებოდა იმ პირის მიხედვით, რომლის ნაწარმოებსაც განიხილავდა რეცენზენტი (შეადარე: Е. И. Шамурин, „Алфавитный каталог"... М. Гос. центр. книжн. палата РСФСР, 1932, стр. 313; „Распи-

сывание статей периодических изданий". Составлено под руководством К. И. Шамурина... М. Изд-во Всесоюз. Книжн. палаты 1936, стр. 65 და ივ. ციციშვილი, „კატალოგრაფია"... თბ. სახელგამი, სასწ. პედსექტორი, 1940. გვ. 221). ამ ხერხით რეცენზიას დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებელი ღირებულება. ამასაც რომ თავი დავანებოთ, რეცენზია თავისი მოცულობითაც და დანიშნულებით იგივე სტატიაა, ხანდახან მოზრდილ სტატიაზედაც მეტი; არის შემთხვევა, როდესაც რეცენზია, ან მასზე პასუხი, ცალკე ნაკვეთადაც კი გამოდის. აღწერილობის ხერხების ერთობლიობა, რეცენზიის დამოუკიდებელი არსებობის ფაქტი, და საავტორო მოშენტი მოითხოვს რეცენზია აღიწეროს რეცენზენტზე. ამ მხრივ მართებული ნაბიჯი გადადგა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ (ნახე მისი „გაზეთის სტატიების მატიანე"... 1940, 10 იანვარი № 1, აღწერილობები №№ 129, 130).

ანალიტიკურ-სტატიობრივი აღწერილობის დროს ანოტაციას-დეშიფრაციას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა განისაზღვრება არა მხოლოდ მომხმარებლის გარკვევით სტატიის შინაარსში, არამედ იგი მომავალი თაობისათვისაც ინტერესს შეიცავს. დეშიფრაცია ახსნა-განმარტებას აძლევს ისეთ ცნობას, რომლის შინაარსი მკითხველისათვის თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც გაუგებარია. დეშიფრაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასალის შერჩევისას, მისი რეკომენდაციისას. მაგალითად, 1940 წლის 12 იანვრის „კომუნისტში" № 10 მოთავსებულია „დოკუმინტები წარსულიდან", მომხმარებლისათვის გაურკვეველია რომელ წარსულსა და წარსულის რა პერიოდს ეხება წერილი (წარსული მეტად ვრცელი ცნებაა!). ამიტომ მას საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ ასეთი დეშიფრაცია მისცა: ბათუმის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან. დეშიფრაცია რაკ შეიძლება ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული. მან ყოველ მცირე საყოყმანო მომენტშიაც უნდა გეზი მისცეს მომხმარებელს საორიენტაციოდ. მაგრამ დაუშვებელია მისი ბოროტად გამოყენება. სხვა შემთხვევაში დეშიფრაცია საჭიროა მოწინავეთა, რეცენზიებისა და მისთ. აღწერილობისას. დეშიფრაცია ტეხილ ფრჩხილებში უნდა მოთავსდეს.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი. შემოკლებათა საკითხი მხოლოდ ანალიტიკური აღწერილობის სარბიელს არ მოიცავს; იგი ვრცელდება აგრეთვე სხვა ტიპის აღწერილობებზედაც. ბიბლიოგრაფიულ პრაქტიკაში ამ მხრივაც არ არის ერთიანობა; ამ შემთხვევაშიაც ორ უკიდურესო-

ბას აქვს ადგილი: ან მეტისმეტად სრულ ფორმებს ღებულობენ იმ სიტყვათა, რომელთა შემოკლება შეიძლება, ან, იმდენად ამოკლებენ, რომ ხშირად სპეციალისტსაც უჭირს მასში გარკვევა (შეადარე საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის სხვადასხვა წლის პროდუქცია). შემოკლება, რასაკვირველია, პირობითი მოვლენაა. იგი პირობითი შემოკლებული აღნიშვნაა ამათუიმ სიტყვისა. ასეთი პირობითი აღნიშვნა ყოველგვარ მეცნიერულ შრომას თან ახლავს. ეს სავსებით გასაგებიცაა. ბუნებრივია, შემოკლება გონებრივი შრომის ორგანიზაციის ელემენტია და ისიც უდავოა, რომ მას ამ და სხვა მიმართებითაც სხვადასხვა ეკონომია ახლავს თან (წერა—ბეჭდვისა, ადგილისა, კითხვისა და სხვა).

ზემოთდასახელებული მოსაზრებით, ჩვენის აზრით, შემოკლებანი უეჭველად გამოყენებული უნდა იქნენ განსაკუთრებით ბიბლიოგრაფიული მუშაობისას. შემოკლება გარკვეულად მნემონიკური უნდა იყოს—მომხმარებელი ადვილად უნდა ერკვეოდეს მასში. ამის მიხედვით, დასაგმობია, როგორც შეუმოკლებლობა, ისე სიტყვათა ძალზე შემოკლება (ამ უკანასკნელს ბოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამართლება მიეცეს, თუ ყოველ ნაწარმოებს, რომელშიაც იგი გამოყენებულია, დაერთვის კარგად შედგენილი შემოკლებათა ახსნა, მაგრამ მისი მოხმარების სიადვილეს ვერც ესა სწყვეტს სავსებით. ყოველ შემთხვევაში, ბიბლიოგრაფიულ აღწერილობებში ხმარებული შემოკლებათა ფორმები უეშველად უნდა განსხვავდებოდეს მეცნიერულ შრომებში მიღებული შემოკლებიდან—მათ სხვადასხვა დანიშნულება აქვთ.

ბიბლიოკრაფმა, ჩვენის აზრით, უნდა იხელმძღვანელოს ზევით დასახელებული მოსაზრებებით; მან ამ ორ უკიდურესობაში „საშუალო ხაზი“ უნდა შეარჩიოს. აღწერილობის საწყისსა და სათურში, როგორც წესი, შემოკლება არ არის დასაშვები (ამას მტკიცება არ ესაჭიროება). მაგრამ ე. წ. ქვესათაურსა და სხვა ცნობებში იგი ადვილი და მოსახერხებელია. ამავე დროს დაცული უნდა იქნეს გარკვეული წესი, რომელიც სხვათა შორის, სიტყვათა გავრცელებას უნდა ეყრდნობოდეს. ცნობილია, რომ, ვთქვათ, მრავალ პერიოდულ გამოცემას ორსიტყვიანი სახელწოდება აქვს. მათგან პირველის შემოკლება არ შეიცავს დიდ სიძნელესა და გაუგებრობას: მაგ. საბჭოთა აჭარა, საბჭოთა ოსეთი, საბჭოთა აფხაზეთი, ლიტერატურული საქართველო, ახალგაზრდა კომუნისტი, პარტიული მშენებლობა, ახალგაზრდა ბოლშევიკი და სხვ. მრ. აქედან პირველი სიტყვები თავისუფლად შემოკლდება ისე, რომ აზრი უვნებელი რჩება: საბჭ. აჭარა,

საბჭ. ოსეთი, ახალ. კომუნისტი, პარტ. მშენებლობა, ხოლო: ლიტ. საქართვ. და ა. შ. და მისთ. წლის აღმნიშვნელი რიცხვის შემდგომ წ.-ასო არ უნდა დაიწეროს. ადგილმდებარეობის შემოკლებისას კი საერთო წესი უნდა იქნეს სახელმძღვანელოდ. რესპუბლიკათა ეთნოგრაფიული არსის გამომხატველი სიტყვა (საქართველო, სომხეთი, უკრაინა და სხვა, გარდა რუსეთისა—როგორც საერთოდ გავრცელებული) არ უნდა შეიკვეცოს.

ანალიტიკური აღწერილობის ზოგიერთი საკითხი ამ მოკლე შენიშვნებით უნდა დამთავრდეს. ჩვენ გვგონია, რომ ახლა ნათელია,-ამ აღწერილობაში ყველაფერი რიგზე ვერ არის, ყოველ შემთხვევაში ბევრი რამ გადასასინჯ-დასადგენია. უკვე დროა, შემუშავდეს ანალიტიკურ-სტატიობრივი აღწერილობის სრული ინსტრუქცია, რომელიც უნიფიკაციას მოახდენდა ამ ფრიად მნიშვნელოვანი დარგის წესებისას.

გ. აბაშიძე

საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის საცნობარო—ბიბლიოგრაფიული მუშაობა

საცნობარო—ბიბლიოგრაფიულ განყოფილების ძირითადი დანიშნულებაა—მოემსახუროს პარტიულ, პროფკავშირულ, სახელმწიფო, სამეურნეო და სამეცნიერო დაწესებულებებს, სპეციალისტებსა და საზოგადოდ მკითხველთა მასას ამომწურავი ცნობების მიწოდებით საქართველოში და რუსეთში გამოსული ლიტერატურის შესახებ, სულერთია რა დარგისაც არ უნდა იყოს ეს ლიტერატურა.

განყოფილება ორგანიზებულ იქნა საქ. სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1937 წ. 31 დეკემბერს დამტკიცებული წიგნის პალატის დებულების საფუძველზე. ამ დებულების თანახმად საქ. წიგნის პალატას დაევალა:

1. „ფართო ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მიწოდება ბიბლიოთეკებისა და მოსახლეობისათვის იმ ლიტერატურის შესახებ, რომელიც საქართველოს სსრ-ში გამოდის;

2. ბიბლიოგრაფიულ ცოდნისა და წიგნმცოდნეობის პოპულარიზაცია;

3. საქართველოს სსრ და მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული და მთავრობის ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მომსახურება ბიბლიოგრაფიულ ცნობათა მიწოდებით;

4. საქართველოს სსრ სამეცნიერო ბიბლიოთეკათა ნაკრები კატალოგებისა და გამოცემათა ბიბლიოგრაფიული რეპერტუარის შედგენა, რომელიც გამოსულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქართულ და სხვა ენებზე წიგნის ბეჭდვის შემოღებიდან;

5. წიგნისა და ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდა მკითხველთა ფართო მასებში, გამოფენებისა და ლექციების მოწყობა".

ამ ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანების შესასრულებლად საჭირო იყო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება, რომელსაც მთელი ორი წელიწადი დასჭირდა. მოკლეთ მოუთხრობთ მკითხველს ამ მუშაობისა და მახლობელი პერსპექტივების შესახებ.

განყოფილებამ „უწინარეს ყოვლისა, შეჰქმნა სპეციალური ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიულსა და ბიბ-

ლიოლოგიის სხვა დარგებისა. ბიბლიოთეკა შეიცავს აგრეთვე ენციკლოპედიებს, ლექსიკოლოგიურ და საცნობო ლიტერატურას (სულ რამდენიმე ათას ტომს), რაც დამუშავებულია მთლიანად და აქვს სპეციალური კატალოგები. ბიბლიოთეკა მუდმივ ივსება ქართული, რუსული და უცხოური სპეციალური ლიტერატურით ბიბლიოლოგიურ დარგებისა.

საჭირო იყო პირველ რიგში ქართული წიგნის ე. წ. რეპერტუარის შედგენა, ე. ი. ამომწურავად სრული კარტოთეკისა—პირველ წიგნიდან დაწყებული (1629) დღემდე (1940). ამ მიზნით განყოფილებამ შეადგინა:

1. ანბანური და სისტემატური კარტოთეკა საბჭოთა საქართველოში გამოსული წიგნებისა 1921—1940 წ წ.

2. ანბანური და ქრონოლოგიური კარტოთეკა 1629 წლიდან 1921 წლამდე ქართულ ენაზე გამოსულ წიგნებისა.

განყოფილებამ შეადგინა აგრეთვე შემდეგი სპეციალური კარტოთეკები:

1. მარქსიზმის კლასიკოსები ქართულ ენაზე (**მარქსის, ენგელსის, ლენინისა** და **სტალინის** ნაშრომები).

2. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლასთან დაკავშირებული დამხმარე ლიტერატურის კარტოთეკა, რომელიც სისტემატიზირებულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" თავებისა და ქვეთავების მიხედვით.

3. საბჭოთა კავშირში 1938—1940 წ წ. გამოსული წიგნების ანბანური კარტოთეკა, რომელიც შეიცავს რუსულის გარდა სხვა ენებზე გამოსული წიგნების აღწერილობებს.

4. სპეციალური კარტოთეკა ბიბლიოთეკონომიური და ბიბლიოგრაფიული ლიტერატურისა, რომელიც გამოსულია სსრკ-ში 1939 წ.

5. თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში არსებული ბიბლიოგრაფიული, ლექსიკოლოგიური და საცნობო-საინფორმაციო ლიტერატურის შეერთებული კარტოთეკა, რომელშიც შედის უნივერსიტეტის, საჯაროს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ზოგიერთი სხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდების აღწერილობა.

6. საქართველოში 1937—1939 წ წ. გამოსულ პერიოდულ გამოცემათა კარტოთეკა. ყველა ეს კარტოთეკები მუდმივ ივსება ახალ-ახალი მასალებით.

გარდა ამისა, განყოფილებას შედგენილი აქვს სერია პატარა სპეციალურ კარტოთეკებისა შემდეგ თემებზე:

1. საქართველოს სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელნიც ბეჭდვითი ორგანოებს სცემენ.

2. საქართველოს სტამბები, ძველი და ახალი (1710—1940 წ წ.).

3. საქართველოს გამომცემლობანი და რამდენიმე სხვა წვრილი თემატური კარტოთეკა.

დღეს, ზემოალნიშნული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, განყოფილებას საშუალება მიეცა ფართოდ გაშალოს ბიბლიოგრაფიული მომსახურეობა. გასულ წელს განყოფილებამ გასცა რამდენიმე ათეული წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობა სხვადასხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკებზე, სახელმწიფო ორგანიზაციებზე და სისტემატურად ემსახურებოდა პალატის განყოფილებებს სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული ინფორმაციით. ბიბლიოგრაფიული მომსახურება ამიერიდან უფრო ფართოდ იქნება გაშლილი. განყოფილებას განზრახვა აქვს მჭიდროდ დაუკავშირდეს საქართველოს ყველა სამეცნიერო და რაიონულ ბიბლიოთეკებს, ბიბლიოგრაფიული მუშაობის კოორდინაციისა და ბიბლიოგრაფიული მასალების გაცვლა-გამოცვლის ორგანიზაციის მიზნით. ამ მიმართულებით წიგნის პალატას, როგორც ცენტრალურ ბიბლიოგრაფიულ დაწესებულებას საქართველოში, შეუძლია ფრიად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატაროს სამეცნიერო და სხვაიონო ბიბლიოთეკებთან ერთად. ასე, მაგალითად, პირველ რიგში განზრახულია ბიბლიოგრაფიული და ლექსიკოლოგიური ლიტერატურის შეერთებული კატალოგის გაგრძელება თბილისის მასშტაბით, აგრეთვე 1940 წელშიც, ბიბლიოთეკების დახმარებით, უცხოური პერიოდიკის შეერთებული კატალოგის გამოცემა, ბიბლიოთეკათშორისო საინფორმაციო ბიუროს ორგანიზაცია და სხვა.

ი. ჩხაიძე

საქართველოს წიგნის პროდუქცია 1939 წელს

მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წელი—1939 წელი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისათვის ჩვეული წარმატებებით იქნა დასრულებული. კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა სოციალისტური მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ქვეყნის თავდაცვითი საქმე, ტექნიკა და მეცნიერება. ბუნებრივია, რომ ამ წინმსვლელობას თან ახლდა ბეჭდვითი პროდუქციის მძლავრი ზრდა. ჩვენში წიგნი განუყრელი მეგობარია ყველა მშრომელის—მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენტის. ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ზრდა ნიშნავს იმასაც, რომ მშობლიურ ენაზე ითარგმნება და იცემა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, სახელმძღვანელოები, იწერება და იცემა მეცნიერული ნაშრომები, მდიდრდება ნაციონალური კულტურა. ამ მიმართულებით, თავის მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, საქართველომ უდიდესი მიღწევები მოიპოვა. ასე, მაგალითად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან წიგნის პროდუქციის ზრდა იძლევა შემდეგ მაჩვენებლებს:

ცხრილი № 1

№№ რიგ.	წლების მიხედვით *)	1921	1929	1934	1939	% % წლ. 1939 1934	% % წლ. 1939 1929	% % წლ. 1939 1921
1	დაბეჭდილ ერთეულთა რაოდენობა	159	1273	1433	1622	113,2	127,4	1020,1
2	ტირაჟი (ეკზემპლართა რიცხვი ათასებში)	390,0	3322,9	5984,0	7222,3	120,6	217,3	1851,8
3	დაბეჭდილ ფურცელთა რაოდენობა გამოცემათა მთელ ტირაჟში ათასებში)	1606,0	18031,5	43076,0	41799,6	97,0	231,8	2602,7

*) ციფრობრივი მასალები მოცემულია საქ წიგნის პალატაში დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან—1921, 1929, 1934 წლებში. 1939 წლის მასალა ჩვენ მიერაა დამუშავებული.

როგორც ცხრილი № 1-დან დავინახეთ, წიგნის პროდუქცია 1939 წელს, შედარებით 1921 წელთან, რაოდენობის მხრივ გაიზარდა 10,2 ჯერ, ტირაჟი—18,5 ჯერ, დაბეჭდილ ფურცელთა რაოდენობა გამოცემათა მთელ ტირაჟში—26 ჯერ. თუ ავიღებთ ზრდას პროცენტებში, შემდეგი მდგომარეობა გვაქვს: დაბეჭდილ ერთეულთა რაოდენობა 920,1 %-ით, ტირაჟი 1,751,8 %-ით, დაბეჭდილ ფურცელთა რაოდენობა გამოცემათა მთელ ტირაჟში 2,502,7 %-ით აჭარბებს 1921 წელს გამოცემულ წიგნის პროდუქციას.

თუ შევადარებთ 1939 წლის წიგნის პროდუქციას 1929 წლის წიგნის პროდუქციასთან, დავინახავთ, რომ ერთეულთა რაოდენობის ზრდა უდრის 27,4 %-ს. ტირაჟის—117,3 %-ს, ხოლო დაბეჭდილ ფურცელთა რაოდენობის გამოცემათა მთელ ტირაჟში—131,8 %-ს. ცალკე წლების პროდუქციის შედარება მის მომდევნო წლების პროდუქციასთან გვაძლევს შეუჩერებელი ზრდის სურათს (იხ. ცხრილი № 1). დამახასიათებელია, რომ წიგნების სახელწოდებათა ზრდის პარალელურად და კიდევ უფრო მეტად იზრდება ტირაჟიც; ეს იმას მოწმობს, რომ მშრომელთა ფართო მასებში წიგნზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება.

გავეცნოთ 1939 წლის წიგნის პროდუქციას მკითხველთა ჯგუფების, ციკლების (შინაარსის), ენების, გამომცემლობათა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომთა, თარგმანების და განმეორებითი გამოცემების მიხედვით. (იხ. ცხრილი № 1ა).

ამ ცხრილში მოცემულია 1939 წლის წიგნის პროდუქცია მკითხველთა ჯგუფების მიხედვით, 8 ძირითად დანაყოფად. შეიძლებოდა ამის დაწვრილებითი სახით წარმოდგენა, მაგალითად, პარტიულ-პოლიტიკური ლიტერატურა დაგვეყო ასე: მასობრივ-პოლიტიკური წიგნები, კრებულები, სამეცნიერო მონოგრაფიები. ამგვარადვე შეიძლება დავყოთ სასწავლო—მეთოდური ლიტერატურა—სასწავლო ლიტერატურად და ცალ-ცალკე დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლის, ტექნიკუმების სახელმძღვანელოებად, პროგრამებისა და მეთოდური ლიტერატურის გამოყოფით; ავრეთვე დაგვეყო საბავშვო მხატვრული ლიტერატურა ასაკის მიხედვით და სხვ. მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია წარმოდგენილი ძირითადი ნიშნების მიხედვით დაყოფა, რომ გარკვეული წარმოდგენა გვექნეს წიგნის პროდუქციაზე მკითხველთა ჯგუფების მიხედვით.

ცხრილი № 1ა-ში აღსანიშნავია სასკოლო სახელმძღვანელო ლიტერატურის ზრდა—ამ დარგის წიგნები 1939 წელს წარმოდგენილია წიგნის მთელი პროდუქციის 44,7 %-ით, ე. ი. 1939 წელს

გამოცემულ 1622 სახელწოდების წიგნიდან სასკოლო სახელმძღვანელო ლიტერატურა შეადგენს 724-ს. ეს კიდევ ერთხელ ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, თუ როგორ დიდია ზრუნვა პარტიისა და მთავრობის, პირადათ დიდი სტალინის, საბჭოთა სკოლისათვის, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ცხრილი № 2-ით (იხ.) წარმოდგენილია 1939 წლის წიგნის პროდუქცია შინაარსის მიხედვით, 24 ძირითადი დანაყოფით. როგორც ცხრილში მოცემული ცალკე დანაყოფები გვიჩვენებს (აქ არ არის შეტანილი საბავშვო მხატვრული ლიტერატურა, რადგანაც ეს მოცემულია მკითხველთა ჯგუფების მიხედვით დანაყოფში და უკანასკნელი პროგრამა—ინსტრუქციის თანახმად ამოღებულია ამ დანაყოფიდან), 1939 წელს მნიშვნელოვანი რაოდენობითაა გამოცემული შემდეგი დარგების ლიტერატურა: ლიტერატურისმცოდნეობა და მხატვრული ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება და ფიზიკომათემატიკური მეცნიერება, სოფლის მეურნეობა, ჯანმრთელობის დაცვა (მედიცინა), სსრკ მეურნეობა და სოციალისტური მშენებლობა.

1939 წლის წიგნის პროდუქცია ენების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში № 3 (იხ.). აქ წიგნის პროდუქცია ნაჩვენებია მხატვრული ლიტერატურის გამოყოფით. 1939 წელს წიგნის პროდუქცია ქართულ ენაზე შეადგენს 70,5 %-ს, ე. ი. 1622 სახელწოდების წიგნიდან ქართულ ენაზე გამოცემულია 1145 სახელწოდების წიგნი. შემდეგ მოდის გამოცემები რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და სხვა ენებზე. (შენიშვნა. აფხაზურ და ოსურ ენაზე გამოცემული ლიტერატურის რაოდენობა არაა დაზუსტებული).

ცხრილში № 4 (იხ.) წარმოდგენილია წიგნის პროდუქცია გაფორმებულ და გაუფორმებელ გამომცემლობათა მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის პროდუქციის აღრიცხვა გამომცემლობების მიხედვით წარმოებს საქ. სახ. წიგნის პალატაში მისი შემოსვლის კვალობაზე და ამდენად ცხრილში მოცემული მაჩვენებლები შეიძლება ზუსტად არ ემთხვეოდეს გამომცემლობათა მიერ გამოშვებული წიგნების, როგორც სახელწოდებათა რაოდენობას, ისე სხვა მაჩვენებლებს, ვინაიდან ხშირია შემთხვევა, რომ წლის ბოლო თვეში გამოშვებული წიგნი ხვდება გამომცემლობის იმავე წლის ანგარიშში, ხოლო წიგნის პალატაში კი აღირიცხება შემდეგ წელს, როდესაც პალატა ფაქტიურად ღებულობს წიგნს. საერთოდ კი ასეთი შემთხვევა იშვიათია. მაგრამ, კერძოდ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო გამომცემლობათა გამოცემები ცხრილში № 4 არ უნდა იყოს სრულად წარმოდგენილი,

ვინაიდან აღნიშნულ გამომცემლობათაგან წიგნების გამოგზავნა არ ხდებოდა დროულად. ცხრილში აღნიშნული გაუფორმებელი გამომცემლობანი წარმოდგენილია წიგნების გამომცემელი ორგანიზაციების სახეობათა მიხედვით, სამეცნიერო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გამოცემების გამოყოფით.

როგორც ცხრილი № 5-დან ჩანს, (იხ.) მეტად დიდია მოთხოვნილება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებზე. აქვე მოცემულია ლიტერატურა კლასიკოსებზე: ქართველი მწერლები ბელადს, სიმღერები და ლექსები დიდ სტალინზე, ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში და სხვ.

ცხრილში № 6 (იხ.) წარმოდგენილია 1939 წლის წიგნის პროდუქცია თარგმანების მიხედვით. როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ პლანზეა თარგმანი რუსული ენიდან. 1939 წელს ნათარგმნია 379 სახელწოდების წიგნი, აქედან რუსულიდან—298 ანუ 78,6%, შემდეგი ადგილი უჭირავს თარგმანებს ქართული ენიდან, სხვადასხვა ენაზე. მერე მოდის თარგმანები აფხაზური, უკრაინული, სომხური, ფრანგული და სხვა ენებიდან.

შ. დოლაძიძე

კატალოგრაფია თუ კატალოგოგრაფია

(მცირე შენიშვნა)

საკითხი, ამ ჟამად, ფილოლოგიური თვალსაზრისით არის საინტერესო, მისი დასმა გამოწვეულია ამხ. ივანე ციციშვილის წიგნის („კატალოგრაფია"—თბ. სახელგამი 1940) გამოსვლით. აღნიშნულ ნაწარმოების ტერმინების განხილვა სხვა დროს, ახლა კი დასმულ საკითხს შევეხოთ. ესა თუ ის ტერმინი, ცხადია, ხშირად ხელოვნურად არის შექმნილ-ჩამოყალიბებული; იგი გამოწვეულია ამა თუ იმ ენაში სათანადო სიტყვის უქონლობით. ამის გამო ხშირად მთლიანად სესხულობენ ხოლმე (მეცნიერების, საკითხის, საგნისა და სხვა. აღსანიშნავად) სიტყვას სხვა ენისაგან (მათემატიკა, ლოგიკა, დიალექტიკა, მატერიალიზმი, გეოგრაფია და მისთ.), ბევრჯერ კი (მომეტებულ შემთხვევაში) საკუთარი ენის მარაგით სარგებლობენ (ბუნებისმეტყველება, საზოგადოებათმეცნიერება, მემინდვრეობა, მევენახეობა და მრ. სხვა). ტერმინი, ნასესხები იქნება იგი თუ საკუთარი, შეიძლება ერთი სიტყვისაგან შედგებოდეს (მარტივი სიტყვა), შესაძლოა იგი შედგენილი იყოს (კომპოზიტი ტერმინი). ტერმინი, ზომოთდასახელებულის მიხედვით, ცნებაზე მეტია. ტერმინი თავისებური ნეოლოგიზმია, რომელიც მეტად მოფიქრებულად უნდა იქნეს ხმარებული. როგორიც არ უნდა იყოს ტერმინი—სიტყვა, იგი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონებს იმ ენისა, რომლის წიაღშიაც ჰლამობენ მის დანერგვას. უხეიროდ და შეუფერებლად ნახმარი ტერმინი, თუ უცხო სიტყვა, ამახინჯებს შესაბამისი ენის ბუნებას, ბიბლიოგრაფია და ბიბლიოთეკათმცოდნეობა კი მოწოდებულია ზუსტად დაიცვან ენის ნორმები.

აღნიშნულ საკითხზე რუსეთში მცირეოდენი დავა იყო ა. ი. მელიენსა და ე. ი. შამურინს შორის. (იხილეთ ე. ი. შამურინის წერილი: „Библиографическая каталогизация и каталография"—კრებულში: „Библиографическое дело". М.—Л. ГИЗ 1927. გვ. 129—130). ამ ავტორთაგან პირველი კატალოგოგრაფია-ტერმინს

იცავდა, ხოლო მეორე კატალოგრაფიას. ამ უკანასკნელის მიხედვით ჩვენში ამხ. ივ. ციციშვილმა კატალოგრაფია გამოიყენა. კატალოგრაფია ბერძნული სიტყვაა; იგი შედგება ორი სიტყვისაგან: Katalogos—კატალოგოს (ეს თავისთავად კატალოგოს-ის შენადგენია) და grafia—გრაფია. ს-ბგერის (სახელობითი ბრუნვის შემადგენელი ნაწილი) მოკვეცის ნიადაგზე სხვა სიტყვასთან შეერთებისას ელებულობთ Katalogografia-ს, კატალოგოგრაფია. მაშასადამე, აღნიშნული რთული სიტყვა დგება ბიო-გრაფიის, გეოგრაფიისა და სხვ. მსგავსად. კატალოგოგრაფია-ტერმინის ხმარებისას (ისე, როგორც მსგავსი შედგენილი ტერმინის ხმარების დროს) თითოეულ მის შემადგენელ ნაწილს თავისი მნიშვნელობა დანიშნულება აქვს: კატალოგოს (კატალოგი)-ნუსხა, გრაფია-აღწერილობა; (ასე იწოდება კატალოგიზაციის დარგი, რომლის მიზანია ნაწარმოების აღწერა და ანბანური კატალოგის შედგენა-რამდენადმისაღებია ასეთი გაგება-სხვა საკითხია!). აღნიშნულ სიტყვას „კატალოგ"-ფუძე ყველგან უკველად გაჰყვება: კატალოგ-იზირება, კატალოგ-იზაცია და სხვა. თუ კი მას ფუძისეულ გ-საც ჩამოუაშორებით, იგი სათანადო წარმოდგენას საგანზე ვერ მოგვცემდა ვერც კომპლექსში (ნათლად, გარკვეულად) და, მით უმეტეს, ვერც დამოუკიდებლად („კატალო" არავითარ წარმოდგენას არ იძლევა ნუსხაზე). ეს ამ ტერმინის შინაარსობრივ-ლოგიკური მხარის შესახებ, რაც შეეხება მის, ასე ვთქვათ, ფილოლოგიურ შედგენილობას, მის შემოკლებას, ნათელია, რომ იგი დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ, როდესაც ამ ტერმინის კატალო-გრაფიად შეკვეცას მოითხოვენ, ე. ი. „გრა"-ნაწილის ჩამოცილებას ამტკიცებენ, მიმართავენ შემდგომ საბუთს (თუ იგი საბუთად შეიძლება ჩაითვალოს!): კატალოგრაფია-ტერმინი გავრცელებულია; კატალოგოგრაფია მსგავსია იდოლოლატრია-ტერმინისა; ამ უკანასკნელში „ლო"-ვარდება, ვღებულობთ იდოლატრიას, მაშასადმე, კატალოგოგრაფია-სიტყვიდანაც „გო"-ამოვარდება, შეიკვეცება და უნდა ვიხმაროთ კატალოგრაფიაო (შამურინი, დასახ. წერილი, იქვე). აღნიშნულის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: იდოლოლატრია არ არის მსგავსი კატალოგრაფიისა, არც გენეტიკურად და არც ფონეტიკურად (შეადარა ეიდოს, ეიდოლონ, ეიდოლატრია), სადაც ეიდოლონ წარმოებულია ეიდოს სიტყვისაგან, და მას შეიძლება რედუქციის ნიადაგზე, ვთქვათ პირობითად, დაეწეროს „ლატრია". მაგრამ ლექსიკონებში და სხვაგანაც იგი ტერმინი მისი სრული ფორმით იხმარება, ისევე, როგორც ანგელოლატრია, ანგელოლოგია და სხვა. ასე, რომ, „ლო" არ შეიძლება შეიკვეცოს (შეადარე ფილო-ლოგია,

თელეო-ლოგია, ამპელო-ლოგია და სხვა). თუ ასეთ სიტყვებში, სადაც მსგავსი რბილი ბგერებია მეტად ახლო თავმოყრილი, არ ვარდება დასახელებული კომპლექსი, მით უმეტეს არ შეიძლება ამ ოპერაციის (თუ არა ხელოვნური ძალდატანებით) მოხდენა კატალოგო-გრაფია ტერმინში, რომელიც გრაფიასთან საერთო ნორმალურად (სახელობითის გზით) არის შერწყმული და გავრცელებული ქართულში (შეადარე: ბიოლოგია, ზოო-ლოგია, ზოო-გეო-გრაფია, ბიო-გრაფია და მრ. მისთ.). შემდეგ, ერთი სიტყვის ცვლილების მეორეზე, ისიც არა მსგავსზე, გავრცელება, ყოვლად დაუშვებელია.

ამრიგად, ჩვენ საერთო ნათლად მიგვაჩნია, რომ კატალოგო-გრაფია-კატალოგრაფიად არ უნდა შეიცვალოს. სხვათა შორის ამ ტერმინს ახლა აღარც კი მიმართავენ ჩვენი ქვეყნის ბიბლიოგრაფიულ-ბიბლიოთეკათმცოდნეობის დაწესებულებანი და სპეციალისტები. თვით შამურინიც ამ ბოლო ხანებში მის ნაცვლად ანბანურ კატალოგსა ხმარობს, ეს უკანასკნელი, ან წიგნთა აღწერის ცნება-ტერმინით სცვლის, მართებულად, კატალოგოგრაფიას. ასე რომ, მის გავრცელებულობაზე ლაპარაკი, ახლა მაინც. არ შეიძლება, მით უმეტეს ჩვენში. როგორიც არ უნდა იყოს ამ ტერმინის ბედი, სულ ერთია, ერთი ცხადია, იგი მისი სრული ფორმით (კატალოგოგრაფია) უნდა იხმარებოდეს; ასე აქვს ეს მიღებული საქართველოს სსრ სატერმინოლოგიო კომისიასაც (ნახე: ბიბლიოთეკონომიისა და პოლიგრაფწარმოების ტერმინოლოგია). ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

ს. ყუციშვილი და ნ. ტატიშვილი

„სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი“

1832

ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია

წინასიტყვაობით, საძიებლებით და შენიშვნებით

ქართული პერიოდიკა თავის ისტორიას გასული საუკუნის პირველი მეოთხედიდან იწყებს. მეცხრამეტე საუკუნის 20—30-იან წლებში საქართველოს ცხოვრებაში წამოიჭრა მრავალი პრობლემა, რომელიც გადაწყვეტას მოელოდა და რომლითაც დაინტერესებული იყო საზოგადოება. ეს საზოგადოება მოითხოვდა ახსნა-განმარტებებს სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებისა და ამით გამოწვეულ ურთიერთობისა.

ქართულ ენაზე პირველად დაბეჭდილი გაზეთები, მართალია, მთავრობის ოფიციალური განკარგულებებისა და კანონების მატარებელ-გამავრცელებლები იყვნენ, მაგრამ მათ შეჰქმნეს საფუძველი, რომ მათთან ერთად გამოსულიყო ისეთი ჟურნალიც, რომელიც ვალად იდებდა გამოხმაურებოდა საქართველოში არსებულ მდგომარეობას და ზოგჯერ დროისთვის მიუღებელი აზრები გამოეთქვა. პირველმა სალიტერატურო ჟურნალმა ბევრის თქმა, რასაკვირველია, ვერ მოახერხა, რადგან მას კრიჭაში ედგა მონარქიული ცენზურა, მაგრამ იმ მასალებშიც კი, რომელიც სულ ხუთიოდე ნომერში დაიბეჭდა, ნათლად ჩანს ტენდენცია საზოგადოების იმ ნაწილისა, ვინც ხელმძღვანელობდა ჟურნალს და ვისთვისაც იყო იგი განკუთვნილი.

„ტფილისის უწყებების“ სალიტერატურო ნაწილმა პირველად, საქვეყნოდ აღიმაღლა ხმა საქართველოს წარსულისა და კულტურის დასაცავად, იგი იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისთვის და ეკამათებოდა საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორ გორდეევს. ამ ჟურნალშივე დაიბეჭდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის შემცველი, გიორგი ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა“ და სხვ.

ამ მცირე ფორმის მქონე ჟურნალისა და მის თანამშრომელთა დაწყებული საქმე საქართველოს განთავისუფლებისა და ეროვნული

თვითშეგნების გაღრმავებისა, შემდეგ, მეცხრამეტე, საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო თამამად და უფრო ძლიერად სხვა ჟურნალ-გაზეთებმა შესძლეს და, სწორედ ამით არის დასაფასებელი სოლომონ დოდაშვილი და მისი ჟურნალი.

ის პერიოდი კი საქართველოს ცხოვრებისა მეტად საინტერესოა, იმ დროს იქედებოდა რუსეთის მონარქიის დასაყრდენი ამიერ-კავკასიაში, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ხსოვნა საქართველოს წარსულისა, ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ ის პირები, რომელთაც ჩამოერთვათ სამეფო და საგვარეულო უფლებები საქართველოს რუსეთთან შეერთებით. ხოლო ჟურნალის ხელმძღვანელი და თანამშრომელნი, ზოგიერთის გამოკლებით, აშკარა მოწინააღმდეგენი იყვნენ არსებული წყობილებისა. შემდეგ ბევრი მათგანი დაისაჯა კიდეც რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის.

„ტფილისის უწყებების“ სალიტერატურო დამატებას გარკვეული მიზნები ჰქონდა, რომლებიც გამოთქვა მისმა ხელმძღვანელმა სოლომონ დოდაშვილმა. ჟურნალს უნდა გაემდიდრებია ქართული ენა, იგი უნდა ყოფილიყო სასარგებლო საქმე „მამულის დიდებისთვის და გონების განათლებისათვის“, „რათამცა ესე გუარსა სასარგებლოსა საქმესა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა განვრცელებისთვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა, მიახლოებისათვის გამობრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა...“ ჟურნალის რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი ევროპული განათლების მქონე ადამიანია. მისი აზრით ერის განვითარების გზა არ უნდა ასცდეს კულტურას და ერთადერთი პირობა წინსვლისათვის გონების განათლება უნდა იყოს. ამით, შესაძლებელია, სოლომონ დოდაშვილი გამოირჩეოდეს კიდეც შეთქმულების სხვა მონაწილეთაგან. თუ სხვებს გაუქრებული სამეფო ტახტის აღდგენა უნდოდათ, რაც გულისხმობდა ძველისკენ დაბრუნებას, სოლომონ დოდაშვილი ცდილობდა ქართული ცხოვრების ევროპულის გვარად გარდაქმნას და სულაც არ არის გასაკვირველი, რომ მას, რამდენადმე რესპუბლიკური იდეები ჰქონოდა, თუმცა ჯერ-ჯერობით ეს აზრი დადასტურებული არ არის.

სოლომონ დოდაშვილის პიროვნება მეტად საინტერესოდ გამოსჩანს ქართული ცხოვრების მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ფონზე. იგი რუსეთში გაემგზავრა უმაღლესი ცოდნის მისაღებად, საუკეთესოდ დაამთავრა უნივერსიტეტი, დაწერა ნაშრომი ფილოსოფიაზე. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, შეუდგა მი-

ღებული ცოდნის გავრცელებას და თავის სამოღვაწეოდ მან ამოირჩია მეფის ცენზურულ პირობებში ჩაყენებული მძიმე გზა ჟურნალისტისა. სამშობლოსთვის თავდადებამ მიიყვანა სოლომონ დოდაშვილი შეთქმულებამდე, რომლის ერთერთი მთავარი ორგანიზატორიც შეიქმნა და სხვა შეთქმულებთან ერთად და სხვებთან შედარებით უფრო მწარე ბედიც გაიზიარა.

სოლომონ დოდაშვილის საინტერესო პიროვნება ჯერ მთლიანად შესწავლილი არ არის. ნაშრომთა ის სია, რომელიც დოდაშვილს მიეწერება, ჯერ არ დაზუსტებულა, რომ შესაძლებელი გახდეს ამ მოღვაწის მთლიანი პიროვნების დადგენა; მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხასიათი კი საინტერესო პიროვნებასთან გვაკავშირებს. მისი პიროვნების მთლიანი პორტრეტის აღდგენისთვის საჭიროა საარქივო მასალა-საბუთების პოვნა, დადგენა და დასაბუთება, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი გავითვალისწინოთ განსწავლული და მეცნიერი პიროვნება სოლომონ დოდაშვილისა.

სოლომონი დაბადებულა 1804 წელს სოფ. მაღაროში, აქედან წარმოდგება მისი გაორმაგებული გვარიც—დოდაშვილი-მაღაროელი (რუსული გამოთქმით—დოდაევ-მაგარსკი). იგი 1836 წ. 20 აგვისტოს გარდაიცვალა გადასახლებაში ქალ. ვიატკაში. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სოლომონ დოდაშვილის შესახებ დაწერილ ნაშრომებში ადგილი არა აქვს მისი ბიოგრაფიის მეცნიერულ შესწავლას. ეს ნაშრომები ჯერ კიდევ ქრონიკალური ხასიათისაა, ამოიწურება საგაზეთო და საჟურნალო წერილებით, ერთი და იგივე ცნობების გამეორებით და ზოგჯერ დაუსაბუთებელი აზრების გამოთქმით. ის მასალა, რომელიც ჯერჯერობით ცნობილ საარქივო დოკუმენტებში გვხვდება, მხოლოდ ნედლეულს წარმოადგენს, იგი მკვლევარს უცდის.

აქ არ ვიძლევით სოლომონ დოდაშვილის ბიოგრაფიას, ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ეს მოღვაწე როგორც ხელმძღვანელი, მხოლოდ მცირე დროის განმავლობაში „ტფილისის უწყებების“ სალიტერატურო დამატებისა. სოლომონ დოდაშვილი გარდა იმისა, რომ რედაქტორობდა „ტფილისის უწყებების“ ქართულ ვარიანტს და მის სალიტერატურო დამატებას, ამავე დროს იყო ამ ჟურნალის მთავარი თანამშრომელიც. სოლომონი არის ორიგინალურ თხზულებათა ავტორი და მთარგმნელი, იგი არის ტონის მიმცემი, წამახალისებელი და შემფასებელი ჟურნალის წერილებისა; მის კალამს ეკუთვნის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა“, სადაც განხილულია ქართული ანბანისა და მწერლობის დასაბამთან დაკავში-

რებული საკითხები, მოცემულია კრიტიკა ქართულ ენაში შესული ბარბარიზმების წინააღმდეგ, მოხაზულია ქართული მწერლობის განვითარების გზა, რომელმაც შეჰქმნა შოთა რუსთველი, სოლომონისაა მცირე წინასიტყვაობა, დაწერილი გიორგი ერისთავის „ოსური მოთხრობისა“ და ა...-ს (ალექსანდრე ჭავჭავაძე?) ლექსის „მთვარე“-სთვის, მასვეა „[წერილი] მოწერილი ს. პეტერბურგიდამ ტფილისს ძმასთან“ და ამ წერილის პასუხი, „მეფობა ირაკლის მეორისა“, „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა...“ კრიტიკული წერილი, მიმართული კორდეევის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის მიერ ქართული ისტორიის ცოდნაში უვიცობის გამოჩენის გამო, დოდაშვილისავეა ქართული, ორიგინალური თხზულება „ელენა“. სარედაქციო განცხადებანი და სხვა. მაგრამ ამ ჟურნალში სოლომონ დოდაშვილის სახელით ცნობილი ლიტერატურული მემკვიდრეობა შედარებით მცირეა, იმ რიცხვთან, რომელიც ცნობილია გადმოცემის მიხედვით. სოლომონ დოდაშვილი მეტად პროდუქტიული ყოფილა, და ეს მით უფროა დასაფასებელი, რომ იგი სულ ახალგაზრდა და ენერგიით სავსე მოაშორეს მისთვის საყვარელ და საინტერესო საქმეს.

სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის სახელმძღვანელო“ თავის დროისთვის საინტერესო ნაშრომი იყო და როგორც ერთი, შეთქმულების საქმეებში დაცული კერძო წერილიდანა ჩანს, „როგორც თავისი შინაარსით, ისე მოთხრობის ხერხით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.“ სოლომონ დოდაშვილი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც სისტემატური გამოკვლევა მოგვცა პლატონის, არისტოტელის, კანტის, ჰეგელის და სხვათა ფილოსოფიურ მოძღვრებათა შესახებ, ხოლო მისმა ქართული ენის გრამატიკამ პროფ. ცაგარელს 1873 წელს ათქმევინა: язык грамматики довольно обработанный и легко доступный всякому... определяя грамматические категории и технические термины, более сближены с разговорным языком...“

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, დამატება გაზეთისა „ტფილისის უწყებანი“, გამოდიოდა 1832 წლის იანვრიდან, თვეში ორი ნომერი, თვის პირველსა და თხუთმეტ რიცხვებში, მაგრამ შემდეგ, ჟურნალში განცხადებულის თანახმად, აღნიშნული დღეები შეუცვლიათ, რადგან ის სტამ-

ბა, სადაც ეს ჟურნალი იბეჭდებოდა, ვერ ასდიოდა ყველა მასალის ერთად ბეჭდვას, მით უმეტეს, რომ ამ დროიდანვე, რუსულ და ქართულ გაზეთებთან ერთად დაიწყო ბეჭდვა „თათრულსა ენასაცა ზედა, ამისთვის სტამბასა შინა იქმნა დაბრკოლება. ქართულსა ენასა ზედა ყოველთვის გამოვა იგი ხუთსა და ოცსა რიცხვებსა შინა“...

ჟურნალის სულ ხუთი ნომერი დაიბეჭდა, პაგინაცია იწყება პირველი ნომრიდან და გრძელდება ყველა ნომერში. ზომით ყველა ნომერი თანატოლია და თვითეულში 24 გვერდია. გაზეთთან ერთად ჟურნალზე „წელიწადში... დადებულ არს რვა მანეთი თეთრი ფული“. ჟურნალის წერილების ტექსტი იწყება პირველსავე გვერდზე ტიტულის შემდეგ, დაბეჭდილია სქელ, მონაცრისფერო ქაღალდზე, ანაწყობის ზომა 11×15,5 სმ-ია (კარგად შენახული კომპლექტი ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში, № 103—107). ჟურნალში მოთავსებული მასალა დაყოფილია განყოფილებებად: აღმოსავლეთის ლიტერატურა, სტიხთქმნილება, კრიტიკა, ქართული ისტორია, ანეკდოტნი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება. როგორც აღინიშნა, ფითქმის ყველა განყოფილებაში მოთავსებულია სოლომონ დოდაშვილის წერილები. ჟურნალის თვითეულ ნომერს აქვს ცენზურის ვიზა, მოთავსებული უკანასკნელ გვერდზე სულ დაბლა, ხაზს ქვემოთ. უკანასკნელი ნებართვა მიუღია „მარტის 15-ს 1832-სა წელსა...“

პუშკინის პოეზიით ქართული საზოგადოება მაშინაც დაინტერესებული იყო და პირველ სალიტერატურო ჟურნალში მოცემულია ამ დიდი რუსი პოეტის თხზულებათა თარგმანები, შესრულებული სოლომონ რაზმაძის მიერ, აქ დაიბეჭდა პუშკინის ორი ლექსი, ერთი უსათაურო „ესპანურ სიმღერად“ ცნობილი და მეორე „Пир“ (და არა „Сон“, როგორც ეს ნაჩვენები აქვს ი. ენიკოლოპოვს წიგნში „Пушкин на Кавказе“, გვ. 81). აქვე დაიბეჭდა გიორგი დავითის-ძე ერისთავის „ოსური მოთხრობა“ (მისი გაგრძელება დაიბეჭდა „ცისკარში“), სენატორი გიორგი ევსევის-ძე ერისთავის „მოწოდება ივერთა“... და სხვ.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ თავის მასალით აუცილებლად ეხმაურებოდა იმ აზრებს, რომლითაც დაინტერესებული იყო იმ დროს ქართველი ინტელიგენცია. ჟურნალში შეიძლება მკრთალი გამოძახილის მონახვა (ცენზურული პირობების გამო) იმ იდეებისა, რომელიც 1832 წლის დეკემბერში გამომძღავნდა. ინტერესს არ

არის მოკლებული ამ მხრივ სენატორ გ. ე. ერისთავის ლექსი „მოწოდება ივერთა...“ რომელიც თითქოს გაფრთხილებასა ჰგავს:

„ჩემნო ძმანო შემოკრბით, სიყვარული მოიგეთ,
შურნი და მტერობანი, ჰსდევნეთ, ჰსცანით, გაივეთ,
მთავრობის ბრძანებანი ვითა სჯული დაიდეთ.

—

მიიღეთ გულის ხმა ჰყავთ ესე ჩემი მცნებანი,
ვაქო თქვენი გონება, მსურდეს მარად ხლებანი,
ყოვლის ცუდის საქმისა, გაქვნდეთ დავიწყებანი
იქმნას შვება დიდება, ურა მრავალხმობანი...
მე თქვენ გთხოვთ ჩემნო ძმანო მსახურეთ იმპერატორს...“

და სხვ. მაგრამ შეთქმულნი თავის საქმეს მაინც აგრძელებდნენ, შეკრული პირობა უნდოდათ ბოლომდე მიეყვანათ და საქართველო გაეთავისუფლებიათ... საქმე კი სხვაგვარად დატრიალდა. შეთქმულების ფინალი მეტად სამწუხარო შეიქმნა მის მონაწილეთათვის. იმპერატორმა, რომელიც სენატორ ერისთავის მიერ მღვთის აჩრდილს არის შედარებული, შეთქმულების ყველა მონაწილეს სასტიკად მიუზღო. მთავარი მონაწილენი გადაასახლეს... ზოგი კვლავ დაბრუნდა სამშობლოში... ზოგნი კი ჩრდილოეთში ლევდნენ უკანასკნელ დღეებს. შეთქმულების ერთერთი მთავარი მონაწილე და „სალიტერატურონი ნაწილნის“ რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი კი ვიატკაში სიკვდილს ებრძოდა და მთავრობის მოხელეთ ეხვეწებოდა: „ყოველთვის მიმსახურნია ბეჯითად და ერთგულად და ჩემი ჯანმრთელობა თითქმის სამსახურს შევწირე; რის გამოც ვბედავ ყოვლად უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და თქვენი შუამდგომლობით გამოითხოვოთ მოწყალე ხელმწიფისაგან... გადაყვანა ჩემი აქედან სამხრეთის რომელიმე თბილ გუბერნიაში ჩემი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად თბილ ჰავაზე...“

სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა ბედნიერებად ჩასთვალა ის, რომ ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა, მოახსენა სოლომონ დოდაშვილის უმწეო მდგომარეობა და თხოვნა, მაგრამ „დოდაევის ზემოაღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება მისმა უზენაესობამ, ხელმწიფე იმპერატორმა არ ინება...“

1836 წელს 20 აგვისტოს (ძვ. სტ.) სოლომონ დოდაშვილი ვიატკაში ჭლექით გარდაიცვალა...

ქრონოლოგიური დალაგება. ანოტაციები

1832

№ 1—იანვარი

1. ჟინევრა—

2. დოდაშვილი სოლომონ—მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)

კამათი ქართული ენისა და ლიტერატურის ტრადიციების უარმყოფელთა წინააღმდეგ. სომხური და ქართული ანბანისა და ენის დაპირისპირება. ძველი ქართველი მწერალ-ფილოსოფოსნი. ქართველ მეფეთა მიერ ნიჭიერ ახალგაზრდათა ათინაში გზავნა, განსწავლულთა დაბრუნება და მოღვაწეობა სამშობლოში.

№ 2—იანვარი

1. დოდაშვილი სოლომონ—მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა).

იოანე პეტრიწის მოღვაწეობა, მისი ქება ანტონ კათოლიკოსის მიერ. მიმოხილვა „ოქროს ხანის“ ქართული ლიტერატურისა: მოსე ხონელი, თმოგველი, ჩახრუხაძე, რუსთველი. ქართული სიტყვიერების მშვენვალი—ვეფხვის-ტყაოსანი. ქართული მწერლობის დაქვეითება, მონღოლთა შემოსევის გამო, მეცამეტე საუკუნიდან. აღორძინების ხანის მიმოხილვა. ანტონ კათოლიკოსის ლიტერატურული მოღვაწეობა.

2. ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვევულება—

ხელმწიფისა და მისი ვეზირის და ბაბილონის მეფის ჰარუნ ალ-რაშიდისა და მოხუცი კაცის იგავი.

3. ა..—მთოვარე.

4. ერისთავი გიორგი დავითის-ძე--ოსური მოთხრობა.

5. დოდაშვილი სოლომონ—

ა. [წერილი] მოწერილი ს. პეტერბურღიდამ ტფილისს ძმასთან პეტერბურგის მშვენიერებისა და სიმდიდრის აღწერა.

ბ. პასუხი ტფილისიდამ

ქართველთა გონებრივი და ფიზიკური თვისებანი, მეფის მზრუნველობა და ტფილისის გამოცოცხლება. ახალგაზრდათა გატაცება მწერლობით. განათლების მნიშვნელობა, განათლება—საერო კეთილმოქმედების სათავე. ტფილისში გამართული წარმოდგენის შესახებ.

6. განცხადება—

„სალიტერატურონი ნაწილნის“ გამოცემის დღეების შეცვლის შესახებ, ნაცვლად თვის—პირველი და თხუთმეტი რიცხვისა, ყოველი თვის ხუთსა და ოცდახუთ რიცხვებში.

№ 3—თებერვალი

1. დოდაშვილი სოლომონ—მეფობა ირაკლის მეორისა.

საქართველოს მდგომარეობა მეფე თეიმურაზ მეორის დროს. ირაკლის დაბადება, აღზრდა. ირაკლი სპარსეთის მეფის კარზე, დაბრუნება საქართველოში და მოღვაწეობა.

2. ერისთავი გიორგი ევსევისძე-მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს სამძღვართა შინა.

3. ერისთავი გიორგი დავითისძე—ოსური მოთხრა.

4. დოდაშვილი სოლომონ—შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა. რომელიცა დაბეჭდილ იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთთასა 1832-სა ამას წელსა.

კამათი გორდეევთან, მის მიერ რუსულ გაზეთში დაბეჭდილ ქართველ მეფეთა დამარხვის წესის არასწორად გადმოცემის შესახებ.

5. [ნარევი]—

№ 4—თებერვალი

1. დოდაშვილი სოლომონ—მეფობა ირაკლის მეორისა.

ირაკლისა და თეიმურაზის ლაშქრობა შაქისა და შირვანის დასაპყრობად. აზათ-ხანის მოკვლა. ირაკლის გამარჯვება და თბილისში დაბრუნება.

2. დოდაშვილი სოლომონ—ელენა.
3. მაჩაბელი დავით ბარძიმისძე—თოვლი.
4. ერისთავი ვიორგი დავითისძე—ოსური მოთხრობა.
5. ყრმებრიეი უმანკოება—

№ 5—მარტი

1. დოდაშვილი სოლომონ—ელენა
2. სამი ინდის ხურმა—
3. ყრმებრიეი უმანკოება—
4. პუშკინი—დიშპანური სიმღერა
5. პუშკინი—ლხინი
6. გურამიშვილი თ[ადეოზ]—საყვარელო მამულო
7. უმანკოება—
8. დოდაშვილი სოლომონ—განცხადება.

მიმართვა საზოგადოებისადმი ჟურნალზე ხელის მოწერის შესახებ.

ავტორთა საძიებელი*)

ა...—II, 38.
გურამიშვილი თ.—V, 116.
დოდაშვილი სოლომონ—I—19; II—25, 42, 48; III—49, 68; IV—73, 80; V—97.
ერისთავი გიორგი დავითისძე—II—39; III—64; IV—90.
ერისთავი გიორგი ევსევისძე—III—58.
მაჩაბელი დავით—IV—81.
პუშკინი—V—114.

მთარგმნელები

დოდაშვილი სოლომონ—I ჟინევრა (ფრანგულიდან).
მაჩაბელი დავით—IV, V ყრმებრივი უმანკოება (რუსულიდან).
რაზმაძე სოლომონ—V ღიშპანური სიმღერა. ლხინი (რუსულიდან).

ხელმოუწერელი

ჟინევრა—I
ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება—II
განცხადება—II
[ნარევი]—III
ყრმებრივი უმანკოება—IV, V
სამი ინდის ხურმა—V
უმანკოება—V.

*) რომაული რიცხვი ჟურნალის ნომერია, არაბული გვერდის

წერილებში დასახელებულ პირთა საძიებელი*)

აბდულ ბეგი, იესე მეფისძე—53, 54,
ადამი—22.
ადარნასე მეფე—23.
აზათ-ხანი—74, 74, 76, 78, 79.
ალავერდა, ერევნელი თათარი—77, 79.
ალი ყული ხან resp. ადილ შაჰ—53.
ამილახვარი გივი—52.
ანტონ კათოლიკოსი—25, 33, 49.
არსენი იყალთოელი—23.
ასტრონომოსი—27.
აჯი-ჩალაბ, ნუხის ხანი—56, 73, 74.

ბაგრატ მეფე—23.
ბაუმეისტერი—33.

გაიოსი, ყოვლად სამღვდელო—34.
გიორგი მეფე—77.
გრიგორი ღვთისმეტყველი—26.

დავით აღმაშენებელი—23.
დიოდოხოსე პროკლე—27, 28.

ეფთიმე, მამა—23.
ერისთავი იასე—34.
ეფრემ მცირე—23.

*)მითითებულია ჟურნალის გვერდები. პაგინაცია ამ ჟურნალში საერთოა, იწყება ერთიდან და გრძელდება ბოლომდე. თვითეულ ნომერს 24 გვერდი აქვს.

ვახტანგ მეხუთე—32.
ვახტანგ მეფის ძე—68, 69, 70, 71.
ვახუშტი, ისტორიკოსი—34, 67.

ზაქარია მღვდელი—41.

თამარ მეფე—29, 31.
თარგამოსი—21.
თეიმურაზ მეფე [პირველი]—32.
თეიმურაზ მეორე—50, 51, 52, 53, 55, 56, 57, 73, 75.
თეოფილე—23.
თმოგველი სარგის—30.

იბრაიმ-შაჰა—55.
ივანე ტარიჭისძე—23.
ილარიონ ქართველი—23.
იოანე მამა, წმინდა—23.
იოანე პატრიკ ყოფილი ფილოსოფოსი, პეტრიწად ზედწოდებული—21, 24, 25, 26, 28.
ირაკლი [მეორე]—33, 34, 49, 50, 51, 52, 54, 55—58, 73, 75, 76, 78—80.

მამად ხანი, მართებელი ადრიბეჟანისა—55, 56.
მანსურ მეფე—36.
მიხითარი—33.
მუსა ხანი—74, 75.

ნიკოლოზ პირველი, იმპერატორი—116.

ორბელიანი სულხან—34.
ორბელიანი ვახტანგ—34.
ორბელიანი დიმიტრი—34.

პლატონი—28.

რუსთველი—30, 31.

სტეფანე—23.
სუმბათ მეფე—23.

შანა, ყარაბახის ხანი—56, 57.
ფარნაოზ პირველი, მეფე—21

ძართლოსი—21.

ღარდიეევი—68, 69, 70, 71, 72.

ყოჯახ, დაღესტნის ბელადი—54.

შავერდი, განჯის ხანი—56.
შაჰნადირი—50, 51, 52, 53.

ჩახრუხაძე—30, 31.

ციციანოვი დიმიტრი—34.

ხონელი მოსე—30.

ჰაოსი—21.
ჰარუნ ალ-რაშიდი—36, 37.

საგნობრივი საძიებელი

ა—ლექსები, პოემები, მოთხრობები

1. ელენა, მოთხრობა—დოდაშვილი სოლომონ, IV, V.
2. თოვლი, ლექსი—მაჩაბელი დავით, IV.
3. ლხინი, ლექსი—პუშკინი, მთარგმ. რაზმაძე სოლომონ, V.
4. მთოვარე, ლექსი—ა...,II.
5. მოწოდება ივერთა მამულის დაცვისთვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს სამძღვართა შინა, ლექსი—ერისთავი გიორგი ევსევის ძე, III.
6. ოსური მოთხრობა, პოემა—ერისთავი გიორგი დავითის ძე II, III, IV.
7. სამი ინდის ხურმა, მოთხრობა—V.
8. საყვარელო მამულო, ლექსი—გურამიშვილი თადეოზ, V.
9. უმანკოება—V.
10. ჟინევრა—I.
11. ღიშპანური სიმღერა—პუშკინი, მთარგმ. რაზმაძე სოლომონ, V.
12. ყრმებრივი უმანკოება—IV, V.

ბ—ისტორია საქართველოსი და ქართული ლიტერატურისა

1. მეფობა ირაკლის მეორისა—დოდაშვილი სოლომონ, III, IV.
2. მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)—დოდაშვილი სოლომონ, I, II.

გ—კრიტიკა

1. შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა, რომელიცა დაბეჭდილ იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთთასა 1832-სა ამას წელსა—დოდაშვილი სოლომონ, III.

დ—სარედაქციო წერილები

1. განცხადება—II.
2. განცხადება—V.

ე—სხვა და სხვა

1. ანეკდოტნი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება—II.
2. [წერილი] მოწერილი ს. პეტერბურგიდამ ტფილისს ძმასთან, პასუხი ტფილისიდან—დოდაშვილი სოლომონ, II.
3. [ნარევი]—III.

შენიშვნები

1. ჟინევრა—(გვ. 1—19). № 1—იანვარი

მოთხრობას ხელმოწერა არა აქვს. აღწერილია 1396 წელს იტალიაში მომხდარი ამბავი. ეს მოთხრობა ევროპული წარმოშობისაა. პროფ. ალ. ხახანაშვილის ცნობით, იგი ს. დოდაშვილს ფრანგული ენიდან უთარგმნია (იხ. Очерки... IV, стр. 36). ესევე მოთხრობა ივანე კერესელიძემაც ი. კ.-ს ხელმოწერით დაბეჭდა 1858 წლის ოქტომბრის „ცისკარში", სათაურით „ინჯერვა", მაგრამ ი. კერესელიძის მიერ დაბეჭდილი ტექსტი შეცვლილია და ზოგან განვრცობილიც. პროფ. ალ. ხახანაშვილს ამ მოთხრობის პირველად დაბეჭდვის თარიღად ნაჩვენები აქვს 1857 წელი („ცისკარი"), მაგრამ ეს შეცდომაა. ხახანაშვილს, ალბათ, არ უნახავს „სალიტერატურონი ნაწილნი..." სადაც ეს მოთხრობა პირველად დაიბეჭდა, თუმცა იგი მთარგმნელის გვარს (დოდაშვილს) სწორად აღნიშნავს მაშინ, როცა მის მიერ მითითებულ „ცისკარში" **ი[ვანე] კ[ერესელიძე]** წერია. ალ. ხახანაშვილს „ცისკარში" დაბეჭდვის წელიწადიც შეცდომით, 1858 ნაცვლად 1857, აქვს ნაჩვენები.

დ. კარიჭაშვილი „ჟინევრას" შესახებ წერდა: „საინტერესოა ამ მოთხრობის ისტორია რუსულ-ქართულ მწერლობაში. მოთხრობა ქართულად, უეჭველია, რუსულიდან არის გადმოღებული, რუსულად კი ალბად ერთერთი ევროპიული ენიდან არის ნათარგმნი... ხოლო ამ საუკუნეში ჩვენ შეგვხდა ეს მოთხრობა რუსულ ენაზედ დაბეჭდილი მერეჟკოვსკის თხზულებათა შორის, სახელწოდებით „Любовь сильнее смерти" (იხ. „წიგნის მეგობარი", 1925, № 1—2). ეს რუსული თხზულება ქართულად თარგმნილი დაიბეჭდა 1915 წ. „სახალხო ფურცლის" სურათ. დამატებაში სათაურით „სიყვარული სიკვდილზე უძლიერესია".

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იოანე ბატონიშვილის ფონდში დაცულია „ჟინევრას" ხელნაწერი.

2. მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა) დაიბეჭდა პირველ (გვ. 19—24) **და მეორე** (გვ. 25—34) **ნომრებში.** ავტორის ხელმოწერა მეორე ნომერშია.

წერილი გამოწვეულია ქართული ენისა და ლიტერატურის წინააღმდეგ გალაშქრებით. ავტორი, ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოყენებით ამტკიცებს, რომ ქართული ენა და ლიტერატურა ძველთაგანვე დამოუკიდებელი გზით მოდიოდა და განვითარების გზაზე წარმოშვენენ ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ: არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწონელი, ჩახრუხაძე, მოსე ხონელი, შოთა რუსთველი და სხვ.

№ 2 იანვარი

1. **მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა** (გვ. 25—34). იხ. წინა შენიშვნა.

2. **„ლირსსახსოვარ შემთხვეულობებში“** (გვ. 34—37) ორი ამბავია აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებიდან და განყოფილებასაც ჟურნალში ამისთვის ჰქვია—აღმოსავლეთის ლიტერატურა.

3. **მთოვარე** (გვ. 38—39) ლექსია, ხელმოწერილია: ა... შესაძლებელია ამ ლექსის ავტორი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყოს. მას წინ უძღვის რედაქტორის, სოლომონ დოდაშვილის წინასიტყვაობა (ეს წინასიტყვაობა ეხება „ოსურ მოთხრობასაც“): „გამომცემელი ვალად ჰრაცხს განუცხადოს მკითხველთა (?) მადლობა შემდგომთა ლექსთათვის, რომელნიც აქა წარმოუდგებიან მსჯელობასა მკითხველთა ჩვენთასა. ღმერთმან ინებოს, რათა იხელოვნონ თხზულებათა შინა მრავალ გვართა სტიხთათა და სასიამოვნო არს, რათა საშუალ მემამულეთა ჩვენთასა გამოჩნდნენ სხვანიცა მბაძველნი ესრეთთა კეთილთა საქმეთანი“.

4. **ოსური მოთხრობა** (გვ. 39—42) დაიბეჭდა მეორე, მესამე და მეოთხე ნომრებში, არ დასრულებულა, მაგრამ გაგრძელება მეხუთე ნომერში აღარ არის. ამ ჟურნალში დაიბეჭდა მხოლოდ ნაწილი პირველი (იხ. გ. ერისთავი, 1936 წ., გვ. 81—84), ოღონდ პირველ ნაბეჭდსა და აღნიშნულ გამოცემას შორის განსხვავება მეტად მნიშვნელოვანია. ეს განსხვავება ე. ი. ვარიანტული ხასიათისა,

გამომცემელთ მოცემული არა აქვთ. ამ ჟურნალში დაბეჭდილი ტექსტი, რომელიც გიორგი ერისთავის არც ერთ თხზულებაში არ შეგვიდა, შემდეგია:

„...და მუნ მცხოვრებნი ოსნი მთათა ზედა მდგომარნი,
რად გიკვირსთ იყვნენ, სხვაგვარ სჯულდს კცევის მქონარნი,
ძნელი არის მათში გლახ სიკვდილი მათს კაცისა
მისი უმეტეს ვინც არის დიდის გვარისა,
მიუხდებიან მოყვარენი იმა მკვდრისანი
სისხლსა უზღამენ ნათესავნი მის მკელელისანი:
თუ არა უზღეს შეიქმნების ომი ფიცხელი,
ანუ ერთ გზის თოფს ასროლინებს იგიცა მკვლელი,
ეს გვარ საქმითა შეიქმნება მათში მტერობა
ჰსწყვეტენ ურთიერთს და ექნებათ სისხლის მღერელობა.
ამ მიზეზებით ჰსჭირთ კეთილი და ერთ პირობა
რომ აქვსთ. უზომოდ ნათესავთა მოყვარულობა
ნატრიან სტუმართ, ფრიადებით პატივთ მცემარნი:
თუმცა აქვთ პიწი, რომ არიან მცირედ მთხოვარნი,
გარნა მეგობართ საჩუქარი მათცა იციან
სტუმრის პატივი ვინც არ იცის მას დასცინიან
გააცილებენ ვიდრე განვლონ მათი სამძღვარი
რომ კაცი გზაზედ არ შეემთხვათ მათ მავნებარი.
ველისა დაბა მაღალს ველსა ზედან მდგომარე
რომელს აშენებს სიტკბოებით წყარო, მცენარე
რა მზე ჯერ დილით დაცაიწყებს მცირედ ელვასა
ვნატროთ უჭვრეტდეთ ამ არის გლახ შვენებასა".

ამას მოსდევს ექვსი სტრიქონი (იხ. 1936 წლის გამოცემა, გვ. 81, სტრ. 13—18 ზევიდან), შემდეგ კი გამოცემებში არშესული ტექსტია:

„გამოვლენ გარე მერე ქიზგანი (ავტ. შენ.: ქიზგა
ოსურად ქალსა ჰქვიან)
ზურგზედან თვისსა კასრთა მტვირთავნი,
წყაროზედ მივლენ, იბანენ პირსა
ზოგნი თმას იწვნენ მკერთ გარდაშლილსა,
მუნით მოყმენი ბანით მჭვრეტელნი
არიან ეშხით მათზედ მტრფობელნი,
მოვალს საღამო, მზე რა მთებსა მოეფინების
მუნითგანვე ჰსჩანს, ვითა ბორცვები გამობრწყვინდების
მაშინ მდელონი სხვა და სხვა გვარ იხილვებიან

კაცთ თვალთ მისტაცენ, ესრედ ტურფად ელვარდებიან
შემდგომ ტყით გამო მწყემსებიცა გამოჰსჩნდებიან
კვალად ბინებზედ სრულებითა შემოკრბებიან
თამაშითა და სიმღერითა შეექცეევიან
რა მზე დაცავა ურთიერთსა განშორდებიან.

საშუალ სახლის ცეცხლი მგზნებარე
სად ახევიან ჭიზგანი გარე,
შიშველ მკლავებით აცხობენ პურთა
ზოგნი ბოსელში მოსწველენ ფურთა,
მუნ დგას კაბიჩა, წევს ბერი ხიმი (ავტ. შენ.: ხიმი არის სახელი)

პირისპირ მისა დგას ერთი სკამი
მაზედ ყანიმათ თოფის მწმენდელი
უძახის ხიმი! გიხმობს მშობელი
მოიდგი სკამი, მომიგდე ყური
შენ აწ არღა ხარ ყმა უსუსური."

მესამე ნომერში დაბეჭდილი ტექსტი სულ მცირედი სხვაობით (სიტყვებია შეცვლილი ან გადასმული) მიჰყვება 1936 წლის გამოცემას, გვ. 81 – მოთხრობა მოხუცის ოსიზა, ვიდრე გვ. 83, 15 სტრიქონის ჩათვლით ზევიდან. ხოლო მეოთხე ნომრის ტექსტი კვლავ განსხვავდება აღნიშნული გამოცემისგან, კერძოდ, გვ. 84, სიტყვებს: „თუ ვერ განდევნით ჩვენის საზღვრით მამულის მტერთა"—მოსდევს ერთი სტროფი:

„შვილო არ უწყი ესრეთ არის ძნელი,
ამბავი ესე ძნიად სათქმელი
ენა ვერ იტყვის მათ მხნეობასა.
იტყვიან თათართ ტანჯულებასა..."

ხოლო სტრიქონს: „ჰსუროდათ მათთვის მუსულმანობა",—მოსდევს „ვაიმე ჩემდა! რა მხამს სათქმელად...
მოჰყავთ ჰაბუკნი მათ სატანჯველად". 1936 წლის გამოცემის 84 გვერდზე სულ ბოლო სტრიქონს მიჰყვება:

„მშვიდობით ივერთ მაშვენებელნო,
მამულისათვის თავ შემწირველნო", და ორი სტრიქონიც პუნქტირით, ცენზურისაგან დაკავებული, შემდეგ:

„თუ მივბაძათ ჩვენთა ივერთა,
ვით ვერ განჰყრიდნენ თვისთა თათართა!
აწ ვიწყებ ჰანბავს თუმც სანწუხაროს
განცვიფრდე, შეკრთე, გესაოცაროს",

ამაზე დასრულდა ტექსტის ბეჭდვა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს ეწერა: დასრულება შემდგომს ნომერშიო.

შემდეგი ნაწილი დაიბეჭდა 1853 წლის აპრილის „ცისკარში", სათაურით „ზარე და ყანიმათ".

5. **სოლომონ დოდაშვილის წერილი, ორი ნაწილისგან შედგება: მოწერილი ს. პეტერბურღიდამ ტფილისს ძმასთან (გვ. 42—44) და პასუხი ტფილისიდამ (გვ. 44—47).** წერილი თავდება ხელმოწერით: შენი ძმა ს...

შესანიშნავი წერილია თავისი შინაარსით და სხვადასხვაგვარი ცნობებით, მათ შორის წარმოდგენის გამართვის შესახებ.

6. **განცხადება (გვ. 48).** გაზ. „ტფილისის უწყებანის" ნომრებში განცხადებულის თანახმად „სალიტერატურონი ნაწილნი" უნდა თვეში ორჯერ, პირველსა და თხუთმეტ რიცხვებში გამოცემულიყო, მაგრამ, მთავრობის დადგენილებით, გარდა ქართული ჟურნალისა, თბილისში იბეჭდებოდა რუსული და თათრული გაზეთებიც და, რადგან მაშინდელი სტამბა ამდენ სამუშაოს ვერ აუვიდოდა, ქართული ჟურნალის დაბეჭდვის ვადები რედაქციას ძალაუნებურად შეუცვლია. რედაქცია აცხადებს, რომ „ამისთვის სტამბასა შინა იქმნა დაბრკოლება. ქართულსა ენასა ზედა ყოველთვის გამოვა იგი ხუთსა და ოცსა რიცხვებსა შინა..."

სოლომონ დოდაშვილი დამოკიდებული ხელის მომწერთა რაოდენობაზე, მიმართავს მკითხველ საზოგადოებას დახმარებისათვის, „უკეთუ საზოგადოობა მან მოაქცია კეთილმიდრეკილებითა ყურადღება სასარგებლოსა ამა გამოცემასა ზედა და ისურვა ხელის მოწერა, მაშინ მიუცილებლად განგრძელდება გამოცემა და აღსრულდება ყოველი აღთქმული"-ო.

სოლომონ დოდაშვილი გარდა ამისა, თხოვნის წერილებს ნაცნობებსაც წერდა. „ჰსხვათაცა ჰსთხოვე,—სწერს სოლომონი ფილადელფოს კაკნაძეს,—და კიდეც ეცადევი რათა ხელი მოაწერონ, მე ფრიად დამავალებთ, ამისთვის რომელ ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა, თუ დადგეს დაბეჭდვა მთავრობისაგან, ქართველთათვის სირცხვილია..." (ცენტრარქივი, შეთქმულთა საქმეები; ჰ. გუგუშვილი—„ქართული ჟურნალისტიკის საუკუნეებთან"). ასევე მიმართავდა ს. დოდაშვილი იონა ხელაშვილს რუსეთში მცხოვრებ ბატონიშვილების და ბატონის რძლების მიმართ წერილით, რათა მათაც შორიდან შემწეობა აღმოეჩინათ ჟურნალ-გაზეთისთვის ხელის მოწერით (იხ. „ივერია", 1887, № 227—„საბიბლიოგრაფიო წერილი", წერილი იონა ხელაშვილისადმი 1831 წლის 15 იანვრის თარიღით).

1. **მეფობა ირაკლის მეორისა** (გვ. 49—58) დაიბეჭდა მესამე და მეოთხე ნომრებში, მეოთხე ნომერს აქვს ხელმოწერა ს. დ.=სოლომონ დოდაშვილი.

2. **„მოწოდები ივერთა..."** (გვ. 58—64) ლექსი ღენერალ-ლეიტენანტის, სენატორის გიორგი ევსევის ძის ერისთავისა. შედგება 18 სუთსტრიქონიანი სტროფისაგან. თვითეულ სტროფში მეხუთე სტრიქონი ლექსის მთელ სიგრძეზე მეორდება. ლექსით, მაშინ უკვე მოხუცი ავტორი მიმართავს „იველიის შვილთ", რათა მათ ისმინონ „მოხუცის თხრობანი" და რუსეთის იმპერატორს, რომელიც ღმერთის აჩრდილია, უმადღონ კეთილი ცხოვრებისთვის. თითქოს ეს ნაწარმოები წარმოადგენს პასუხს იმ მიზნებისას, რომლითაც ამ დროს განმსჭვალული იყო ქართველი ახალგაზრდობის ერთი, მოწინავე ნაწილი.

ეს ლექსი ხელმეორედ დაიბეჭდა 1875 წელს „დროებაში", რედაქციის შენიშვნით: „ეს ლექსი ჩვენ გადმოვბეჭდეთ სოლომონ დოდაევის ჟურნალიდამ, რომელიც 1833 (sic) წელს გამოდიოდა. გაზეთს გარდა დოდაევი ჰბეჭდავდა მაშინ აგრეთვე ჟურნალსაცა, რომელსაც სახელად ერქვა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათა" („დროება", 1875, № 134). ოღონდ „დროებაში" დაბეჭდილი ტექსტი სამგან, სახელდობრ,—მეცხრე, მეთერთმეტე და მეცამეტე სტროფებში თითო სტრიქონს აკლებს შედარებით პირველ ნაბეჭდთან.

გიორგი ევსევის ძე ერისთავი (დაიბადა 1759 წელს) სამხედრო მოღვაწე იყო, მისსამინაწილეობით მოეწყო პასკევიჩის ცნობილი ექსპედიცია სპარსეთში. ერისთავმა აიღო ქალ. თავრიზი, ამ დაწსახურებისათვის იგი დაჯილდოებულიც იყო რამდენიმე ორდენით. იგი დიდი მემამულეც ყოფილა, მოიხსენიება, როგორც командир Кавказской резервной гренадерской бригады и окружной начальник в Кахетии და აგრეთვე один из значительнейших помещиков Грузии. 1817 წელს გაილაშქრა ოსების დასაპყრობად 400 კაციანი რაზმით, მაგრამ, როგორც ოფიციალური მიმართვიდანა ჩანს, ეს რაზმი მთლად გაუწყვეტიათ ოსებს და ერისთავიც, „один из главных домогающихся... возвратился без успеха..." (იხ. Акты... том VII, გვ. 382).

გიორგი ევსევის ძე ერისთავი მომკვდარა 1864 წელს ასზე მეტი წლისა (იხ. Словарь кавказских деятелей). მას „ცისკარშიცა“ აქვს დაბეჭდილი ერთი დიდაქტიკური თხზულება, გაჟღენთილი მორალურ-მონარქიული სულით—„მამისაგან შვილის დარიგება“, („ცისკარი“, 1862 წ., № 10).

ერისთავის შემოქმედება მჭიდრო კავშირშია მის ცხოვრებასთან. „მოწოდება ივერთა...“, რომელიც საქართველოს ბრწყინვალე წარსულის, გორგასლან, თამარ და ირაკლის გახსენებით იწყება, თავდება მოწოდებით, რომ:

„ჩრდილოეთის მზე ნათობს, თქვენ დაგირულავთ თვალი,
ოხრავთ, ჰწუხართ, იტანჯვით, გედებათ ცეცხლის ალი
სიყვარული მოიგეთ, ვით მაშვრალს გწყურდეთ წყალი
მაშინ დაეცეს მტერი, მიიღოს დამბობანი...
აი დრო ოქროვანი, გფარავთ იმპერატორი,
ზემო თქმულნი მეფენი, აროდეს თანასწორი
თქვენნი მტერნი დაეცნენ, მახლობელნი თუ შორნი.
აჰა, შვილთა დიდება, ჰსწავლა აღზრდილობანი...
ჩემო ძმანო შემოკრბით, სიყვარული მოიგეთ
შურნი და ბრძოლობანი, ჰსდევნეთ, ჰსცანით, გაიგეთ
მთაგრობათ ბრძანებანი ვითა სჯული დაიდეთ
მაშინ იქმნას დიდება, თქვენნი განსვენებანი“... და სხვ.

მთელი ეს ნაწარმოები ამგვარი სულისკვეთების მატარებელია.

უკვე სიკვდილს და ას წელს მიახლოებული გიორგი ერისთავი 1855 წელს მურავიოვს ეხვეწებოდა, ჩამრიცხე ჯარშიო. „Желаю и теперь для отечества быть в рядах храбрых наших Русских воинов и пролить кровь до последней жизни; но только не командовать корпусом, дивизиею или бригадою, а только, стоя между солдатами около знамени, ободрять словесно Русского воина“... ეს არის უქვეშევრდომესი განცხადება გენერალ მურავიოვისადმი იმ პოეტისა, რომელიც ადრე ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა, დამორჩილებოდა ნიკოლოზ პირველის რეჟიმს, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ „შვილს„ არიგებდა და მოუწოდებდა სიმშვიდისა და განუსჯელობისკენ. გენერალმა მურავიოვმა ღრმად მოხუცს თხოვნა არ შეუსრულა და წერილით უარი უთხრა. ამ საპასუხო წერილში ბევრგანაა ნახმარი სიტყვები: служить царю, пример известной храбрости, самоотверженность და ამგვარები: „Было время,—ათავებს წერილს მურავიოვი,—когда вы принесли должную жертву отечеству. Оно уже внесло ваше имя в летопись Кавказа и теперь ожидает от нас, учеников вашей свет-

лости, возобновления тех-же славных времен, в которые военными вашими дарованиями вы содействовали успеху против врагов наших (იხ. Акты... ტ. XI, გვ. 412—13).

გიორგი ევსევის ძე ერისთავი, როგორც შეთქმულთა საქმეებიდანა ჩანს, თითქოს საიდუმლოს მცოდნე და შეთქმულების მონაწილეც ყოფილა. მას არა ერთხელ იხსენიებს ერთი შეთქმულთაგანი, ელიზბარ ერისთავი. ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენებით, ელიზბარ ერისთავს ერთხელ უთქვამს მისთვის: „თქვენ ნუ გგონიათ, რომ ჩვენ ამას (ე. ი. შეთქმულებისათვის სამზადისს) ჩვენთავად გეუბნებით, არა მეგობარო, ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ—უნდა იცოდე ჩვენი საშუალებით ვინ გთხოვს შენ, რომ ამ წმინდა საქმეში დაგვეთანხმო—ესენი არიან: პირველ ყოვლისა ბიძა ჩემი თ. ერისთოვი, გენერალ-ლეიტენანტი“ და სხვ. ელიზბარ ერისთავი გიორგი ევსევის ძეს სხვაგანაც იხსენიებს თავის ბიძად, კერძოდ: სადილზე, რომელსაც დაესწრნენ ალთანდილაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი და სხვანი. იქ ელიზბარმა დოდაშვილს უთხრა: „ბატონ ბიძა ჩემის სენატორის ლექსები რომ დაბეჭდე, პასუხს აგებ თუ არაო“ (იხ. მემუარები—დიმ. ყიფიანისა, გვ. 140). ელიზბარ ერისთავს შეთქმულთათვის არა ერთხელ უთქვამს, რომ ალ. ჰავჰავაძესთან ერთად „ნაჩალნიკად“ ღენერალ-ლეიტენანტი გ. ერისთავიც იქნებაო და სხვ. იმ პირთა სიაში—კი, რომელთაც რაიმე სასჯელი მისცეს, გიორგი ევსევის ძე არ იხსენიება. ამრიგად, ის შეიძლება გამოყენებული იყო შეთქმულთაგან, როგორც დიდი ჩინოსანი—სახელისთვის და არა რაიმე მოქმედებისთვის. ყოველ შემთხვევაში მისი შემოქმედების ნიმუშები „სალიტერატურო ნაწილში“ და „ცისკარში“ არაფერს არ ლაპარაკობს რუსეთის მეფის საწინააღმდეგოს.

საინტერესოა ის, თუ როგორ მოხდა გიორგი ევსევის ძე ერისთავის ეს თხზულება სოლომონ დოდაშვილის ჟურნალში, ალბათ, იმ დიდი გავლენის გამო რაც ამ სენატორს ჰქონდა მაშინდელ მთავრობასა და საზოგადოებაში. აზრით რომ შეთქმულთა ან უკეთ სოლომონ დოდაშვილის მისწრაფებებს არ უდგება, ეს ცხადია.

გიორგი ერისთავს გარდა გამოქვეყნებული ლექსებისა სხვებიც ჰქონია. რამდენიმე მათგანი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაშია დაცული. ზოგი ავტოგრაფია. ხელო ზოგიც სხვადასხვა პირთაგან გაღაწერელი და სალექსო ალბომებში შეტანლი (მაგ. სახ. მუზ. ფონდი Q, № 27 და სხვანი).

3. **ოსური მოთხრობა** (გვ. 64—67), იხ. შენიშვნა № 4, გვ. 81.

4. **შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა, რომელიცა დაბეჭდილ იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთთასა 1832-სა ამას წელსა**—(გვ. 67—72) **სოლომონ დოდაშვილი.**.

ხელმოწერილია მხოლოდ ინიციალებით ს. დ... ეს საპასუხო წერილია რუსის მოხელის გორდეევის წინააღმდეგ, რომელმაც „Тифлисские ведомости"-ს 1832 წლის პირველ ნომერში დაბეჭდა „საქართველოს უკანასკნელ მეფეთა დამარხვის წესები", სადაც ამახინჯებდა ისტორიულ ფაქტებს. სწორედ ამ დამახინჯების წინააღმდეგ არის მიმართული დოდაშვილის ეს წერილი, რითაც ეგი რუსული გაზეთის წერილის ავტორს უვიცობას და სიცრუეს უკიჟინებდა.

5. [ნარევი]—(გვ. 72) ორი პატარა ამბავია, პ ი რ ვ ე ლ ი: „ერთმან მიიღო მკურნალისაგან ნება, რათა ღვინო დალიოს მხოლოდ მაშინ, ოდესაც ჰზის სადილათ, მან ჰეშმარიტებით აღასრულა სიტყვა მკურნალისა: დილით საღამომდი იჯდა სადილათ და ჰსვამდა ღვინოს".

მ ე ო რ ე: „იცი, რომელ იმ კაცს წარსულს კვირას სტაქანს ღვინოში დაუკარგავს გონება, ახლა ეძებს და ვერ უპოვია".

ორივე ეს ამბავი უსათაუროა. ნარევი—კუთხოვან ფრჩხილებში, ჩვენი გაკეთებულია.

№ 4 თებერვალი.

1. **მეფობა ირაკლი მეორისა**—(გვ. 73—80), იხ. შენიშვნა 1, გვ. 85.

2. **ელენა**—გვ. (80—88), ხელმოწერა აქვს არაბული ნაშანი—„4". დაიბეჭდა მეოთხე და მეხუთე ნომერში. ორიგინალური მოთხრობაა და არა ნათარგმნი, როგორც ეს ნაჩვენები აქვს პ. გუგუშვილს წერილში „ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან". მოთხრობის ქარგა მეთვრამეტე საუკუნეა, ქართული ცხოვრება, ქართუ-

ლი სახელებითა და გმირებით. ეს მოთხრობა თითქოს პროტესტია ოჯახის ტრადიციული წესების წინააღმდეგ.

ხელმოწერის შესახებ: არაბული რიცხვი „4“ სოლომონ დოდაშვილის ფსევდონიმია, ეს ირკვევა შემდეგიდან: ამ ჟურნალის მეხუთე ნომერში დაბეჭდილია თ. გურამოვის წერილი „საყვარელო მამულო“, რომელიც ორსტროფიანი ლექსით მთავრდება. თ. გურამოვის წერილი პოლემიკაა ვინმე გ...სთან. წერილის ბოლოს ლექსის უკანასკნელი სტრიქონი ასეთია; „...მას უბედურ ა, მალ პასუხსუგებს ჩვენი ს... 4...ია“. თ. გურამოვის ეს წერილი მეორედ დაბეჭდილია გაზ. „დროებაში“, სადაც ეს ინიციალები გახსნილია და წერია: „...ჩვენი სოლომონ დოდაევია“. („დროება“, 1875, № 73), ასევე გახსნილია ეს ინიციალები ზაქარია ჭიჭინაძის წიგნაკში „სოლომონ დოდაშვილი“, გამოცემულს 1893 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ „დროებას“ რედაქციაც და ზაქარია ჭიჭინაძეც ამ წერილს აკუთვნებენ თვით სოლომონ დოდაშვილს, მაგრამ, როგორცა ჩანს, მათ, არც ერთსა და არც მეორეს პირველნაბეჭდი არ უნახავთ. ზაქარია ჭიჭინაძეს კი თავის წიგნაკში ეს წერილი აუცილებლად „დროებადან“ გადაუბეჭდია და ამრიგად გაუმეორებია გაზეთის შეცდომა (ამის შესახებ ქვევით).

არაბული რიცხვი „4“ არის თვით რედაქტორის გვარის პირველი ასოს რიცხვითი გამოხატულება, ქართული სათვალავით 4-დ.

3. **თოვლი** (გვ. 80—82)—ლექსი. ხელმოწერის ადგილზე: ტფ...[ილისის] ღიმ.[ნაზიის] მოწ[აფე]დ—მა... [დავით მაჩაბელი]. ეს დავით მაჩაბელი მოხსენებულია 1832 წლის შეთქმულების საქმეებში რამდენჯერმე, როგორც ნიჭიერი მოწაფე, რომლის სასწავლებლად გაგზავნას აპირებდნენ სხვებთან ერთად რუსეთში. მისი ლექსები მაშინვე, მიუხედავად ავტორის მცირეწლოვანებისა, შეთქმულთათვის სასიამოვნო საკითხავი ყოფილა. „ჩვენ აქ (სოლომონ დოდაშვილის ვახშამზე) წავიკითხეთ მოწაფე მაჩაბელოვის თხზულებანი და ემსჯელობდით...“ (1832 წლის შეთქმულება“, გვ. 177).

დავით მაჩაბელი დაიბადა 1813 წელს და სრულიად შესაძლებელია, რომ იგი შეთქმულთა საქმიანობის კურსში ყოფილიყო, თუმცა დასჯილთა სიაში იგი მოხსენებული არ არის. მაჩაბელს გიმნაზიის კურსი 1835 წელს დაუმთავრებია, უმსახურია თბილისის „გლავნი უპრავლენიაში“, შემდეგ იყო სამხედრო სამსახურში და მიღებული ჰქონდა სტანისლავის ნიშანი. დავითს ცოლად ჰყოლია ელისა-

ბედ სვიმონ წერეთლის ასული, ჰყავდა შვილი—აბესალომ, ავრეთვე მწერალი და მცირე რანგის მოღვაწე. თვით დავით მაჩაბელი, გარდა „სალიტერატურონი ნაწილისა“, მონაწილეობას იღებდა „ცისკარში“, დაბეჭდილი აქვს რამდენიმე ლექსი—„ვარდი“, „ჩემი ლოცვა“, „ქართლი“ და სხვ. სამსახურის შემდეგ დავითს გამყდმებით თავის სოფელში—თამარაშენში უცხოვრია და, როგორც იოსებ ელიოზიშვილი წერდა: „არ უყვარდა სიარული, წიგნები ყოველთვის ჰქონდა და მათ კითხულობდა“ („ცისკარი“,1873, ბოლონდელი ნომერი).

დავით მაჩაბელი მოუკლავთ ყაჩაღებს 1873 წელს 10 ოქტომბერს. მისი სიკვდილის გამო ნეკროლოგები დაიბეჭდა „დროებაში“ (1873, № 44) და „ცისკარში“. პირველი წერდა: „განსვენებული ბეჭდავდა თავის შრომებს ცისკარში. ლექსები ზოგიერთნი სწორედ მოსაწონნი არიან და გვიჩვენებენ, რომ თ. დავით პოეტური გრძნობა ნიჭებული ყოფილა“-ო. „ცისკარი“-კი ასე ახასიათებდა მაჩაბელს: „ეს დავით მაჩაბელი რუსულს ენაზედ კარგად მცოდინარე და ქართველებისა პოეტი, ლექსთ თხზულებანი მისნი სასიამოვნო გემოვანნი და შეწყობილნი კარგის ხელოვნებითა, რომელთაგანნი მრავალნი არიან დაბეჭდილნი ჟურნალს ცისკარში“-ო.

ლექსში „თოვლი“, აუცილებლად ის იდეები ჩანს, რომლითაც დაინტერესებულ იყვნენ ჩვენი შეთქმულები 1832 წელს:

„ძლიერი მძლავრობს, მას ზედა, ვისოდენ თვით მოერევის,
მაღალს სხვა მაღლობს, თანდისთან ზედ მოდის ცაში ერევის,
მუნ ღვთისა სწორი არავინ არის, ძალუძს მეტობა მერე ვის?
ეგრეთ ამ მძლავრსაც სხვა მძლავრობს, სხვა უმეტესი ერევის“...

დავით მაჩაბლის ლექსები ზოგიერთი ხელნაწერებში დაცული და ინახება საქართველოს მუზეუმში. მათ შორის საინტერესოა მაჯამურად დაწერილი „თქმული დავით მაჩაბლისაგან ბარძიმის შვილისა“ (მუზეუმის H ფონდი, № 2056, გვ. 136):

„ჩემსა სატრფოსა არც ვარდი ჰგავს არ ია
ანგელოზი ანუ ღმერთი არია
გასაოცრად მან დამღერა არია
ქნარი ჩემი მისგან ხმამან არია“... და სხვა.

4. **ოსური მოთხრობა** (გვ. 83—95), იხ. შენიშვნა 4, გვ. 81.

5. **ყრმებრივი უმანკოება** (გვ. 96)—თარგმნილია რუსულიდან დავით ბარძიმის-ძე მაჩაბლის მიერ. დაიბეჭდა მეოთხე და მეხუთე ნომრებში.

№ 5—მარტი

1. **ელენა** (გვ. 97—104), იხ. შენიშვნა 2, გვ. 88.

2. **სამი ინდის ხურმა** (გვ. 104—109), აღმოსავლური წარმოშობის არაკია ხალიფა მამუნისთვის თქმული მონის მიერ.

3. **ყრმებრივი უმანკოება** (გვ. 109—114) იხ. შენიშვნა 5, ზევით.

4. **ღიშპანური სიმღერა [პუშკინი]** (გვ. 114) რუსულიდან თარგმნილი სოლომონ რაზმაძის მიერ. ლექსი პუშკინისაა და დაწერილია 1824 წელს, 13 ნოემბერს. სოლომონ რაზმაძეს, ალბათ, რუსეთში ყოფნისას აქვს თარგმნილი (იგი დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში), უფრო კი „გადმოლექსულნი“, როგორც თავის დროზე მიუწერიათ ს. რაზმაძის ლექსთა თარგმნებისათვის. ეს „გადმოლექსულება“ აძლევს საბაბს ს. რაზმაძეს, შეასწოროს და გადააკეთოს თარგმანი. ერთ-ერთი ასე გადაკეთებული არის ეს ლექსიც, რომელსაც რუსულში სათაური არა აქვს, ქართულად კი ჰქვია—„მელოდია—ღიშპანური სიმღერა“.

მთარგმნელის ხელმოწერა ამ ლექსს არა აქვს.

სოლომონ ივანეს-ძე რაზმაძე ერთერთი საინტერესო ფიგურაა ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში. უბრალო გვარის ჩამომავალი მოხვედრილა ქართველი ბატონიშვილების წრეში და ოცდაორი წელიწადი გაუტარებია პეტერბურგში, სადაც მაშინ მრავალად იყვნენ ძალით თუ ნებით გადახვეწილნი საქართველოს სამეფოს პირდაპირი და არაპირდაპირი მემკვიდრენი და დიდგვაროვანნი.

სოლომონ რაზმაძის მამა ივანე (იგივე გივი), იმერეთიდან გადმოსახლებულა და ერეკლე მეორის დროს შემთხვევით აზნაურობა

უმოვია, მაგრამ, როგორცა ჩანს, ეს გვარიშვილობა მეტად არამყარი ყოფილა, რადგან მისი შვილი, რუსეთს გადასახლების შემდეგ, დიდხანს თურმე არ მიიღეს სამსახურში „უგვარობის“ გამო, მაგრამ მერე სოლომონს ნაცნობმა ბატონიშვილებმა და ბატონის რძლებმა უმოწმეს და ამრიგად, ერეკლეს მიერ მისი მამისთვის ნაბოძები და შემდეგ დაკარგული აზნაურობა, 1840 წელს თურმე აღიდგინა. სოლომონ რაზმაძე დაბადებულა 1798 წელს, ხოლო 1811 წლიდან 1831 წლამდე მას რუსეთში გაუტარებია თეიმურაზ ბატონიშვილის მფარველობით და, როგორც განსვენებული .სიმონ ხუნდაძე წერდა, ცხადია, ეს სამშობლოს მოცილებული ბატონიშვილი, როგორ აზრებს ჩაუნერგავდა მას. 1831 წელს სიმონიჩის რუსეთის ელჩად სპარსეთში დანიშვნის შემდეგ, სოლომონი ელჩისთვის თან გამოუყოლებიათ, როგორც მცოდნე აღმოსავლური ენებისა. სოლომონი თბილისში გზად შეჩერებულა და ამ ხნის განმავლობაში მიუღია კიდეც რამდენიმე დავალება შეთქმულთაგან, კერძოდ, სპარსეთში გადავარდნილ ალექსანდრე ბატონიშვილსა და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკება რუსეთის წინააღმდეგ ამბოხების დახმარებაში. შეთქმულების გაცემისთანავე, 1833 წელს სპეციალურად სოლომონ რაზმაძისთვის თავრიზში გაგზავნილ კაცს იგი ჩამოუყვანია თბილისს, სადაც დააპატიმრეს, გაასამართლეს და 1834 წლის 24 ივნისს გადაასახლეს ქ. პენზაში, სადაც გარდაიცვალა 1862 წელს.

სოლომონი, მართალია, თავის ჩვენებაში წერდა, რომ „я получил весьма малое свое воспитание в Петербурге“-ო, მაგრამ, როგორც საბუთებიდანა ჩანს, მას ბევრი რამე გაუკეთებია და, ალბათ, მეტსაც გააკეთებდა, უდროოდ რომ არ ჩაეკლათ მისი გონება

„...უცხოთა ადგილთა ცივთა
სადა ვლასლასებ აჩრდილის დარად...“

იმ მასალების მიხედვითაც კი, რომელნიც დღემდე არიან ცნობილნი სოლომონ რაზმაძის შემოქმედების შესახებ, გარკვეულად გამოჩანს პეტერბურგში მიღებული ცოდნა მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართველისა, რომლისთვისაც სამშობლოს სიყვარული და მისი კეთილდღეობისთვის, მისი ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა წინა პლანზეა წამოწეული. სოლომონ რაზმაძე მსგავსად სოლომონ დოდაშვილისა დიდი ნიჭისა და ენერგიის მატარებელია.

სოლომონ რაზმაძის ზოგიერთი ლექსი ჯერ კიდევ „დროებაში“ იყო გამოქვეყნებული პოლ. კარბელაშვილის მიერ („დროება“, 1882 წ., № 259, „სოლომონ ივანეს-ძე რაზმაძე“), რომლითაც უსარგებლია სიმონ ხუნდაძეს (იხ. მისი—„სოლომონ რაზმაძე და მისი ლიტერატურული მოღვაწეობა“--„ლიტერატურული გაზეთი“, 1935 წ.). რაზმაძის მიერ თარგმნილი მიცკევიჩის „ფარისი“ გამოაქვეყნა პროფ. მიხ. ზანდუკელმა, იოსებ გრიშაშვილს კი ეკუთვნის ლენინგრადის ყოფ. სააზიო მუზეუმის ფონდში დაცული „სტიხნი სოლომონ რაზმაძისაგან რუსული ენით გადმოლექსულნი“-ს ხუთი ლექსის გამოქვეყნება (იხ. „კომუნისტი“, 1935, № 229 და „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 4). გ. გოზალიშვილმა-კი გამოაქვეყნა არაკი „დათვი და ცხვარი“ („1832 წლის შეთქმულება“, გვ. 98. იხ. აგრ. „მნათობი“, 1926, VII).

სოლომონ რაზმაძე ნაბეჭდ ლიტერატურაში ჯერჯერობით მეტწილად თარგმანებით არის წარმოდგენილი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, იგი არ არის პირდაპირი მთარგმნელი, მას ამ საქმეში თავისი წვლილიც შეაქვს და თარგმანს თავისებურად აკეთებს.

ის აზრები, რომელიც სოლომონს პეტერბურგის ქართველ წარჩინებულთა წრეში ჩაესახა, გამოთქმული აქვს ერთი თარგმანის ლექსითი წინასიტყვაობაში (გამოაქვეყნა ს. გრიშაშვილმა):

„ვინა ვალია
თავის დადება
მამულისათვის
ყოველის კაცისგან,
მის გამო მეცა
კადნიერქმნილმან
ვსთარგმნე ეს წიგნი
რუსთა ენისგან,
დაბეჭდვასაცა
არარა მრიდა
რომ ივერიელთ
ისწავლონ მისგან
და მით მწე ექმნან
მამულსა თჳისსა
და თავი იხსნან
სკვით დესპოტისგან“.

ხოლო არაკში „დათვი და ცხვარი“ ალეგორიებში მოცემულია დამპყრობელი და დაპყრობილი, რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა მეცხრამეტე საუკუნეში და საქართველო.

სოლომონ რაზმაძეს ურთიერთობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა გრ. ორბელიანთან. სოლომონმა მას გაუგზავნა მიცკევიჩიდან თარგმნილი „ფარისი“—გადასახედად; ცენტრარქივში დაცულია წერილი რაზმაძისა გრ. ორბელიანისადმი: „ბრწყინვალეო კნიაზო გრიგოლ, პეველი განსაკუთრებით დაბეჭდილი არა მაქვს და ამ სამს ტომში რაც რომ 1824-მდინ დაუთხზავს, სუყველა არის“. ეს პასუხია გრ. ორბელიანისადმი, ამ უკანასკნელისგან ჟუკოვსკის „Певец во стане русских воинов“-ის თხოვნაზე (ცენტრარქივი, საქმე № 171).

სოლომონ რაზმაძე შეთქმულების გაცემამდე ფართო საზოგადოებრივი საქმიანობით არის დაინტერესებული, მას რუსულიდან უთარგმნია წიგნი ივერიელთა სასწავლებლად, იგი დიდი სიამოვნებით იღებს დავალებას ალექსანდრე ბატონიშვილსა და უცხოელებთან მოლაპარაკების შესახებ, თავის თარგმანებს და ლექსებს კითხულობს შეთქმულთა შეკრებებზე, მაგრამ, როცა იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს, მაშინ მისი ტონიც იცვლება, ჭმუნვა-სევდით არის მოცული, ნაძალადევად სამშობლოს მოშორებულს (თორემ 22 წელიწადი მან რუსეთში გაატარა) ავონდება ნაცნობნი ბორცვნი, ნათელნი ველნი და სხვა სურათები, გრძნობს დიდ ძალას, რომელსაც ველარ შეებრძოლება, რომლისგანაც უნდა დაიღუპოს და ამისთვისაა, რომ მისი შემოქმედება მარტოოდენ ცრემლი და ტირილია ამ დროს. ეს შემოქმედება უიმედო, ცრემლიანი პოეზიის მშვენიერი დამახასიათებელია:

„ნეტამც, მამულო, არ მომდებოდა
შენის ხელვისა სურვილის ალი
ურვის სახმილში არ დადნებოდა
ეს ჩემი გული, მომაკლდა ძალი...
ეჰა მამულო! ეჰა მამულო!
მარტო მტირალად არ დავაგდებდი
დედას საბრალოს ჩემს სიცოცხლესა,
არც შვების დღესა დავუბნელებდი
არ გარდვუქცევდი მას ბნელად მზესა,
ვაიმე დედავ, ვაიმე დედავ
ვგოდებ ნიადაგ, რომ ვერა გხედავ“...

უცხო ქვეყანაში, მარტოდმარტო, საზოგადოებაში ყოფნას და ტრიალს ჩვეული, მომაკვდინებელ მარტოობას გრძნობს, მისთვის სიცოცხლეს ფასი აღარა აქვს, სინათლე გულს ველარ ახარებს, ამაოდ მზერს და ატარებს ხედვას მთასა და ველზე. განსაკუთრებით მტკივნეულობით განიცდის დედის დაშორებას, რომლის ცქერითაც ვერ გაძღა (მხოლოდ სამიოდე თვე იყო საქართველოში, დანარჩენი დრო რუსეთში გაატარა). მისი არსება მთლად შერყეულია და ფიქრობს, რომ კავკასიის გრილი ნიავიც კი ველარ გაუმთელებს სულს. რომანტიკოსებისთვის ჩვეული და საყვარელი ატრიბუტებიც კი უარუყვია პოეტს, „შენცა უფსკრულო, ღამის სიბნელევ... მომშორდი შენცა...“, იმისთვის, რომ ხვედრი განკუთვნილია მისთვის

“დაცარიელდა ჩემთვის საწუთრო
სისხლისა ცრემლნი სიკვდიდმდე ვღვარო
ეს ხვედრი ჩემი ვერ ვინ შესცვალოს
გულზედა მაწევს ურვა ვით ლოდი,
მისმან მახვილმან მგმიროს და მგმიროს
ჰოი, სიკვდილო, რას ჰლამი, მოდი“.

სოლომონ რაზმაძეს მართლაც ველარ ელირსა მცირედი გაღიმებაც კი ბედისა. მაშინ, როცა მას ნება დართეს პეტერბურგში გადასახლებულიყო, სოლომონი ოკვე მკვდარი იყო.

სოლომონ რაზმაძე პუშკინის პატივისმცემელია, მისი შემოქმედება ძლიერ ჰყვარებია და ამისთვის ბევრიც უთარგმნია: „წინასწარმეტყველი“, „დემონი“, „ევგენი ონეგინიდან“, „ლხინი“ და სხვა. მისი მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში პირადი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამატებით—მთლიანად ხატავს სოლომონის საინტერესო ფიგურას, რომელსაც ჯერ კიდევ დეტალური შესწავლა სჭირდება.

სოლომონ რაზმაძემ რუსეთში იქორწინა, ცოლად ჰყავდა რუსი ქალი. 1845 წელს შეეძინა ვაჟი—ალექსანდრე, რომელიც შემდეგში ცნობილი კომპოზიტორი იყო. მან დასწერა „ნარკვევები მუსიკის ისტორიიდან“ (1888 წ.). იგი ავტორია მრავალ მუსიკალურ ნაწარმოებისა და ოც წელზე მეტი ითვლებოდა „Музыкальный Вестник“-ის რედაქტორად.

სოლომონ რაზმაძის ორიგინალური ლექსები, ზოგიერთ თარგმანებთან ერთად, დაცულია საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

5. **ლხინი** (გვ. 115)—პუშკინის ლექსია, გადმოთარგმნილი სოლომონ რაზმაძის მიერ. ორიგინალის ავტორი არ წერია. ლექსი თარგმნილია და არა ორიგინალური, როგორც ჰფიქრობდა განსვენებული პროფესორი ს. ხუნდაძე (იხ. წერილი „სოლომონ რაზმაძე და მისი ლიტერატურული მოღვაწეობა"—იგი წერდა—„ტფილისის უწყების სალიტერატურო ნაწილის უკანასკნელ მარტის ნომერში მან მოათავსა „ისპანური სიმღერის" თარგმანი და ორიგინალური ლექსი—„ლხინი").

ორიგინალთან სიახლოვის თვალსაზრისით სოლომონ რაზმაძის თარგმანი უფრო ახლოა, ვიდრე ამავე ლექსის გრ. ორბელიანისეული თარგმანი.

პუშკინს ეს ლექსი („Пир") დაწერილი აქვს 1819 წელს, პირველად დაიბეჭდა კუხელბეკერის მიერ გამოცემულ ალმანახში—„მნემოზინა", 1824 წელს. ეს ლექსი რუსულად ასე იკითხება:

„Я люблю вечерный пир
Где веселье председатель,
А свобода, мой кумир
За столом законодатель,
Где до утра слово пей
Заглушает крики песен,
Где просторен круг гостей
А кружок бутылок тесен".

იმ ხანებშივე ეს ლექსი ორჯერ ითარგმნა ქართულად და პირველი თარგმანი სოლომონ რაზმაძეს ეკუთვნის, პირველად მისი ნახელავი დაიბეჭდა:

„ვეტრფი საღამოს ხადილობასა,
სადაცა სუფევს მხიარულება,
სადაცა მოჰფენს ამოვნებასა
ჩემი მიჯნური თავისუფლება.
სადა სამს დღესა ვერვინ ისარგოს
სადაცა სიტყვა,—შესვი, შეგარგოს,
და ჯახა-ჯუხი ჯამთა ჯიხვებთა
აღმატების სიმღერისა ზარს,
სადა ხალვათ არს სიმრგვალე მღლეველთა
და ჩაფებითა სუფრა სავსე არს".

მეორე მაშინდელი თარგმანი გრ. ორბელიანს ეკუთვნის, მას ეს შეუსრულებია იმავე 1832 წელს, პეტერბურგში, სათაურით „ლხინი", რომელსაც ფრჩხილებში უწერია—მიბაძვა პუშკინისა. იგი მარ-

თლაც მიბაძვაა, ძლიერ დაცილებულია დედანს და, თუ რაზმაძის ნათარგმნი ზომით უდგებოდა დედანს, ორბელიანისეული უფრო განვრცობილია.

6. **საყვარელო მამულო** (გვ. 116—117)—თ. გურამოვისა. ეს წერილი, მიმართვა სამშობლოსადმი, რომელიც ლექსით მთავრდება, მყორედ დაიბეჭდა „დროებაში“ 1875 წლის 29 თიბათვეს. ამ გაზეთის რედაქციამ იგი სოლომონ დოდაშვილს მიაკუთვნა, რადგან სულ უკანასკნელი სიტყვები თხზულებისა მისი სახელითა და გვარით მთავრდება. აქედან გადაბეჭდილი ზაქარია ჭიჭინაძემაც აგრეთვე დოდაშვილს მიაკუთვნა იგი. როგორცა ჩანს, არც „დროებას“ და არც ზაქარია ჭიჭინაძეს „სალიტერატურონი ნაწილნი“-ს ეს, მეხუთე ნომერი არ უნახავთ, თორემ იქ სრულიად გარკვეული ხელმოწერაა—**თ. გურამოვი.**

ეს თ. გურამოვი უნდა იყოს თადეოზ გურამიშვილი, საგურამოელი თავადი და მემამულე, მამა ილია ჭავჭავაძის მეუღლისა—ოლღა ი. 1875 წელს „დროებაში“ დაბეჭდილ ტექსტს რედაქცია მცირე შენიშვნას უკეთებს. იქ წერია: „უფ. ი. ჭავჭავაძემ გადმოგვცა შემდეგი ნაწერი სოლომონ დოდაევისა და რადგან ამ კაცის (დოდაშვილის) ყოველი ნაწერი, სხვა არა იყოს რა, ჩვენი ლიტერატურის ისტორიისთვის მაინც უნდა იყოს საინტერესო, ამიტომ აქ ვბეჭდავთ“. მაშასადამე, ილია ჭავჭავაძეს, თავის სიმამრის სახლში უნახავს ეს თხზულება და გადაუცია რედაქციისთვის გამოსაქვეყნებლად. სრულიად შესაძლებელია, რომ ილია ჭავჭავაძეს არ სცოდნოდა „საყვარელო მამულოს“ დაბეჭდვა, რადგან „სალიტერატურონი ნაწილნი“ იშვიათი იყო და „დროებაც“, როგორც უნიკუმს, ისე ბეჭდავდა იმ ჟურნალისა და გაზეთის მთლიან ტექსტს.

სამწუხაროდ, თადეოზ გურამიშვილის შესახებ ცნობები ბევრი არ მოიპოვება. 1867 წელს იგი ჯერ ცოცხალია (მოხსენებულია „ცისკრის“ ხელისმომწერთა სიაში). უფრო გვიანაც, დაახლოვებით 1869—70 წლებში იგი „უკვე ღრმად მოხუცებული იყო, სიბერეს წელში კარგად მოეღუნა. თეთრი გრძელი ულვაშები თითქმის მხრებზე სცემდა, ტახტზე იჯდა, მუთაქაზე ნახევრად წამოწოლილი; გვერდზე გრძელი ჩიბუხი ედო, ისეთი გრძელი, რომ თავი რომ აქ იდო, ტარი თითქმის ნახევარ ოთახს სწვდებოდა... ლაპარაკობდა დინჯად, დარბაისლურად, აუჩქარებლად...“ (იხ. ი. მანსვეტაშვილი—მოგონებანი, გვ. 158). მანსვეტაშვილის მოგონებები ეხება სწორედ

ზემონახსენებ წლებს, როცა მემუარების ავტორი ყოფილა 14—15 წლისა (მანსვეტაშვილი დაბადებულია 1855 წ.).

„საყვარელო მამულო“ შეეხება იმ კამათს, რომელიც სოლომონ დოდაშვილსა ჰქონდა გამართული ვინმე გორდეევთან „ქართველ მეფეთა დამარხვის წესების შესახებ“. რუსი ჩინოვნიკი გორდეევი, სოლომონ დოდაშვილის თქმით, „არა მცოდნეა ქართულისა ენისა, ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამოჩენილსა სიცრუესა... უსვინდისოთ გარდმოუწერია უფალს ღარდეიევს...“—ეს წერილი სწორედ ამ კამათს შეეხება, რითაც თადეოზ გურამიშვილი სოლომონის მხარეზე დგას და თავისებურად ეკამათება ქართული ისტორიული სინამდვილის დამმახინჯებელს—რუს ჩინოვნიკს—გორდეევს.

თ. გურამიშვილის მიმართვა მამულისადმი ლექსითა მთავრდება:

„ძენი შენია, ვითა გშვენია, ყოვლნი გაქებენ სიბრძნისა ხლაპით.
შენთა მოშურნეთ, ჩვენ მოვეშურნეთ სირცხვილეულ ვჰყოთ
გაებანოთ ტლაპით,
ქება შენია, არ მარტო ვსთქვია; მოსთქმენ იანგნი,
ფრინველიც ღლაპით.
ოსმალნი, სპარსნი, ბერძენთა დასნი; და ევროპელნი
მოხდილის შლაპით.
თუ იტყვის ნაკლებს, თავის თავს აკლებს, იგი უფალი
გ[ორდეევ]ია
ვისგან ქებაცა, არის ვნებაცა, არც ვისგან კარგათ
შესამჩნევია
ვერც იცნობს თავსა, ამბობს სხვის ავსა, ჰგონებს
რომ იყოს შესაქცევია
მას უბედურსა, მალ პასუხს აგებს ჩვენი **ს[ოლომონ]**
4 **[დოდაევ]ია**

კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული გაშიფრვა ჩვენია, იგი სრულიად უდგება ლექსის ზომას და რითმასაც.

თ. გურამოვის ამ ლექსის ავტოგრაფი ინახება საქ. მუზეუმში.

7. **უმანკოება** (გვ. 118)—სენტენციური რამ უმანკოებაზე, რომელიც პირველი ცოდვის შემდეგ წავიდა ზეცას და ქვეყნად იშვიათად ჩნდება.

8. **განცხადება** (გვ. 119—120)—ხელმოუწერელია, ეკუთვნის სოლომონ დოდაშვილს, მიმართვაა ქართველი საზოგადოებისადმი ჟურნალზე და გაზეთზე ხელის მოწერით დახმარების გაწევის შესახებ.

1938. თბილისი.

ლ. მელიქსეთ-ბეგი

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და მისი შრომები *

(ქრონოლოგიური ბიბლიოგრაფია)

მეტად ფართოა და საინტერესო აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის ასპარეზი. გამოჩენილი მეცნიერი 40 წლის დაუღალავი მუშაობის განმავლობაში საქართველოს წარსულის შესწავლაში, პირველი ნაშრომების გამოქვეყნებიდანვე, განსაკუთრებულ გულისყურს და დიდ ცოდნას იჩენდა, რაც მრავალი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ თხზულებებში გარკვეულად გამოსთქვა და ჩამოაყალიბა.

პირველი მეცნიერული ნაშრომი აკად. ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს (1897 წ.) დასწერა და ამის შემდეგ მისი კალამი არ შეჩერებულა. იგი მუშაობდა და მუშაობს, იბრძოდა და იბრძვის თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი წინსვლისათვის და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისთვის. აკად. ივანე ჯავახიშვილი, დაუღალავი სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, ყოველთვის აწარმოებდა პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მუშაობასაც და როგორც საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეში, ისე ამ დარგებშიც დიდ წარმატებას აღწევდა.

პირველსავე მეცნიერულ ნაშრომში აკად. ივანე ჯავახიშვილმა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები წამოაყენა, რომელიც საქართველოს ისტორიის შესწავლის მეცნიერულ საფუძვლებს გულისხმობდა. ეს საკითხები შეეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან ამოცანას, როგორიც ისტორიის წყაროების კრიტიკული შესწავლა არის. ამ ნაბიჯით აკად. ივანე ჯავახიშვილმა სრულიად გასწყვიტა კავშირი იმ სკოლასთან, რომელიც საქართველოს ისტორიას და ისტორიულ ძეგლებს გულუბრყვილო მოწიწებით ეკიდებოდა, რომელსაც წარსულის ყოველივე დანატოვარი უანგაროდ და უნაკლოდ მიაჩნდა. გაბედული ნაბიჯი სახელოვანი მეცნიერისა, საქართველოს ისტორიის კვლევა—წყაროთა კრიტიკული შესწავლა-დადგენის საფუძველზე და ისტორიულ-მეთოდოლოგიური ინტერესი, ჩამოყალიბდა

* შედგენილია 1939 წ.

შრომაში „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინად და ახლა“, რომელიც რამდენიმე წიგნს შეიცავს და რომლებშიც განხილულია ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელი სხვადასხვა დარგი: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ქართული საფასსაზომთა მცოდნეობა (ნუმიზმატიკა-მეტროლოგია), ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა (პალეოგრაფია), ქართული სიგელთმცოდნეობა (დიპლომატიკა) და სხვა. აკად. ივანე ჯავახიშვილის ეს ნაშრომები წარმოადგენს საფუძველს, რომელზედაც დაყრდნობილია საქართველოს ისტორიის შესწავლა.

აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილი მეორე სერია ნაშრომებისა—„ქართველი ერის ისტორიის შესავალი“—არა ნაკლები მნიშვნელობის მქონეა. ამ ნაშრომთაგან ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კაპიტალური წიგნია გამოქვეყნებული (წიგნი მეორე: ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა). ეს ნაშრომები მიზნად ისახავენ „ქართველთა უუძველესი ხანის ენისა და კულტურის მთავარი საკითხები“-ს განხილვა-გაშუქებას. პირველ წიგნში განხილული იქნება პრობლემები, დაკავშირებული საქართველოს, იმიერ და ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურის ისტორიასთან, მეორე წიგნი (გამოქვეყნებული—ტფილისი 1937, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა) „ქართულ-ქართველური და ე. წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და ნათესაობის საკითხის გამორკვევას შეადგენს. აქ, მაშასადამე, პრობლემის ენათმეცნიერული თვალსაზრისით განხილვისა და გადაჭრის ცდაა“, „მესამე წიგნში ქართველთა და კავკასიელთა უუძველესი ხანის კულტურული ვითარებისა და ისტორიის ზოგადი მონახაზი იქმნება წარმოდგენილი ენისა, ზნეჩვეულებათა ანალიზისა და ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ძეგლების მარაგის მიხედვით“.

ასეთი ნაშრომების შექმნა გამოიწვია დაუღალავმა მუშაობამ „ქართველი ერის ისტორიის“ ხელახლად, მესამედ გადასამუშავებლად.

აკად. ივანე ჯავახიშვილმა გარკვეულად დააყენა აგრეთვე საკითხი არაქართულ ისტორიულ წყაროთა შესასწავლად: რადგან წარსულში საქართველოს მრავალ ერებთან ჰქონდა ურთიერთობა პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიური, ამიტომ მეზობელ ხალხებისა და ქვეყნების ისტორიულ წყაროებშიც უამრავი ცნობებია თავმოყრილი საქართველოს მათთან ურთიერთობისა და წარსულის შესახებ. ამგვარი მუშაობის შედეგია „ძველი სომხური საისტორიო მწერლობის“ პირველი წიგნი (ტფილისი 1935 წ.).

შესანიშნავია და უბადლო აგრეთვე სხვა კაპიტალური ნაშრომები აკად. ივანე ჯავახიშვილისა, მაგ.: საქართველოს ეკონომიური ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, და მრავალი სხვა.

ფართე მეცნიერულ მუშაობასთან ერთად აკად. ივანე ჯავახიშვილი ეწეოდა და ეწევა საზოგადოებრივ მუშაობასაც, კერძოდ კადრების აღზრდა-მომზადების დარგში. მარტო ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილი ერთი მეთაურთაგანი იყო თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა, ნათელსა ჰხდის მის მუშაობას, როგორც პედაგოგიურ ასპარეზზე, ისე ქართული ნაციონალური კულტურის შექმნის საქმეში.

ორმოცი წლის მუშაობის შედეგად აკად. ივანე ჯავახიშვილმა მრავალი დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი დაწერა, უმთავრესად ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე, რომელთა ბიბლიოგრაფია წარმოდგენილია აქვე. ქვემოდმოყვანილი ნაშრომთა სია აკად. ივანე ჯავახიშვილისა ნათელ წარმოდგენას ჰქმნის იმ ადამიანის პროდუქტიული და უბადლო მუშაობის შესახებ, რომლის მოღვაწეობა დიად სტალინურ ეპოქაში ღირსეულადაა დაფასებული.

* * *

1. Мудрость Балавара,—„Записки Вост. Отд. Рус. Археол. О-ва“, т. IX, в. 1—4, 1899, стр. 1—48.

2. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები, მეფის-ძე დავით და ბატონიშვილი იულონ,—„მოამბე“ 1900 წ. № IV, გვ. 1—27; აგრეთვე—ცალკე ამონაბეჭდი, ტფ. 1900.

3. ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში,—„მოამბე“ 1900 წ. №№ V, გვ. 55—70, და VI, გვ. 18—50; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი, ტფ. 1900.

4. Проповедническая деятельность св. Нины и апостола Андрея,—„Журн. Мин. Нар. Просв.“ 1901 г., январь, стр. 77—113.

5. ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში,—„მოამბე“ 1901 წ. № IV, გვ. 1—17; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი, ტფ. 1901.

6. Народные переписи в Грузии,—„Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“, т. XIV, в. 1, 1901, стр. 01—014; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი, Спб. 1901.

7. Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha,—«Jahresberichte der Königl. Preus. Akad. der Wissenschaften zu Berlin», t. XXXVIII, 1902, S. 875—902.

8. მამულიშვილობა და მეცნიერება,—„ცნობის ფურცელი“ 1904 წ. №№ 2453, 2457, 2460, 2665—2667; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი, ტფ. 1904, 52 გვ.

9. Грузия [ბიბლიოგრაფიული წერილები, რეცენზიები და შენიშვნები, 30-იოდე],—„Византийский Временник“, т. XI, в. 1—2, 1904, стр. 323—352.

10. Грузия [იგივე, 21-იოდე],—ibid., т. XI, в. 3—4, 1904, стр. 751—785.

11. К истории церковных реформ в древней Грузии (Георгий Афонский). I,—„Журн. Мин. Нар. Просв.“ 1904 г., февраль, стр. 358—372.

12. საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია,—„ცნობის ფურცელი“ 1905 წ. №№ 2856, 2859—2860, 2862, 2866; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი, ტფ. 1905, 90+II გვ.

13. Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. I [„Тексты и Разыскания по армяно-грузинской филологии“, кн. VIII], Спб. 1905, 148 стр.

14. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., изд. Книгоиздательства „Сакартвело“, Спб. 1906, 45 стр.

15. Грузия [ბიბლიოგრაფიული წერილები და სხვა, 19-იოდე],—„Византийский Временник“, т. XII, в. 1—4, 1906, стр. 426—445.

16. კულტურის ისტორია საქართველოში. ლექცია,—„ისარი“ 1907 წ. №№ 138 და 139.

17. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი. ტფ. 1907, 110+6+II გვ.

18. Автокефалия,—„Политическая энциклопедия“, под ред. Я. З. Сионимского, т. I, Спб. 1907.

19. საისტორიო მასალები. პასუხი მ. ჯანაშვილს,—„საქართველო“ 1908 წ. № 10.

20. რეფერატი—„საქართველოს ისტორიკოსთა ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ შეხედულების განვითარება მე-8—12 საუკუნეთა განმავლობაში“,—„ამირანი“ 1908 წ. № 86.

21. История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века,—„Известия Академии Наук“, VI серия, 1908 г., стр. 433—446, 511—536.

22. Обзор теорий и литературы о происхождении грузинского языка,—„Журнал Мин. Нар. Просв.“ 1908 г., август, стр. 241—258.

23. ქართველ ერის ისტორია. წიგნი პირველი. თ. პ. ი. თუმანიშვილის გამოცემა, ტფ. 1908, X+189 გვ.

24. კონსპექტი ლექციისა „ქართული სამართლის ისტორია". ორი ლექცია 27 და 28 მაისს 1909 წ., ტფ. 1909, 8 გვ.

25. ქართული სამართლის ისტორია,—„ერი" 1909 წ. № 2; „ჩვენი ერი" 1909 წ. №№ 1 და 2; „საქართველოს მოამბე" 1909 წ. №№ 1, 2 და 3.

26. Материалы для истории грузинской патристической литературы. А. Переводная литература,—„Христианский Восток", т. I, в. 1, 1912, стр. 6—29.

27. Рецензия: [Е. Такайшвили]. Материалы по археологии Кавказа etc., XII вып.,—ibid., стр. 99—104.

28. То-же: Е. А. Пахомов. Монеты Грузии, часть I etc., ibid., стр. 104—114.

29. К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам,—ibid., т. I, в. 3, 1913, стр. 277—297.

30. Грузия. История,—„Энциклопедический Словарь", изд. т-ва бр. Гранат, т. XVII, 1913, стлб. 192—231.

31. Грузинское право.—ibid., стлб. 231—234.

32. Грузинский язык,—ibid., стлб. 234—237.

33. Грузинская литература. I. Древн. период,—ibid., стлб. 237--251.

34. ქართველ ერის ისტორია. წიგნი პირველი. მეორე გამოცემა „სახალხო ფურცლისა", ტფ. 1913, V+III+248 გვ.

35. ქართველ ერის ისტორია. წიგნი მეორე. [გამ. იგივე]. ტფ. 1914, 249—708 გვ.+1 ტაბ.

36. Слово св. Иоанна Златоуста „о врожденном и предопределенном добре и зле" в древнегрузинском переводе,—„Христ. Восток", т. II, в. 3, 1914, стр. 275—280.

37. Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусств и материальной культуры в древне-грузинской литературе,—ibid, т. III, в. 1, 1914, стр. 17—31.

38. იძულებითი განმარტება ბ. ს. კაკაბაძის უკანასკნელი წერილების გამო,—„სახალხო ფურცელი" 1915 წ. №№ 277 და 278.

39. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII ს. ს.), ტფ. 1916, XXXVI+338+XXV გვ.

40. О знаках препинания при изданиии древне-грузинских

текстов [„Пособия для работ по армяно-грузинской филологии", III], Пгр. 1916, 11 стр.

41. [წერილი რედაქციის მიმართ, ს. კაკაბაძის გამოსვლის გამო].—„სახალხო ფურცელი" 1916 წ. № 709.

42. Об одном анонимном грузинском историке XIV века, —„Известия Акад. Наук", VI серия, 1917 г., стр. 1483—1486.

43. ქართველი ერის მოკლე ისტორია. წიგნი პირველი. უძველეს დროითგან I ს-მდე ქ. შ., გამოცემა „განათლების" ამხანაგობისა, ქუთაისი 1917, 183 გვ.

44. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII ს.ს.,—„პრომეთე" 1918 წ. № 1, გვ. 35—61.

45. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი I, თ. მთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემა, ქუთაისი 1919, 218+II გვ.

46. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა № 160, ტფ. 1919, 56 გვ.

47. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში. ქართული კლუბის გამოცემა, ტფ. 1919, 64 გვ.

48. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII ს.ს.), მეორე შევსებული გამოცემა [დაუსრულებელია], წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა № 210, ტფ. 1921, XL+224 გვ.

49. გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში,—„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე", II, 1922—1923, გვ. 247—261; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი.

50. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (წინასწარი მოხსენება ნიმუშებისა და სურათების დართვით),—ibid., გვ. 313—391; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი.

51. ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება,—ibid, III, 1923, გვ. 186—216; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი.

52. ქართველი ერის ისტორია. მეოთხე წიგნი. I ნაწილი (XV საუკუნე),—„ჩვენი მეცნიერება" 1923—1924 წ. წ. № 4—5, გვ. 58—102; № 6—7, გვ. 48—79; № 8, გვ. 24—46; № 9—10, გვ. 14—56; № 11—12, გვ. 15—79; აგრეთვე ცალკე, ამონაბეჭდი ტფ. 1924, VIII+231 გვ.

53. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია,—„ჩვენი მეცნიერება“ 1924—1925 წ. № 13, გვ. 133—176; № 14, გვ. 17—64; № 3—4, გვ. 17—64; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი, ტფ. 1925, VI+171 გვ.

54. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია,—„ახალი კავკასიონი“ 1925 წ. № 1—2, გვ. 55—99 (დაუსრულებელია).

55. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. გამომცემლობა „ქართული წიგნი“, ტფ. 1926, XIV+240 გვ.+2 ტაბ.

56. ქართული სიგელთმცოდნეობის ანუ დიპლომატიკის ისტორია,—„ჩვენი მეცნიერება“ 1925 წ. № 15—16, გვ. 87—110.

57. ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები,—„მიმომხილველი“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო, I, ტფ. 1926, გვ. 69—98.

58. ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფ. 1926, VI+200 გვ.

59. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე [„ქართული ძეგლები“. III. საისტორიო მწერლობა. № 2], ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფ. 1927, 23 გვ.

60. ქართველი ერის ისტორია. წიგნი პირველი. მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა 14 ნახაზითა და 9 სურათით, ს. თ... გამოცემა, ტფ. 1928, X+376 გვ.

61. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფ. 1928, X+221 გვ.

62. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი პირველი, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფ. 1928, VIII+234 გვ.

63. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფ. 1929, XVI+533 გვ.

64. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა, 21 სურათით და 1 რუკით. გამომცემლობა „ქართული წიგნი“, ტფ. 1930, VII+429 გვ.

65. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე, მეორე ახლად დაწერილი გამოცემა სურათებით. „ფედერაცია“, ტფ. 1934, XX+708 გვ.

66. სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფ. 1934, II+57 გვ.

67. აკად. ნიკო მარრის ხსოვნას,—„ბოლშევიკური კადრებისათვის“ 1934 წ. № 21.

68. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი პირველი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფ. 1935, XV+216 გვ.

69. *Նյութեր Հայաստանի սոցիալական շարժումների պատմության համար X-դ. և XIII դ. սկզբներին. Թարգմանությունը վրացերենից՝ առաջաբանով և ծանոթություններով հանդերձ պրոֆ Լ. Մելիքսեթ-Բեկի, Յերեվան, ՀՍՍՀ Լուսժողկոմատ.* 1936 (1937), 42 გვ.

70. შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა,—„კომუნისტი“, 1937 წ. 9. III, № 55.

71. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია,—ibid., 1937 წ. 6. VI, № 153.

72. რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხის ტყაოსანი“,—ibid., 1937 წ. 29. XII, № 298.

73. ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში,—„ენიმკის მოამბე“, ტ. I, ტფ. 1937, გვ. 1—8.

74. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია,—ibid., ტ. II, ნაკვეთი I, 1937, გვ. 1—14; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი, ტფ. 1937, 16 გვ.

75. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი მეორე. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფ. 1937. XVI+756 გვ.

76. ქართული ძველი წარმართული, საერო და შემდეგ გაჩენილი საეკლესიო მუსიკა და ბრძოლა მათ შორის,—„მნათობი“ 1938 წ. № 6, გვ. 133—340.

77. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, „ფედერაცია“, ტფ. 1938, 381 გვ. სურათებით.

78. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლის თავისათვის,—„კომუნისტი“ 1938 წ., 30 V, № 122.

74. Эпос „Давид Сасунский“ близок и родственен всем народам СССР,—„Коммунист“ (Ереван), 1938 г., 14. XII, № 285.

80. Археологическая экспедиция в Мцхета-Самтавро,—„Заря Востока“ 1938 г., 22. XII, № 291.

81. მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა,—„კომუნისტი“ 1938 წ., 23. XII, № 292.

82. Отражение истории в народном эпосе и народного

эпоса в истории,—газ. „Коммунист" (Ереван) 1939 г., 16. IX, № 214.

83. *Պատմության պրոպոզիտիվը ժողովրդական եպոսի մեջ և ժողովրդական եպոսի պատմության մեջ,*—«Դրական թերթ» 1939 թ. 15.IX, № 25.

84. Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи,—„Вестник древней истории", 1939 г. № 4 (9), стр. 30—49.

* * *

გარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თანამშრომლობითა და მონაწილეობით გამოცემულია შემდეგი:

1. K. Schultze-ს Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis [Texte und Untersuchungen], Leipzig 1905.

2. „ქართული ბიბლიოგრაფია" [იოსებ ყიფშიძის რედაქციით]. აქ შეტანილია მის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია გაზ. „ივერიისა" 1886—1896 წ.წ.

3. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებული. ტფ. 1915, მისი წინასიტყვაობით, I—VII გვ., და რედაქციით.

4. რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი (მისი და იოსებ ყიფშიძის მონაწილეობით). ტფ. 1920.

5. სხვადასხვა ლექსიკონები: ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგია. ტფ. 1930, და სხვა, მისი მონაწილეობით.

6. საქართველოს ისტორიული რუკა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა, 1923. შედგენილი შ. ს. ს. კ. ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის მიერ პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით.

7. Большая Советская Энциклопедия, т. XIX, M. 1930, стлб. 558—568: Грузинская ССР. VIII. Исторический очерк. С древнейших времен до присоединения к России (შენიშვნაში 558 გვერდზე აღნიშნულია: Исторический очерк составлен И. Джавахишвили, Ф. Махарадзе, С. Какабадзе и С. Хундадзе под общей редакцией Ф. Махарадзе).

8. კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა" (Материальная культура эпохи Шота Руставели), მისი წინასიტყვაობით, V—VIII გვ., და რედაქციით.

9. სვიმონ ჯანაშიას ნაშრომი „ცხოვრებაჲ საბა ასურისჲ“ („არილი“ 1925, გვ. 1—24) არხებითად ივ. ჯავახიშვილის მასალებზეა აგებული).

10. რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლურ განყოფილების სხდომებზე წაკითხულ მოხსენებათა რეზიუმეები იხ. Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва, т. XIV, გვ. V; т. XVI, გვ. XXIX, XL—XLiI; т. XIX; გვ., XIII, XXIII—XXV.

დოც. შ. ძიძიგური

ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურა

(მიმოხილვა)

ქართველური ენების შესწავლა ერთი მნიშვნელოვანი რგოლია საენათმეცნიერო კვლევა-ძიების იმ წყებაში, რომელიც შეიცავს კავკასიურ და მცირე აზიის გადაშენებულ კულტურულ ენათა სინამდვილეს. ქართული, როგორც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ენა, ამ გარემოში ცენტრალურ ადგილს იჭერს.

ქვემოგანხილული შრომები ქართველური ენათმეცნიერების მიღწევათა ერთი დიდი ნაწილია ამ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან. დანარჩენები განხილული იქნება ამ ჟურნალის მორიგ ნომრებში.

რეცენზირებული ნაშრომები შეიცავენ სხადასხვა მხარეს ჩვენი ენების შესწავლის სფეროდან: ფონეტიკას, ლექსიკას, სტრუქტურას, შედარებით ანალიზს, გენეტიკურ ძიებებს...

უეჭველია, რომ გათვალისწინებული ნაშრომები დიდი შენაძენია საბჭოთა მეცნიერების სინამდვილეში და ამითაც თბილისის საენათმეცნიერო სკოლას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო მეცნიერების საგანძურში.

არნ. ჩიქობავა. ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართვ. ფილიალი. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი. 1938, ტფილისი. 62×94, ბეჭდვ. ფ. 33.

განხილულია: 1. ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები, 2. ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები, 3. ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავალთა და სხვ. სახელები, 4. მცენარეულობა, 5. შენობები... სამუშაო იარაღები... ჭურჭლეულობა... საჭმელები... ტანისამოსი... 6. ზღვა... მიწა... ქვა... თოვლი... წვიმა... 7. დღე... ღამე... მნათობები... დღეების სახელი... 8 რიცხვის სახელ., 9. ნაცვალსახელები და წარმოების მიხედვით მათთან დაკავ-

შირებული სიტყვები, 10. ატრიბუტივები (ზედსართავი სახელ.), 11. ზმნები. დართულია: წინასიტყვაობა (ქართ. და რუს.), შესავალი, დასკვნითი დებულებები (ქართ., რუს., ფრანგ.) სატრანსკრიფციო ნიშნები, საძიებლები (პირთა, სიტყვათა, ფუძეთა და ძირთა).

ავტორისათვის ამოსავალია დებულება: მეგრული და ჭანური ერთმანეთის მიმართ კილოებია ზანური ენისა, დამტკიცებული მის მიერვე გამოკვლევაში: „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ (1936). თუ ამ უკანასკნელში ჭანური გრამატიკა განხილულია მეგრულ-ქართულთან შეპირისპირებით, სარეცენზიო წიგნში ჭანური ლექსიკაა წარმოდგენილი იმავე წესით. ამგვარად, „შედარებითი ლექსიკონი“ მჭიდროდ უკავშირდება ავტორისავე „ჭანურის გრამატიკულ ანალიზს“, მის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. წიგნში შეტანილია საერთო ლექსიკური მონაცემებიც. ამას მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთობის გასათვალისწინებლად. მაშასადამე, სარეცენზიო წიგნი მხოლოდ შედარებითი ლექსიკონი კი არ არის, არამედ მასში თვალსაჩინო დოზითაა შესული ისტორიული ლექსიკონის ფაქტებიც.

საერთოდ შედარებითი ლექსიკონის წინაპირობაა: შესადარებელი ერთეულების ფონეტიკურ შესატყვისობათა გარკვევა, დოკუმენტირებული, დიალექტური და ისტორიული ლექსიკონები. ავტორი ძირითადად ეყრდნობა ქართვ. ენათა ფონეტიკურ შესატყვისობათა სისტემას, გამომუშავებულს ცაგარელისა და მარის მიერ, ოღონდ 1. წამოყენებულია და გამოყენებული დებულება, რომ ძირის კანონზომიერი შესატყვისობა არ ნიშნავს აფიქსების შესატყვისობასაც, 2. ძირეულად მიჩნეულ მასალში მრავალ შემთხვევაში გამოყოფილია ფუძის დეტერმინატი, 3. თავსართებში საგანგებო ყურადღება ექცევა ნივთის კატეგორიის მაჩვენებელ ფორმანტებს, 4. ზანური მიჩნეულია ქართულის დიფერენციაციის შედეგად. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართველურ ენათა დოკუმენტირებული, დიალექტური (ორიოდეს გარდა) და ისტორიული ლექსიკონები არ მოგვეპოვება, თვალსაჩინო გახდება სიძნელე, რომელიც ასე ბრწყინვალედ გადაულახავს ავტორს: ჭანურის ძირითადი ლექსიკური ფონდი გაანალიზებულია მეგრულ-ქართულთან შედარების ფონზე.

ლექსიკის შედარებითი ძიება შემდეგ ძირითად დასკვნებს იძლევა: 1) ქართველურ ენათა შორის ზანური ყველაზე მონოლითურია, 2) ჭანურის ლექსიკამ განიცადა შეტი ცვლილება, ვიდრე მეგრულისამ, 3) ავტორის კონცეფცია ზანური ენის შესახებ კიდევ უფრო თვალსაჩინოდ დასტურდება ლექსიკის ფარგალში, ვიდრე

გრამატიკის სფეროში, 4) ჰანურ ლექსიკას შეხვედრის წერტილები აქვს მთის კავკასიის ზოგიერთ ენასთან.

გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები. ქართველურ ენათა ლექსიკა. 1. სსრკ მეცნიერებათა აკადემია—საქართველოს ფილიალი აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი. ტფილისი. 1938 წ. 6×10. 11 ფ.

გურული ეკუთვნის გიგო შარაშიძეს, ზემოიმერული-ბარბ. წერეთელს, ლეჩხუმური—მიხ. ალავიძეს.

დიალექტების ლექსიკური ფონდის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს სალიტერატურო ენის ქმნადობა-ჩამოყალიბებისათვის. ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკოლოგია ღარიბია შესაფერისი ლიტერატურით. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ სალექსიკონო მასალათაგან ორიოდე თუ აკმაყოფილებს აკადემიურ მოთხოვნილებებს. ნ. მარის სახ. ინსტ. სალექსიკოლოგიო განყოფილებამ (გამგე—პროფ. ვ. თოფურია) თავს იდვა დიალექტ. ლექსიკონთა დამუშავებაც. ამგვარ ლექსიკონთა შედგენილობა-აგებულება შეფარდებულია განყოფილების გენერალურ მიზანთან: შეამზადოს ნიადაგი დიდი ქართ. განმარტებითი ლექსიკონისათვის. ამიტომ: 1) გათვალისწინებულია არა სრული ფონდი დიალექტისა, არამედ არსებულ ლექსიკონებში არ-შესული მასალა, საოანადო სახით სრულიად უცნობი, 2) სიტყვის მომდინარეობა-ეტიმოლოგია არაა ნაჩვენები. მაშასადამე, ამ ტიპის დიალექტ. ლექსიკონი მ ა ს ა ლ ა ა მხოლოდ. სარეცენზიო წიგნში შესულია 3600-მდე სიტყვა. შიგადაშიგ მოცემულია ფრაზეოლოგია. განმარტებანი ხუსტია და ნათელი. მასალის დიდმნიშვნელოვანებას ისიც ჰმოწმობს, რომ სათანადო ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში აქედან უკვე შევიდა რიგი სიტყვებისა, როგორც საყოველთაო ტერმინები (მაგალ., გართვა, გასანახავი, ახალპირი, გაღვერვა, პირხვეული, ბრელო, მადგინო და სხვა). დიდი მუშაობა ჩაუტარებია რედაქციას, რათა სხვადასხვა პირის ლექსიკონთათვის საერთო ლექსიკონური სტილი მიენიჭებია და აკადემიურად გაეჩალხა.

სერგი ჟღენტი. ჰანური ტექსტები, არქაბული კილოკავი. სსრკ მეცნ. აკადემია—საქართვ. ფილიალი. აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატ. კულტ. ინსტიტუტი. ტფილისი. 1938. 6×10. ბეჭდვ. ფ. 16.

ჰანურის, როგორც ზანური ენის ერთერთი დიალექტის, შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათმეცნიერებისა-

თვის. ლიტერატურაში იგი ცნობილია როზენის, მარის, ყიფშიძის, ჩიქობავას მნიშვნელოვანი ნაშრომებით. ა. ჩიქობავას გრამატიკულმა ანალიზმა (1936) საბოლოოდ გამოარკვია ჭანურის პროფილი: იგი დიალექტია, მეგრულთან ერთად, ზანური ენისა. გადაუდებელი ამოცანაა ტექსტების შეგროვება, რადგანაც ჭანური მეტყველება კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფება: დღითიდღე შთანთქმას უქადის მას თურქული. გამოქვეყნებულ სანდო ტექსტთა მწკრივში (მარი, ყიფშიძე, ჩიქობავა) სარეცენზიო წიგნი გარკვეულ ადგილს იჭერს: იგი არქაბულ კილოკავს ეხება (არქაბული მასალები მცირეოდენია გამოქვეყნებული წინამორბედთაგან). დართული აქვს ლექსიკონი (177—219 გვ.) ისეთ სიტყვათა, რომელნიც არაა შესული მარისა და ყიფშიძის ლექსიკონებში. ნაჩვენებია უცხო სიტყვების წარმოშობაც. შესავალში აღნიშნულია აქამდის სათანადოდ გაუთვალისწინებელი ენობრივი მოვლენები (ამათში ყურადღებას იქცევს ბგერათგადაწევის მოვლენა—Lautverschiebung). მასალები საინტერესოა ფოლკლორულადაც: პარალელები დაიძებნება ქართულ სუჟეტებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია „გველის მჭამელის", ნაცარქექიას და სხ. ვარიანტები. წიგნი რედაქტირებულია არნ. ჩიქობავას მიერ.

რუსულ-ქართული ლექსიკონი. არასრული საშუალო და საშუალო სკოლისათვის. ვ. თოფურიას რედაქციით. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ. სალექსიკოლოგიო განყოფილება. სასკოლო ლექსიკონთა სერია. 1. სახელმწ. გამომცემლობა. 1938. $6^1/_4 \times 10^1/_2$. 24 ფ.

ლექსიკონი განკუთვნილია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. მოცეულია 11800 სიტყვა. ფრაზეოლოგიაში წარმოდგენილია სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის თქმები და იდიომატური გამოთქმები, გამოყენებული ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაში, ლიტერატურაში, პრესაში. არქაიზმები და ვიწრო სპეციალობის ტერმინები არ არის საერთოდ შესული. ყოველი სიტყვა ცალკეა გამოტანილი და თან ახლავს გრამატიკული დახასიათება. ამ მხრივ რედაქტორს გარკვეული სიძნელის გადალახვა მოუხდენია: სიტყვათა თარგმნისა და გრამატიკული დახასიათების მხრივ წყაროებში ზოგჯერ სხვადასხვაობა იჩენს თავს. ამ შემთხვევაში რედაქტორს საყრდენად გამოუყენებია ცოცხალი მეტყველების ჩვენებანი. განმარტებათა სიზუსტისა, გრამატიკ. დახასიათებისა, ლაკონიურობისა და, საზოგადოდ, აღნაგობის მიხედვით ეს ლექსიკონი წინამორბედ რუსულ-ქართულ ლექსიკონებზე მაღლა დგას.

მაკარ ხუბუა. მეგრული ტექსტები. სსრკ მეცნიერებათა აკადემია—საქართველოს ფილიალი. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტი. 1937. 6 ¹/₂×10. გვ. 361.

პროფ. ი. ყიფშიძის მიერ გამოქვეყნებული მეგრული ტექსტების შემდეგ—ეს პირველი სანდო მასალაა, შეკრებილი ავტორის მიერ სპეციალურ—ენათმეცნიერული მიზნებით სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რაიონში: ცენტრალურ სამეგრელოში (1921 წ.), მთიან სამეგრელოსა და ზუგდიდის რაიონში (1923 წ.), სამურზაყანოში (1932 წ.) და აფხაზეთში (1933 წ.). წიგნში შესულია ვლ. ფანჩვიძის მიერ შენაკრები მასალაც. დართულია წინასიტყვაობა. სამწუხაროა, რომ წიგნს ლექსიკონი არ ახლავს. რადგანაც ეს ტექსტები ფოლკლორისტიკისათვისაც გამოსაყენებელია,—უნდა დართვოდა მთქმელების შესახები დაწვრილებითი ცნობები, როგორც ეს შეჰფერის ამგვარი ხასიათის მასალის აკადემიურ გამოცემებს. ეს პირობა უცილობელია ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც (შდრ., მაგალ., აპარატურის მხრივ: ა. შანიძე, „ხალხური პოეზია", 1.). მასალის დალაგება დავას იწვევს: წიგნი ორ განყოფილებადაა მოცემული: I ზღაპრები, II ლექსები. სასურველი იყო ენათმეცნიერული რაიონების (თქმების) მიხედვით დაელაგებინა ავტორს ტექსტები (ამის კომპენსაციაა თითქოს საგანგებო სარჩევი: „პროზული მასალის დაჯგუფება თქმების მიხედვით"). თუ დიალექტოლოგიური ორიენტაცია დაკისრებული აქვს სარჩევში მოცემულ მითითებას, მაშინ მასალა თემატიკურად მაინც უნდა ყოფილიყო დაჯგუფებული. ამ ტექნიკური ხასიათის ნაკლისდა მიუხედავად, წიგნი ძვირფასი განძია მეგრული ენის შესასწავლად. ენობრივ თავისებურებათაგან ჯერჯერობით აღსანიშნავია: 1. „ვა" ნაწილაკის ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები, 2. რთული პრევერბების გამოყენება, 3. ე. წ. გრძელი ხმოვნები, 4. ნამყო წყვეტილის მხოლ. რ. 3 პ. სუფიქსის სახეობანი.

ნ. მარრი. ქართული ენათმეცნიერებაში. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები". VI, 1937, გვ. 303—328.

ეს ნაშრომი ავტორის მიერ წაკითხულია მოხსენებად 1911 წ. ქუთაისში. დახასიათებულია ზოგადად ქართული ენის შესწავლის ისტორია. შედარებით ვრცლადაა მოთხრობილი ქართულ-სემიტური თეორიის შესახებ. განმეორებულია, აგრეთვე, ადრე გამოთქმული შეხედულება ქართული სამღვთო წერილის თავდაპირველი თარგმანის სომხურიდან მომდინარეობის შესახებ. მითითებულია სვანუ-

რის დიდმნიშვნელოვანობაზე კლასიკური ქართულის ლექსიკური შედგენილობის გასაგებად. სვანურ ხალხურ შემოქმედებითს ნიმუშებში ავტორი ხედავს „სალიტერატურო ენის“, ე. ი. ყველა დიალექტის გამაერთიანებელ, უნიფიცირებულ მეტყველებითს ფორმებს. სალიტერატურო ქართულის ფართო და ინტენსიური გავრცელებით ხსნის ავტორი ქართული დიალექტების არამკვეთრი დიფერენციაციის ფაქტს („გამწვინვრებული არიან... დიალექტები კილოებად შექმნილან“). ავტორი ხაზს უსვამს ქართული ენის დიდბუნებოვანებას, სახელდობრ რუსთაველის ენას („თავისი თვისებებით იგი უკვე მსოფლიო ენა არის“). სომხეთის ლურსმული წარწერების გასაღებად ავტორი ქართველურ ენებს, კერძოდ სვანურს, ძიებნევს. განხილულ დებულებათაგან დაუსაბუთებელი და მიუღებულია: ქართულ-სემიტური თეორია (შემდეგში უკუგდებული ავტორისავე მიერ), სამღვთო წერილის თავდაპირველი ქართული თარგმანის მომდინარეობის ვარაუდი; სვანების პირვანდელი აბორიგენობის საკითხი.

ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა (ქართველი ერის ისტორიის შესავალი: წიგნი მეორე). სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. ტფილისი. 1937.

წიგნი ექვსი კარისაგან შედგება. პირველში მოცემულია ქართულ—ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების შესახები მწერლობის მოკლე მიმოხილვა, მეორეში—დასახული მიზანი და მეთოდოლოგია, მესამეში—ე. წ. კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველური მორფოლოგიის ძირითადი საკითხები, მეოთხეში—რიცხვითი სახელები, მათი წინანდელი და თავდაპირველი სახე, აგებულება და სხვადასხვა სისტემა, მეხუთეში—ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელები, მეექვსეში—ზმნა, სიტყვათა ძირების ნათესაობა, დასკვნა. დართული აქვს წინასიტყვაობა და საძიებლები.

წიგნის მიზანია გამოარკვიოს ქართულისა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და მონათესაეობის საკითხი, გამოყენებულია და კრიტიკულად დაფასებული საგნის სრული ლიტერატურა. საკვლევაძიებო ორბიტაში ჩათრეულია 35-ზე მეტი ენობრივი ერთეული. ჩრდილო-დასაელური ენები—აფხაზური, უბიხური, ადიღეური ანუ ჩერქეზული და ყაბარდოული სინდურ ენებად იგულისხმებიან; ენათა მეორე ჯგუფი—ჩაჩნური, ქისტური და წოვუური-ღილღურის სახელითაა მონათლული; დაღისტნის ენებისათვის—

ლეგების სახელწოდებაა გამოყენებული. სინდურ, ღილღური, ლეგური და ალბანური ენებისათვის შარომატების ანუ საუროматების სახელია მიკუთვნებული. აქედან: შარომატული ენათმეცნიერება. შედარებულია ენათა ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები (სქეს-კატეგორიები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ზმნის აგებულების ზოგადი პრინციპები) და ლექსიკური ფონდის უძველესი ტიპები. ამ საკითხების საფუძვლიანი და მრავალმხრივი ანალიზის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ ქართულ-ქართველური და კავკასიის ენები გენეტიურად მონათესავენი არიან; საუკუნთა განმავლობაში ამ ენების თავდაპირველი აგებულება და საგანძური ძალზე შეცვლილა და ამჟამად „დამოუკიდებელ, გარეგნულად უცხო ჯგუფებად“ ქცეულან. ეს უძველესი ენობრივი ნათესაობა მათი ტომობრივი ნათესაობის მომასწავებელია; ამ ეთნიურ კრებადობას ერთი საერთო ენაც უნდა ჰქონოდა. ავტორით, ქართველ-სინდ-ღლიღვ-ლეგ-ალბანელთა თავდაპირველი ნათესაობა მარტოოდენ ენათმეცნიერული საბუთებით კი არ მტკიცდება, არამედ უძველესი ისტორიულ—გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ცნობებითაც.

ნაშრომის ერთი ძირითადი დასკვნათაგანია შემდეგი: ქართველური ენების (საკუთრივ ქართულის, მეგრულ-ჭანურის და სვანურის) განვითარების ისტორიაში ორი დიდი ხანაა სავარაუდებელი: „პირველი და უძველესი ის ხანაა, როდესაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები ამ ენათა ძირითადს დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, მეორე, მომდევნო ხანა კი იმ დროითგან იწყება, როდესაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები გაქრა და, ღრმა ცვლილებასთან დაკავშირებით, ქართულ-ქართველურის სახე ჩამოინაქვთა“ (გვ. 623).

გ. აბვლედიანი. ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები. I. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1938.

შესავალი შეიცავს ფონეტიკის საგნისა და მეთოდების ანალიზს. წიგნის პირველ ნაწილში მოცემულია ფონეტიკური ანატომია, ფონეტიკური ფიზიოლოგია, ფონეტიკური აკუსტიკა.—მეორე ნაწილში—სოციალური ფონეტიკა, რომელიც სამ თავადაა განხილული: სამეტყველო ბგერა და წერა, ბგერათშეერთებანი, ქართული ენის ბგერათა კლასიფიკაცია. დამატების სახით მოცემულია შენიშვნები რუსული, ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენების ფონეტიკური შედგენილობის შესახებ—ქართულთან შედარებით. შიგადაშიგ ავტორი აკრიტიკებს ქართული ბგერების შესახებ დამკვიდრებულ

შეხედულებებს და მათ ნაცვლად იძლევა ახალ თვალსაზრისს. უაღრესად საგულისხმოა ბგერათშეერთების ორ ჯგუფად დაყოფა: ბგერათშერთვა და ბგერათშერწყმა. დაწვრილებითაა მიმოხილული ამათი მოვლენები, წესები. დასკვნილია, რომ ქართულს ბგერათშერწყმა ნაკლებად ახასიათებდა, ვიდრე ბგერათშერთვა. აგრეთვე უაღრესად ანგარიშგასაწევია მიმოხილვა ქართულში აფრიკატიზაციისა და აფრიკატებისა. ავტორი არ იღებს ქართული აფრიკატების გაგებას ანალიტიკური ანბანის მიხედვით. აფრიკატებად მიჩნეულია ძ ტ წ ჯ ჩ ჭ. გამორკვეულია მათი გენეზისი. უარყოფილია იაფეტიდოლოგიურ ანბანში ღ ხ ყ პ ს აფრიკატებად მიჩნევა. ეს დასაბუთებულია ექსპერიმენტულადაც (დაახლოებით ამასთან თანხვდენილია Selmer'-ის გამოანგარიშებაც.). დიდად მნიშვნელოვანია იმ ფარინგალი ბგერის აღდგენა, რომელიც აკლია მეგრულთა რიგს: პ—ყ. მოცემულია სრულიად ახალი შეხედულება მ ა რ ც ვ ლ ი ს გაგებაში. ეს გაგება ემყარება სონორობის პრინციპს და მეორე მხრით ითვალისწინებს ბგერათშეერთებაში ბგერათა შემართვა-დამართვის ურთიერთობას. მარცვალთ-გასაყარის (განსაკუთრებით თანხმოვანთა შუა) სფეროში წამოყენებულია ორიგინალური თეორია, რომლის გამოყენებით ენებში ბგერათცვლილებანი ახალი მიდგომით განიხილება. ქართული ბგერების ზუსტი და სრული კლასიფიკაცია, წარმოდგენილი წიგნში, უმნიშვნელოვანესი შენაძენია ქართულ ფონეტიკურ ლიტერატურაში... საერთოდ აღსანიშნავია, რომ სარეცენზიო წიგნი მასალობრივად და ზოგადი საკითხების ორიგინალური გადაწყვეტით შეიძლება ჩაითვალოს ერთერთ ბრწყინვალე მონოგრაფიულ ხასიათის სახელმძღვანელოდ საერთაშორისო ფონეტიკურ ლიტერატურაში.

Ш. В. ДЗИДЗИГУРИ. К характеристике нижне-имеретского говора грузинского языка. კრებულში: Памяти академика Н. Я. Марра (1864—1934). 1938. Москва—Ленинград. გვ. 83-116—133.

მოცემულია იმერული კილოს შესწავლის ისტორია. დახასიათებულია დიალექტის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი. გამოყოფილია ქვემოიმერულის სპეციფიკური ნიშნები. შიგადაშიგ გატარებულია პარალელები სხვა დიალექტიურ მონაცემებთან. ესაა ბეჭდვურ ლიტერატურაში პირველი ცდა იმერული დიალექტის მთავარი თავისებურებების მიმოხილვისა. სადაეთა „ძმანები, დანები!" გაგება ორმაგ მრავლობითობად (გვ. 129),

„დგანან“-ში ნ=S_3, ხოლო 1 და 2 პ. იგი 3' დან გადმოსულად უნდა მიეჩნიოთ (გვ. 131).

ქ. ლომთათიძე. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, VI, 1937. გვ. გვ. 123—138.

ნაჩვენებია, რომ გურულ კილოში დაცულია, როგორც გარდმონაშთი, მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი. ძირითადი, ამოსავალი მასალაა ჰ,ს, რომელთა ზმნის თემის თავკიდურებთან შეხვედრის ნიადაგზე წარმომდგარია შემდეგი სახეობანი: ხ, ღ (ჰ'ს ხაზით), ს, ზ, შ, ჟ, (ს'ს ხაზით). ჰ თავის მხრივ ცვლილებებს იწვევს ზმნის თემის თავკიდურებში. პრეფიქსი იხმარება, როცა ზმნა ირიბ ობიექტს იგუებს (იშვიათად მაშინაც, როცა პირდაპირი ობიექტია) და სპორადულად სტატიკურ ვნებითთანაც. ირიბი ობიექტის პრეფიქსი ზოგჯერ გაინფიქსებულია. გატარებულია პარალელი ხევსურულთან. ანალოგიური ფაქტები დადასტურებულია აჭარულში. S_3—O_3' ის ევოლუციის გასათვალისწინებლად სარეცენზიო შრომა მნიშვნელოვანია.

პროფ. არნოლდ ჩიქობავა. ზოგადი ენათმეცნიერება. 1. პროპედევტიკული ნაწილი. მეორე, შევსებული გამოცემა. სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1939.

წიგნში განხილულია შემდეგი საკვანძო საკითხები: ენათმეცნიერული გრამატიკის დარგები, აფიქსთა კლასიფიკაცია, კვალიფიკაცია და წარმოშობა, ენათა მორფოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციები, მეტყველების ნაწილები, ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, სინტაქსი, სემასიოლოგია და ეტიმოლოგია, სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი, ენათმეცნიერების ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის, ენათმეცნიერების გამოყენებითი მნიშვნელობა. შესავალში მოცემულია ენათმეცნიერების მოკლე ისტორია... ავტორი მიზნად ისახავს წარმოგვიდგინოს ენათმეცნიერების ძირითად ცნებათა სისტემატური ანალიზი, რაც შეიძლება მარტივი სახით. ანალოგიურ ცნობილ კურსებისაგან სარეცენზიო წიგნი არსებითად განსხვავდება, როგორც მასალობრივად (საილუსტრაციო მასალად ძირითადად გამოყენებულია ქართული ენის მონაცემები), ისე მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი უ რ ა დ: იგი პირველი პროპედევტიკული კურსია ენათმეცნიერებისა, რომელშიც გატარებულია დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპები ენათმეცნიერე-

ბის ფუძემდებელი თეორიული საკითხების გარკვევისას. ხაზგასასმელია სემასიოლოგიისათვის მნიშვნელოვანი ადგილის მიჩენა: ა) სიტყვის მნიშვნელობის განმსაზღვრელად აღიარებულია ობიექტური ვითარება, რეალური კონტექსტი და არა „წარმოდგენები“, ბ) ფუძეთა წარმოება მაჩნეულია სემასიოლოგიის საგნად, გ) სიტყვის ანალიზისას ამოსავლად მიღებულია მნიშვნელობა, დ) სემასიოლოგია დასახულია მეცნიერული გრამატიკის შემადგენელ ნაწილად. შიგადაშიგ მოცემულია დასაბუთებული კრიტიკა იაფეტიდოლოგიის ძირითადი პრინციპებისა მარქსიზმის კლასიკოსების საენათმეცნიერო ნააზრევზე დაყრდნობით (ხელის ენის პრობლემა და სხვ.). ამ გამოცემაში მეტია წინასთან შედარებით შესავალი და „ენის წარმოშობა“; ზოგ ნაწილში შეტანილია მცირეოდენი რედაქციული ცვლილებები... წიგნი დაწერილია რაც შეიძლება მარტივად, სხარტად და ამით იგი მისაწვდომია ფართო მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

გ. ბაძრაძე

ქართული ლექსიკოლოგიური ლიტერატურა

1823-1939 წ.*

წინასიტყვაობა

ქართული ლექსიკოლოგიური ლიტერატურა ამ 10—15 წლის განმავლობაში უმაგალითოდ გაიზარდა და გამდიდრდა. მაგრამ ის ისე გაბნეულია მონოგრაფიულ, პერიოდულ, სერიულ და სხვა გამოცემებში, რომ მისი მოძებნა მეტისმეტად ძნელი გახდა, როგორც ჩვეულებრივი მკითხველისათვის, რომელიც ენას გაღრმავებით სწავლობს, ისე ლიტერატურული შრომის ავტორისათვის, რომელსაც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სჭირდება ესათუის ლექსიკური წყარო. ამ მიზნით, ე. ი. ლექსიკოლოგიური ლიტერატურის მონახვის გასაადვილებლად, ჩვენ ცნობაში მივიყვანეთ მთელი ეს ლიტერატურა და თავი მოვუყარეთ მას ამ სისტემატიზირებულ ბიბლიოგრაფიულ საცნობარში.

საცნობარის საფუძვლად დაედო ჩემი ბიბლიოგრაფიული წერილები, რომელიც ამ 14 წლის წინათ იბეჭდებოდა ჟურნალ „საქართველოს განათლების მუშაკში", სათაურით „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია" (იხ. „საქ. განათლ. მუშაკი", 1925 წ. № 3, № 5, № 8 და 1926 წ. № 9) და რომელიც შეიცავს უმთავრესად ტერმინოლოგიური შინაარსის წყაროების აღწერილობას (დაახლოებით 80 სახელწოდებას). ამ ახლადშედგენილ და შევსებულ საცნობარში შესულია არა მარტო ტერმინოლოგიური, არამედ ყველა ტიპის ქართული ლექსიკონები და ლექსიკოლოგიური მასალები, რომელიც კი 1823—1939 წლებში გამოვიდა. სულ ჩვენს საცნობარში 285 წყაროა (იყო 80), რომელიც შემდეგნაირად გვაქვს დალაგებული: პირველ რიგში მოგვყავს ის ლექსიკონები, რომელიც ქართული ენის ძირითად საგანძურს შეიცავენ—განმარტებითი (I) (მათთან ერთად ძველ ტექსტებთან დართული გლოსარები, რომელნიც იმავე განმარტებითს ლექსიკონებს წარმოადგენენ), დიალექტოლოგიური (II) და ონომასტიკური (III) ლექსიკონები. შემდეგ კი აღნიშნულია ლექსიკონები იმ სიტყვებისა, რომელიც ემატება ენას მისი ზრდა-განვითარების

*) იბეჭდება კ. მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დაკვეთით.

შემდგომ პერიოდებში, ე. ი. ტერმინოლოგიური (IV) და უცხო სიტყვათა ლექსიკონები (V). ამას მოსდევენ ის ლექსიკოლოგიური წყაროები, რომელიც გვასწავლიან ყველა (ძველი და ახლადშეძენილი) სიტყვების მართლწერას (VI) და მხოლოდ ამათ შემდეგ აღვნიშნავთ თარგმნითსა (VII) და ისტორიულ-შედარებით (VIII) ლექსიკონებს. სულ ბოლოს დასახელებულია აგრეთვე ენციკლოპედიური ლექსიკონები (IX), რომელიც არ უნდა შემეტანა ამ წმინდა ენობრივ ლექსიკონების სიაში, მაგრამ შევიტანე ენათმეცნიერის რჩევით.

სამწუხაროდ ამ საცნობოს ზოგიერთი ნაკლი თან დაჰყვა. ჯერ ერთი, მე თავი ვერ მოუყარე ყველა ლიტერატურულ ძეგლს, რომელიც კი უკანასკნელი 50—60 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა. შემდეგ, ტერმინოლოგიურ ლექსიკონებთან ერთად მე მომყავს (მგონია ამომწურავად) ის დიდი და პატარა ლექსიკონებიც, რომლებიც დართული აქვთ სპეციალურ შრომებს. მაგრამ მე მოვერიდე და არ შევიტანე ამ საცნობოში ქართულად გამოსული ბევრი კაპიტალური სპეციალური შრომა და გამოკვლევა, რომელიც (თუმცა მოკლებულია თანდართულ ლექსიკონს) შეიცავს უმდიდრეს ტერმინოლოგიურ მასალას, როგორც, მაგალითად: ა. ბროდსკის „ფიზიკური ქიმია" (1937 წ.), პროფ. ალ. ნათიშვილის „ანატომიის სახელმძღვანელოს" მე-5 გამოცემა (1937), ბელაევის „ევოლუციონური მოძღვრების საფუძვლები" (1934), „ფეხი და კალაპოტი" (1937),—ფეხსაცმელეობის ახალი ფაბრიკის გამოცემა, გ. ხახანაშვილის „ტრაქტორი" (1938), პროფ. ა. ბენაშვილის „სფერული ანატომია", პროფ. დავითაშვილის „პალეონტოლოგია" და მრავალი სხვა, რომლის შესახებ ცნობებს მკითხველი ა პოვნის 1934—1939წლების „წიგნის მატიანე"-ში.

საცნობოს ნაკლია ისიც, რომ ყველა ლექსიკონს არ ახლავს ანოტაცია. იმედი მაქვს ეს ხარვეზი ამ ბიბლიოგრაფიის შემდგომ გამოცემაში შევავსო, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ მანამდე არ გამოვა ქართული ენის საუნჯე—დიდი აკადემიური ქართული ლექსიკონი, რომლის შემდეგ უკვე არავითარი ბიბლიოგრაფია არ იქნება საჭირო. როგორც ვიცით ასეთი ლექსიკონი მუშავდება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში. გარდა ამისა, ფილიალში „მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის განზრახულია სატერმინოლოგიო მუშაობის დამთავრება მეცნიერების ყველა დარგებისათვის". *)

*) იხ. პროფ. ს. ჯანაშიას სტატია „საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე" („აკადემიკოს ნ. მარის სახელ. ენის, ისტორიის და მატერიალ. კულტურის ინსტიტუტის მოამბე" წ. I, 1937 წ., გვ. XXIV)

შ ი ნ ა ა რ ს ი

I განმარტებითი ლექსიკონები: ა. ცალკე გამოცემული ლექსიკონები. ბ. ძველ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებთან დართული განმარტებითი ლექსიკონები.

II დიალექტიკური ლექსიკონები: ა. ხევსურული, ბ. ფშაური, გ. მთიულური, დ. ინგილოური, ე. გურული, ვ. ლეჩხუმური, ზ. იმერული, თ. ქართლური, ი. თუშური, კ. სვანური, ლ. მეგრული, მ. ჰანური, ნ. შერეული შინაარსისა.

III ონომასტიკური ლექსიკონები.

IV ტერმინოლოგიური ლექსიკონები: ა. ყოფ. ცენტრ. ტერმინოლოგიური კომიტეტის მიერ გამოცემული ლექსიკონები. ბ. სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეული ავტორების მიერ გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია, ფიზიკური გეოგრაფია, მეტეოროლოგია, ბოტანიკა და ზოოლოგია, მედიცინა, ტექნიკა და ხელობანი, სამხედრო საქმე, სოციალ-ეკონომიური დარგები, იურისპრუდენცია, ისტორია, ფილოლოგია, ხელოვნება, ფილოსოფია.

V უცხო სიტყვათა ლექსიკონები.

VI ორთოგრაფიული ლექსიკონები.

VII თარგმნითი ლექსიკონები.

VIII შედარებითი—ისტორიული ლექსიკონები.

IX ენციკლოპედიური ლექსიკონები.

I. განმარტებითი ლექსიკონები

ა. ცალკე გამოცემული

1. **ახალშენოვი, ი.** ლექსიკონი ანუ განმარტება ფსალმუნთა სიტყვათა შესახებ გეოგრაფიულის და ისტორიულის სტატიებით. Тифлис. 1875 წ. [ავტორის გამოცემა], 53 გვ.

2. **ორბელიანი, საბა-სულხან.** ქართული ლექსიკონი. რაფ. ერისთავის რედაქციით. თბილისი. 1884. გამოც. ალექსანდრე ეპისკოპოზის საფასით. XXIV, 411 გვ.

3. **ორბელიანი, სულხან-საბა.** ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. ტფილისი. 1928. გამომცემლობა „ქართული წიგნი" XXXII. 05,480 გვ. 8°.

ბ. ძველ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებთან დართული განმარტებითი ლექსიკონები *

4. **ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა,** ნაკვეთი პირველი. I იოანე საბანისძე. II. ბასილ ზარზმელი, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით. თბილისი. 1935. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის გამოც., 185 გვ.

იოანე საბანისძისა და ბასილი ზარზმელის ტექსტის განსამარტავად წიგნს ბოლოში დართული აქვს პატარა ლექსიკონი ძველი ქართული სიტყვებისა (გვ. 95—96 და გვ 183—184).

5. **ალღუზიანი.** გამოც. ნ. გამრეკელისაგან. ტფილისი. 1885 წ., 64 გვ. დართული აქვს „ალღუზიანის ლექსიკონი" (გვ. 59-64).

6. **არჩილი.** თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტფილისი 1937 წ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის გამოცემა. LII, 200 გვ.

დართული აქვს ნ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი არჩილის ნაწერებიდან აღებულ ძველი სიტყვებისა, განმარტებებით.

7. **ბარათაშვილი, ნიკოლოზ.** ლექსები. დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით. ტფილისი. S. a. VIII. 50, X გვ. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა № 159.

დართული აქვს ლექსებში ნახმარი „სიტყვების განმარტება" (გვ. I-X).

---

* ძეგლები მოყვანილია ანბანური რიგით.

8. **ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი).** [ლექსები]. ტფილისი. 1912 წ. გამოცემა ქართ. სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოებისა ს. რ. გორგაძის რედაქციით. XXXVI. 234 გვ.

წიგნს ბოლოში დართული აქვს პატარა ლექსიკონი: „ზოგიერთ სიტყვათა განმარტება" (გვ. 227–234).

9. **გაბაშვილი, ბესარიონ.** თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი ალ. ბარამიძის და ვ. თოფურიას რედაქციით. თბ. 1932 წ. „ფედერაციის" გამოცემა. 235 გვ.

წიგნს დართული აქვს ვ. თოფურიას მიერ შედგენილი:

პიროვნებათა საძიებელი (გვ. 189-191), გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი (გვ. 191-194), ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა, ძვირფას ქვებისა და საკრავების საძიებელი (გვ. 194-197) და ვრცელი ლექსიკონი (გვ. 198-235).

„სიტყვები ლექსიკონში მოცემულია უმთავრესად იმ სახით, რა სახითაც ტექსტში გვხვდება. განმარტება კონტექსტის მიხედვითაა მოცემული, გზადაგზა მეტაფორული მნიშვნელობითაც არის წარმოდგენილი" (შემდგენელის შენიშვნიდან).

10. **გრიშაშვილი, ი. საბათნოვა.** ტფილისი. 1918 წ. 134(2) გვ.

დართული აქვს ლექსიკონი (გვ. 127-134).

11. **გურამიშვილი, დავით.** თხზულებათა სრული კრებული დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან. ტექსტი, გამოკვლევა, **ლექსიკონი** ალ. ბარამიძის და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით [მე-5 გამოცემა]. ტფილისი. 1931 წ. „ქართული წიგნის" გამოცემა LXXVIII, 348 გვ.

12. **დასტურლამალი** მეფის ვახტანგ მეექვსისა. გამოც. პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1886 წ. VIII, 204, 3 გვ.

დართული აქვს რედაქტორის მიერ შედგენილი „დასტურლამალის ლექსიკონი" (გვ. 163-192).

13. **ვისრამიანი.** ილ. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილის და პეტრე უმიკაშვილის რედაქციით. ტფ. 1884 წ.

დართული აქვს „ვისრამიანის ლექსიკონი" (იხ. გვ. 459—477).

14. **ვისრამიანი.** [მეორე გამოცემა]. ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვასი და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით. ტფილისი. 1938 წ. სახელგამის გამოცემა. 416 გვ. (ძველი ქართული მხატვრული მწერლობა).

დართული აქვს ვრცელი ლექსიკონი (გვ. 347-399) და „საკუთარი და გეოგრაფიული სახელები (გვ. 400-415).

15. **თეიმურაზ პირველი.** თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობაიას რედაქციით. თბ. 1934 წ. „ფედერაციის" გამოც. 24, 319 გვ.

შენიშვნა: ლექსიკონს უჭირავს 285-318 გვ.; მას დართული აქვს შემდეგი შენიშვნა გამომცემელ—რედაქტორებისა: „ტექსტით სარგებლობის გაადვილების მიზნით სიტყვები ლექსიკონში მოცემულია უმთავრესად იმ სახით და იმ ფორმით როგორც ეს ტექსტშია. საეროდ ლექსიკონის შედგენის დროს გამოვდიოდით იმ მოსაზრებიდან, რომ გამოცემა აკადემიურ-პოპულარული ხასიათისაა და ამიტომ ხშირად მოტანილია ისეთი სიტყვების ახსნაც, რომელთაც სხვა შემთხვევაში ადგილი არ უნდა ჰქონოდა".

16. **თეიმურაზ მეორე.** თხზულებათა სრული კრებული გიორგი ჯაკობაის წინასიტყვაობით რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ. 1939 წ. „ფედერაცია". 281 გვ.

შენიშვნა. ლექსიკონს უჭირავს 235-281 გვ.

17. **იაკობ ხუცესი.** წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი. ტექსტი, შენიშვნები და ვარიანტები ს. ს. გორგაძის რედაქტორობით. ქუთაისი. 1917 წ. თ. მთავრიშვილის და ამხ. გამოც. V, 44, (2) გვ.

წინასიტყვაობიდან: „ჩვენ შეეცადენით მიგვეწოდებინა ისეთი გამოცემა, რომ ფართო საზოგადოებამაც ისარგებლოს და არც მკვლევარ-მეცნიერნი დარჩენ უკმაყოფილონი; დაურთეთ საჭირო საისტორიო შენიშვნები,... სალექსიკონო განმარტებანი".

„საკუთარ სახელთა და შენიშვნებში განმარტებულ სიტყვათა ანბანურ საძიებელს" უჭირავს გვ. 42-44.

18. **იაკობ ცურტაველი.** მარტვილობაჲ შუშანიკისი. ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ. თბ. 1938 წ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. VIII. 063, 120 გვ. (ადრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურა).

შენიშვნა—ლექსიკონს უჭირავს გვ. 91-99.

19. **იოსებ ტფილელი.** დიდმოურავიანი. გიორგი ლეონიძის რედაქციით. თბ. 1939. სახელგამი. LXIV, 109(2) გვ.

დართული აქვს გიორგი ლეონიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი (გვ. 65-87).

20. **Кекелидзе Корн. С.** Иерусалимский канонарь VII века (грузинская версия). Тифлис. 1912 წ. VIII, 346 გვ. Изд. Архим. Назария.

იხ. ამ გამოკვლევის III თავი—პატარა ქართ.-რუს. ლექსიკონი: „Грузинский литургический словарь" (გვ. 321-342).

21. **კეკელიძე, კ. პროფ.** თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე მზურნელ მიტროპოლიტისაჲ. ტფილისი. 1920 წ. ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამოც. LXXXII, 229 გ.

დართული აქვს ძველი სიტყვების ლექსიკონი, ქართულ-რუსული (იხ. გვ. LXXII-LXXV).

22. **Кекелидзе К.** Житие Агафангела, католикоса Дамасского („Христ. Восток" т. IV, Вып. II, стр. 229-245).

მოცემულია ძველი ქართული სიტყვების განმარტებანი (იხ. გვ. 257-258).

23. **კაკაბაძე, ს.** საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. ტფ. 1920 წ. საქ. ცენტრ. კოოპ. კავშ. გამოც. № 24. II, 228 გვ.

დართული აქვს „ზოგიერთ ტერმინების ახსნა" (გვ. 228).

24. **კაკაბაძე, ს.** ქება თამარ მეფისა. ჩახრუხაული. ტფ. 1913 წ. II, 31, III გვ.

დართული აქვს ტექსტში ხმარებულ სიტყვების „ლექსიკონი" (I-II გვ.).

25. **კაკაბაძე, ს.** ქებანი დავით მეფისა დავით მწირის მიერ. ტფ. 1913 წ. IV. 30, VI გვ.

ტექსტში ნახმარი ზოგიერთი „სიტყვების ახსნა" და „საკუთარი სახელები" მოთავსებულია I-VI გვერდებზე.

26. **Марр, Н.** Древнегрузинские одописцы (Тексты и разыскания по армяно-груз. филологии. Кн. VI. СПБ. 1912 г. Изд. Фак. Вост. яз. СПБ. Университ. XII, 110, 170 стр.).

წიგნს დართული აქვს: I. Архаические и редкие слова (стр. 140-151) II. Заимствованные слова (стр. 152-163); III. Собственные имена (стр. 164-170).

ყოველ სიტყვასთან აღნიშნულია ის ლექსი, ტაეპი და სტრიქონი, რომელშიც ნახმარია ეს სიტყვა.

27. **მერჩული, გ.** შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა არქიმანდრიტისაჲ ხანძთისა და შატბერდისა. გამოც. ნ. მარრის მიერ (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. Кн. VII. СПБ- 1911 г.).

დართული აქვს ძველი ქართ. სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი.

28. **Марр, Н.** წიგნი რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან. (Тексты и разыскания по арм.-груз. филологии кн. II СПБ. 1911 г.).

დართული აქვს ლექსიკონი.

29. **Марр, Н.** Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам евангелия Марка. СПБ. 1913.

30. **მელიქსეთ-ბეგი, ლეონ.** ვეფხის-ტყაოსნის ყარაბაღული ვარიანტი („ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები", ტ. V, ტფ. 1936 წ., გვ. 201—224; იხ. აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი).

დართული აქვს ერცელი ლექსიკონი (გვ 206—224).

31. **Меликсет-Беков, Л.** Грузинский извод сказания о посте „араджавор" („Христ. Восток", т. V, вып. II, стр. 73-111).

გამოკვლევაში მოცემულია ძველი ქართული სიტყვების განმარტება (გვ. 83-84).

32. **Кипшидзе, Иосиф.** Грузинская древнелитературная хрестоматия с древнегрузинско-русским словарем. Петроград 1908. Изд. Вост. Фак. Петер. Унив. № 46, стр. VIII+82 გვ. 8°.

33. **მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის.** წიგნი 1-ელი (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. ტფ., 1938 წ., სტალინის სახ. სახელმწ. უნივერსიტეტის გამოცემა. IV, 398 გვ.

დართული აქვს: „ლექსიკონი; საფასთა სახელები; პირთა საძიებელი და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი" (გვ. 373-392).

რედაქტორის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „წინამდებარე I წიგნს არამცირედი ნაკლი ახლავს: შესავალი არ ერთვის, არც ლექსიკონი აქვს სრული. აღნიშნულ ნაკლთა ახლო მომავალში შევსების იმედი გამომცემელს მაინც აქვს: გამოცემათა დასრულებისას უკანასკნელ წიგნს დაერთვის საერთო შესავალი-გამოკვლევა. ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ც თანდათან უფრო სრული იქნება".

34. **მელიქსეთ-ბეგი, ლეონ.** სამართალი სომხური. ქართული ვერსია, შესრულებული ეახტანგ მე-VI-ის ბრძანებით. ტექსტი ლეონ მელიქსეთ-ბეგის რედაქციით. ტფ., 1927 წ., სახ. უნივერსიტეტის გამოც. XV, 253 გვ.

დართული აქვს „ქართულში იშვიათად ხმარებულ და ზოგიერთ გაუგებარ სიტყვათა ახსნა-განმარტება".

35. **ნარგიზოვანი.** XVIII საუკუნის ლირიკული პოემა. ალ. ბარამიძის რედაქციით. ტექსტი, წინასიტყვაობა, ლექსიკონი. თბ., 1936 წ.. საქ. მუზეუმის გამოცემა. 46 გვ.

ლექსიკონს უჭირავს 45-46 გვ. (შეიცავს 33 სიტყვას).

36. **ორბელიანი, სულხან-საბა.** სიბრძნე სიცრუისა გიორგი ლეონიძის რედაქციით. ტფ., 1928 წ.. „შრომა"-ს გამოცემა. CCXIV, 239 გვ.

დართული აქვს „სიბრძნე-სიცრუის ლექსიკონი და ტექსტის ინდექსი" (გვ. 189-233).

37. **ორბელიანი, სულხან-საბა.** სიბრძნე სიცრუისა. გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობით და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით. ტფ. 1938 წ. სახელგამი. 02, LXXIV, 214 გვ.

წიგნის ბოლოში მოთავსებულია ლექსიკონი (გვ. 173-198), რომლის შესახებ რედაქტორი აღნიშნავს: „წიგნი რომ ადვილად გასაგები გაგვეხადა, ძველ და ძნელად გასაგებ სიტყვების ლექსიკონი დავურთეთ".

38. **რუსთაველი შოთა.** ვეფხის-ტყაოსანი. იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. [მე-26 გამოცემა]. ტექსტი ახლად შეიმუშავა, ერცელი წინასიტყვაობა ვარიანტებით და **ლექსიკონი** საძიებლით დაურთო და გამოსცა ი. აბულაძემ. ტფ., 1926 წ., XIX, 348, 9 გვ.

39. **რუსთაველი, შოთა.** ვეფხისტყაოსანი. სარგის კაკაბაძის რედაქტორობით. მე-2 გამოცემა. გამოკვლევა, ტექსტი, **ლექსიკონი,** 19 სურათი. ტფ. 1927 წ., CXLVI. 216, XXXII გვ.

40. **რუსთაველი, შოთა.** ვეფხისტყაოსანი. პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით „შოთა რუსთაველი და მისი პოემა". თბ., 1937 წ., სახელგამის გამოც., 404 გვ.

დართული აქვს პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი (გვ. 343—393).

41. **რუსთაველი, შოთა.** ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. ტფილისი. 1937 წ. ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა. 411 გვ.

წიგნს დართული აქვს პროფ. აკაკი შანიძის მიერ შედგენილი **„ვახტანგის ლექსიკონი"** (გვ. 367—387), რომელშიც „სიტყვების ახსნა ისეა წარმოდგენილი, როგორც თვითონ ვახტანგს აქვს".

42. **რუსთაველი, შოთა.** ვეფხისტყაოსანი. თბ., 1937 წ., სახელგამი. 404 გვ. (სასკოლო ბიბლიოთეკა).

დართული აქვს ლექსიკონი (გვ. 349—399).

43. **რუსთაველი, შოთა.** ვეფხისტყაოსანი. ტფ., 1937, „შრომის" გამოცემა, 479 გვ.

დართული აქვს ს. კაკაბაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი (გვ. 433—477).

შენიშვნა 1. ვეფხისტყაოსანის სხვა გამოცემებსაც—ბროსე-ჩუბინაშვილის (1841), ჩარკვიანის (1887), დ. კარიჭაშვილის (1903), თ. მთავრიშვილის (1918)—დართული აქვს განმარტებითი ლექსიკონები.

შენიშვნა 2. ერცელი ცნობები ვეფხისტყაოსანის გამოცემების შესახებ იხ. შემდეგს ბიბლიოგრაფიულ წყაროებში:

1) თ. მაკალათია „ვეფხის ტყაოსანის გამოცემები" (ქრონოლოგიური ბიბლიოგრაფიული საძიებელი) „საქ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები"—წიგნი IV. ტფ., 1938 წ., გვ. 112—123.

ბ) „შოთა რუსთაველი ქართულ-რუსულ ენებზე" (ბიბლიოგრაფიული საძიებელი) თბილისი, 1937. სახელმწიფო სამმართველოს გამოცემა, 57 გვ.

გ) „ვეფხისტყაოსანის" კ. ჰიპინაძისეულ გამოცემაში (1934) მოთავსებული ბიბლიოგრაფია

48. **სიბრძნე ბალავარისა.** ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1895 წ., 158 გვ.

წიგნის III დამატებაში მოთავსებულია რედაქტორის „განმარტებანი ზოგიერთთა სიტყვათა" (გვ. 129—133).

45. **სიბრძნე ბალაჰვარისი.** რედაქცია, ვარიანტები და ლექსიკონი ილია აბულაძისა. თბილისი. 1937 წ., „ფედერაციის" გამოცემა. XXIII. 139 გვ.

ლექსიკონს უჭირავს გვ. 111—138.

46. **ფეშანგი.** შაჰნაზიანი. გიორგი ლეონიძის და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით. თბილისი. 1935 წ. LXXI, 220 გვ.

დართული აქვს სოლ. იორდანიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი (გვ. 204—214).

47. **ფირდოუსი.** შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ. ტფ., 1916 წ., საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების გამოც. XLI, 888 გვ.

დართული აქვს ორი ლექსიკონი- „ნასესხები და იშვიათი სიტყვები" (გვ. 791—870) და „საკუთარ სახელთა ცნებათა საძიებელი".

48. **ფირდოუსი** შაჰნამე. ქართული ვერსიები, ტ. II. თბ., 1934 წ., სახ. უნივერსიტეტის გამოცემა. 649 გვ.

დართული აქვს პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილი ვრცელი ლექსიკონი (გვ. 565—649).

49. **ქაიხოსრო** ომაინიანი. ვეფხისტყაოსნის გაგრძელება. რომანი მე-17 საუკუნისა, გ. ჯაკობაიას რედაქციით. თბილისი, 1937 წ., „ფედერაციის" გამოცემა. 150 გვ.

ბოლოში დართული აქვს ლექსიკონი (გვ. 142—150).

50. **ქართული სიტყვა—კაზმული მწერლობის ანთოლოგია.** ტომი 1. (V—XII საუკ.) რედ. ია ეკალაძის. ტფ,, 1927 წ.. VIII. 199 გვ.

დართული აქვს ლექსიკონი.

51. **ქართული მწერლობის ქრესტომათია** V—XVIII **ს. ს.** აღ. ბარამიძის რედაქციით. თბ.. 1932 წ.. სახელგამი. XVI, 187 გვ.

დართული აქვს ძველი ქართული სიტყვების ლექსიკონი (გვ. 175—187).

52. **ქილილა და დამანა.** სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფის ვახტანგისაგან. ილ. ჭყონიას რედაქციით. თ. გრ. გურიელის გამოცემა. ტფ.. 1886.

დართული აქვს „ულრმეს სიტყვათა ლექსიკონი" (გვ. 487—500).

53. **შავთელი, იოვანე.** აბდულ-მესიანი. მოსე ჯანაშვილის რედაქციით. ტფ., 1915 წ.. 78,2 გვ.

დართული აქვს ტექსტში ნახმარი სიტყვების განმარტებანი (გვ. 53—78).

54. **შავთელი.** აბდულ-მესიანი. ს. კაკაბაძის წინასიტყვაობით. თბ., 1937 წ., „ფედერაციის" გამოც., 62 გვ.

დართული აქვს „ლექსიკონი" (გვ. 53—58) და საკუთარ სახელთა საძიებელი (გვ. 59—62).

55. **შანიძე, აკ., ბარამიძე, ალ. და აბულაძე, ილ.** ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. ქრესტომათია. თბ., 1934 წ., სახელგამი, 306 გვ.

დართული აქვს ილია აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი (გვ. 251—287); ლექსიკონში „მარტოოდ იმეთი სიტყვები და გამოთქმებია აღებული, რომელიც დღევანდელი ფართო საზოგადოებისათვის ან სრულიად უცნობია, ან შეიძლება ყალბად იქნეს გაგებული“ (წინასიტყვაობიდან).

56. იგივე. მეორე გამოცემა პროფ. აკ. შანიძის რედაქციით. თბ., 1935 წ., სახელგამი, 328 გვ.

დართულ ლექსიკონს (შედგენ.—ილ. აბულაძის მიერ) უჭირავს გვ. 253—310.

67. **ჩახრუხაძე.** თამარიანი. [ს. კაკაბაძის რედაქციით]. თბ., 1937 წ., „ფედერაციის“ გამოცემა, 66 გვ.

შეიცავს „ლექსიკონს“ (გვ. 55—61) და „საკუთარ სახელთა საძიებელს“ (გვ. 63—66).

58. **ჩიქოვანი, მიხეილ.** ხალხური ვეფხის ტყაოსანი. გამოკვლევა, ტექსტები და ლექსიკონი. თბ., 1936 წ., ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, XV, 300 გვ.

დართული აქვს ლექსიკონი (გვ. 266—281)

59. იგივე. მე-2 გამოცემა, თბ., 1937 წ., უნივერსიტეტის გამოცემა. 362 გვ.

ლექსიკონს უჭირავს გვ. 268—298.

60. **ციციშვილი, ნოდარ.** შვიდი მთიები. ბარამ-გური. პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით და ლექსიკონით. თბ., 1930 წ., გამომც. „ქართული წიგნი“, XXXVI, 275, II გვ.

დართულ ლექსიკონს უჭირავს გვ. 227—247.

61. **„წიგნი სააქიმოჲ.“** ექ. ლადო კოტეტიშვილის წინასიტყვაობით და შესავალი სტატიით „მედიცინა ძველ საქართველოში. XII საუკუნე“. თბილისი. 1936 წ. გამომც. სახელგამის სამეცნიერო სექტორი. LXX, 381 გვ.

ლექსიკონს უჭირავს გვ. 299—339; იგი შეიცავს „წიგნი სააქიმოჲს“ ტექსტიდან ამოკრეფილ და ანბანზე დალაგებულ სიტყვებს (2000-ზე მეტს) ძველი მედიცინის და უმთავრესად ბოტანიკისა და ფარმაკოგნოზიის დარგებისა; არის აგრეთვე ყოფაცხოვრებისა და სხვა საერთო-მეტყველების სიტყვები.

ამ ლექსიკონის გარდა წიგნს დართული აქვს: Index medicaminum, პირთა სახელების საძიებელი და ავადმყოფობათა საძიებელი (გვ. 340-379).

62. **იადიგარ დაუდი.** ლადო კოტეტიშვილის წინასიტყვაობით და გამოკვლევით: მედიცინა ძველ საქართველოში. XVI საუკუნე. თბ., 1938 წ., სან.-ჰიგიენ. ინსტიტუტის გამომც. საქბიომედგამი. XXX, 741 გვ.

დართული აქვს: ლექსიკონი (გვ. 691—736), პირთა სახელების საძიებელი (გვ. 737) და ავადმყოფობათა საძიებელი (გვ. 738—741).

63. **ხონელი, მოსე.** ამირან-დარეჯანიანი. სარგის კაკაბაძის რედაქციით. თბ., 1939 წ., სახელგამის მხატვრული ლიტერატურის სექტორი. XIX. 184 გვ.

დართული აქვს „ლექსიკონი" (გვ. 181—182) და „საკუთარ სახელთა მაჩვენებელი" (გვ. 183—184).

64. **ჯავახიშვილი, ივ.** ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. ტფ., 1926 წ., გამომცემლობა „ქართული წიგნი". XIV, 241 გვ. ორი ტაბულით.

დართული აქვს „ტერმინების საძიებელი" (გვ. 238—240).

65. **ჯავახიშვილი, ივ.** ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი III, ნაკვეთი მეორე. ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. ტფ., 1926 წ., ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. VI, 199 გვ.

დართული აქვს ტერმინების საძიებელი.

66. **ჯავახიშვილი, ივ.** საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტ. II, ტფ., 1935, მეორე ახლად დაწერილი გამოცემა.

დართული აქვს: საკუთარ სახელთა საძიებელი (გვ. 605—620); გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი (გვ. 620—635) და ტერმინების საძიებელი (გვ. 637—704).

67. **ჯავახიშვილი, ივ.** ქართველი ერის ისტორია. წიგნი I. მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. ტფილისი. 1928 წ.

68. **ჯავახიშვილი, ივ.** ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი II. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფილისი. 1937 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა. XVI, 754 გვ.

შეიცავს უმდიდრეს ლექსიკურ მასალას, რომლის მოძებნა შეიძლება საძიებლების მეშვეობით, წიგნს რომ აქვს დართული (იხ. გვ. 629—754); ეს საძიებლებია: პირთა და გეოგრაფიულ სახელებისა, ტომობრივი სახელებისა, ენების სახელებისა, გრამატიკულ და სხვა ტერმინებისა.

69. **ჯავახიშვილი, ივ.** ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ., 1938 წ., გამომც. „ფედერაცია", 382 გვ.

შეიცავს „მუსიკის ზოგად ძველ ქართულ ტერმინოლოგია"-ს (იხ. გვ. 41—50).

70. **ჯაკობია, გ.** იოსებ ზილიხანიანის ქართული ვერსიები. კრიტიკული ტექსტი ლექსიკონისა და საძიებლის დართვით. ნაწ. I (ტექსტები). ტფ., 1927 წ. ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 11, 183 გვ.

71. **ჯანაშვილი, მოსე.** ნაშრომი. წიგნი III, ტფ., 1910 წ., 70 გვ.

ამ წიგნში ავტორს აღწერილი აქვს ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ოთხი ძველი ქართული ხელნაწერი ფაბადება (№№ 570, 51, 646 და 471). ეს აღწერილობა

თავდება ძველი ქართული სიტყვების აღხსნით, რაც ქართულ-რუსული ლექსიკონის სახითაა მოცემული (იხ. გვ. 64—70).

72. **Джанашвили, М.** Драгоценные камни, их названия и свойства (из грузинск. сборника X века) (იხ. „Сборник М. О. П. М. К., вып. XXIV. Тифлис.; 1898 г., გვ. 1—78).

73. **ჯანაშვილი, მოსე.** ქართველთა მატიანე. ტფ., 1903 წ., 165 გვ. ავტორს გამოყოფილი აქვს (იხ. გვ. 76—81) ცალკე „ქართლის ცხოვრებაში“ ნახმარი მრავალი სიტყვის განმარტება.

II. დიალექტოლოგიური ლექსიკონები

1. ხევსურული

74. **„ხევსურული მასალები“** ბესარიონ გაბუურისა, პროფ. აკ. შანიძის რედაქციით. (იხ. ქართ. საეთამეცნ. საზოგადოების „წელიწდეული“, ტ. I—II, ტფ., 1923—24 წ., გვ. 119—337).

დართული აქვს პროფ. აკ. შანიძის მიერ შედგენილი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი (გვ. 259—322).

2. ფშავური

75. **ვაჟა-ფშაველა.** [თხზულებანი] ტ. I. ლექსები. ა. აბაშელის რედაქციით. ტფ., 1922 წ., სახელგამის გამოც., XXIV, 286 გვ.

დართული აქვს პროფ. აკ. შანიძის მიერ შედგენილი „ვაჟას ლექსიკონი“ (გვ. 243—268).

76. **ვაჟა-ფშაველა.** იგივე. მეორე გამოცემა, ტფ., 1928 წ., სახელგამი, XXVII, 335 გვ. დართული აქვს „ვაჟას ლექსიკონი“.

77. **ვაჟა-ფშაველა.** [თხზულებანი] ტომი III. პოემები. ალ. აბაშელის რედაქციით. ტფ., 1930 წ., სახელგამი, 458 გვ.

დართული აქვს პროფ. აკ. შანიძის შედგენილი „ვაჟას ლექსიკონი“ (გვ. 403—445).

78. **ვაჟა-ფშაველა.** ტომი IV. პოემები. ალ. აბაშელის რედაქციით. თბ., 1932 წ., სახელგამის გამოც., 478 გვ.

დართული აქვს პროფ. აკ. შანიძის „ვაჟას ლექსიკონი“ (გვ. 449—476).

79. **ვაჟა-ფშაველა.** ბახტრიონი. პოემა. თბ., 1929 წ., სახელგამის გამოც., 72 გვ.

დართული აქვს პროფ. აკ. შანიძის შედგენილი ლექსიკონი (გვ. 57—72).

80. **ვაჟა-ფშაველა.** იგივე. მეორე გამოცემა, ტფ., 1935 წ., 70 გვ., ლექსიკონით.

81. **ვაჟა-ფშაველა.** ეთერი. პოემა. თბ., 1929 წ.. სახელგამის გამოც., 64 გვ.

დართული აქვს პროფ. აკ. შანიძის ლექსიკონი (გვ. 55—64).

82. **ვაჟა-ფშაველა.** ალუდა ქეთელაური. თბ., 1929 წ., სახელგამის გამოც., 31 გვ.

დართული აქვს პროფ. აკ. შანიძის ლექსიკონი.

83. **ვაჟა-ფშაველა.** გოგოთურ და აფშინა (ძველი ამბავი). თბ., 1929 წ., სახელგამის გამოც., 23 გვ.

დართული აქვს პროფ აკ. შანიძის ლექსიკონი.

84. **ვაჟა-ფშაველა.** იგივე. მეორე გამოცემა. თბ., 1935 წ., სახელგამი, 22 გვ. „ვაჟას ლექსიკონით" (გვ. 18—22).

85. **ვაჟა-ფშაველა.** სისხლის ძიება. პოემა [ამბავი ჩერქეზთა ცხოვრებიდან]. ტფ., 1930, სახელგამის გამოც., 48 გვ.

დართული აქვს პროფ. აკ. შანიძის შედგენილი ლექსიკონი (გვ. 42—48).

86. **ვაჟა-ფშაველა.** სტუმარ-მასპინძელი. პოემა. თბ., 1936 წ., სახელგამის გამოც., 46 გვ. დანართი: პროფ. აკ. შანიძის შედგენილი ლექსიკონი.

87 **ვაჟა-ფშაველა.** ხის ბეჭი. პოემა. ტფ., 1930 წ., სახელგამის გამოც., 31 გვ.

დართული აქვს პროფ. აკ. შანიძის შედგენილი ლექსიკონი (გვ. 25—31).

88. **ხორნაული, ვ.** ფშაური მოლექსებანი. თბილისი, 1939 წ. გამომც. „ტექნიკა და შრომა", 77 გვ.

დართული აქვს ფშაური „სიტყვების ახსნა" (გვ. 73—74).

89. **რაზიკაშვილი, თ.** ქართული ენის საუნჯის მასალად [ფშაური ლექსიკონი] (იხ. გაზეთი „ივერია", 1900 წ., №№ 127—136, 138, 140, 142, 150, 151, 153. 156, 157, 160, 161, 167 და 168).

3. მთიულური

90. **მაკალათია, ს.** მთიულეთი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. ტფ., 1930 წ., სახელგამის გამოც., 192 გვ.

დართული აქვს მთიულური „ტერმინების საძიებელი".

4. ინგილოური

91. **ჯანაშვილი, მოსე.** საინგილო (იხ. „ძველი საქართველო" ტ. II., მეოთხე განყოფილება, გვ. 51— 276).

დართული აქვს ლექსიკონი (გვ. 238—276), რომელსაც ავტორის ასეთი შენიშვნა ახლავს: „აქ აღნიშნულია არა ყველა სიტყვა, არამედ მხოლოდ ისეთები, რომელნიც საზოგადო ქართულში არ, აღარ, ანდა ცვლილებებით იხმარებიან".

92. **Шанидзе, Ак.** Рецензия на труд Джанашвили „Саингило" (об. Записки Вост. Отд. И. Р. Арх. Общ. т. XXII. Вып. 3—4. стр. 334—357. რეცენზენტს მოჰყავს „слова пропущенные в глоссарии" (ე. ი. ჯანაშვილის მიერ გამოტოვებული სიტყვები).

93. **ნინოშვილი, ეგნატე.** თხზულებანი. ტ. I, ტფილისი, 1924 წ. სახელგამის გამოც., XIII, 435 გვ.

დართული აქვს თ. კიკვაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი (გვ. 403—435), რომლის შესახებ რედაქციის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „არც ერთ გამოცემაში [ნინოშვილის ნაწერებისა] არ არის ახსნა-განმარტება **გურული** სიტყვების და ფრაზებისა, რომლებსაც საქართველოს სხვა კუთხეებში არ ხმარობენ... რედაქციამ აუცილებლად ჩასთვალა იმ სტილის აღდგენა (განსაკუთრებით გურული კილოკავის), როგორც სწერდა ნინოშვილი“ (III და X გვ.).

94. **ნინოშვილი, ეგნატე.** თხზულებათა სრული კრებული. მეორე გამოცემა სიმონ ხუნდაძის რედაქციით და შენიშვნებით. ტომი I. მოთხრობები 1888—1891. თბ., 1932 წ., „ფედერაციის“ გამოც., 390 გვ.

დართული აქვს კიკვაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი (გვ. 255—277), რომლის შესახებ რედაქცია შენიშნავს: „ლექსიკონში სიტყვები და ფრაზები ახსნილია მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ე. ნინოშვილს აქვს ნახმარი. ამის სადასტუროდ ტექსტიდან შესაფერი ადგილია ამოწერილი“.

95. **ნინოშვილი, ეგნატე.** თხზულებათა სრული კრებული. მე-4 გამოც. სიმონ ხუნდაძის რედაქციით. ტომი II. მოთხრობები, 1892—1894. თბილისი. 1932 წ. სახელგამის გამოც., 332 გვ.

დართული აქვს ლექსიკონი (გვ. 273—290).

96. **ნინოშვილი, ეგნატე.** პარტახი. ავტოგრაფიის მიხედვით გამოცემული შენიშვნებითა და ლექსიკონითურთ პროფ. აკ. შანიძის რედაქციით. თბილისი. 1935 წ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 117 გვ.

ლექსიკონი შედგენილია ქ. ლომთათიძის მიერ (უჭირავს 85—117 გვ.).

97. **ღლონტი, ალ.** გურული ფოლკლორი, ტექსტები. ნაწილი I. თბ., 1937 წ., სახ. უნივერსიტეტის გამოც., 303 გვ.

დართული აქვს ლექსიკონი (გვ. 276—292).

98. **შარაშიძე, გ.** გურული ლექსიკონი (იხ. „ქართველურ ენათა ლექსიკა.“ I გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები. თბ., 1938 წ., სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის გამოცემა, X, 164 გვ.).

შენიშვნა. გურული ლექსიკონის შესახებ წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ლექსიკონში „მოცემული მასალა სწვდება თითქმის მთელ საუკუნეს“ და რომ იგი „განირჩევა „როგორც სიტყვათა მარაგით, ისე განსაკუთრებით ფართო განმარტებებით“.

6. ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲣᲠᲘ

99. **ალავიძე, მ.** ლეჩხუმური ლექსიკონი (იხ. კრებული „ქარ-

თველური ენათა ლექსიკა“ I. გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური. თბ., 1938 წ., სსრკ. მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის გამოც., X, 164 გვ.).

„ლეჩხუმური ლექსიკონისათვის სიტყვები ჩაწერილია მშრომელთა სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორიცაა: საამშენებლო საქმე, მეჭურჭლეობა, მეაგურეობა, სოფლის მეურნეობა, ჭრა-კერვა და სხვა. სიტყვები ცოცხალ სასაუბრო ენიდანაა ჩაწერილი“ (წინასიტყვაობიდან).

7. იმერული

100. **მირიანაშვილი, პეტრე**. ქართული ენის საუნჯის მასალად. [იმერული სიტყვების ლექსიკონი] (იხ. გაზეთი „ივერია“, 1900, № 104).

101. **Грузинский (картский) глоссарий** по имерскому и рачинскому говорам. (იხ. „Материалы по Яфетическому языкознанию“. VI, стр. IV, 76).

102. **წერეთელი, გ**. ზემოიმერული ლექსიკონი (იხ. წიგნი „ქართველურ ენათა ლექსიკა. I გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები. თბ., 1938 წ., სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა, X. 164 გვ.).

8. ქართლური

103. **ძიძიგური, შ**. ქართლში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობა (იხ. „აკად. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე“, წ. II₃ თბილისი, 1937 წ., გვ. 317—324).

სტატიის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს 50-მდე ქართლში შეკრებილი სიტყვა; ავტორის თქმით, „ძირითად ლექსიკონებში ეს სიტყვები არ მოიპოვება“

104. **ა. წ**. ქართულის ენის საუნჯის მასალად [ლექსიკონი] (იხ. გაზეთი „ივერია“, 1900, №№ 194, 196, 199, 201 და 202).

შენიშვნა. ავტორი წერს წინასიტყვაობაში: „ეს სიტყვები გაგონილი მაქვს რაჭასა, ზემოიმერეთსა და ზემოქართლში და ისეა ახსნილი, როგორც ხალხში გამიგონია; აქ დავტოვე მხოლოდ ის სიტყვები, რომელნიც ლექსიკონებში არ აღმოჩნდა“.

105. **ჯანაშვილი, მ**. ქართული ლექსიკონი (იხ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., №№ 631, 636, 641, 701, 702, 704).

შენიშვნა. ამ ვრცელ წერილში მოცემულია რეცენზიები ი. ჭყონიასი („სიტყვის კონა“), დ. კარიჭაშვილის („ვეფხის ტყაოსანთან“ დართულის) და დ. ჩუბინაშვილის (ქართ.-რუს.) ლექსიკონებზე და აგრეთვე მრავალი სიტყვების განმარტება

106. **ჭყონია, ილია**. სიტყვის კონა. საბა-სულხან ორბელიანის,

დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. СПБ. 1910 წ., Издание Академии Наук. VII, 74 გვ.

9. თუშური

107. **კარიჭაშვილი, დ. და ივ. ბუქურაული.** თუშურს ლექსებში ნახმარი სიტყვების განმარტება (ლექსიკონი) (იხ. „ძველი საქართველო", ტ. II., განყოფ. მე-5; გვ. 122—129).

10. სვანური

108. **Марр, Н.** Извлечение из сванско-русского словаря (а—g, ბ—ფ). Петроград. 1922 г. VIII, 39 стр. (Материалы по яфетич. языкозн., X).

109. **Нижарадзе, И. И.** Русско-сванский словарь. Тифлис. 1910 г. 520 стр.

110. **Ониан, Арсен.** Сборник сванских названий деревьев и растений (на лашхском наречии). СПБ. 1917 (Материалы по яфетич. языкозн. VIII).

111. **ბარდაველიძე, ვ.** სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I. ახალწლის ციკლი. პროფ. აკ. შანიძის რედაქციით. თბ., 1939 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა. XV, 232 გვ.

დართული აქვს დღეობათა, სალოცავთა, ყოფაცხოვრების ტერმინებისა და საკუთარ სახელების ლექსიკონი (სვანურ-ქართული) (გვ. 193—228).

112. **ხარაძე, რუსუდან.** დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში თბ., 1939 წ., სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის გამოც., VIII, 134 გვ.

დართული აქვს „სვანურ სიტყვათა ლექსიკონი" ქართული განმარტებებით (გვ. 116—126).

11. მეგრული

113. **Кипшидзе, И.** Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. СПБ. 1914 г. (Материалы по яфетич. языкознанию, VII).

12. ჭანური

114. **Марр, Н.** Грамматика лазского (чанского) языка с хрестоматиею и словарем. СПБ. 1910 г. (Матер. по яфетич. языкозн. II).

115. **Кипшидзе, И.** Дополнительные сведения о чанском языке (Из лингвистической экскурсии в Русский Лазистан) СПБ. 1911 (Матер. по яфетич. языкозн. III).

116. **ჟღენტი, სერგი.** ჭანური ტექსტები. არქაბული კილოკავი. თბ., 1938 წ., სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოც., XXVIII, 219 გვ.

დართული აქვს ლექსიკონი, რომლის შესახებ ავტორი შენიშნავს: „ლექსიკონში შეეიტანეთ თანდართული ტექსტიდან ამოკრეფილი მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც არ შესულა შრომებში: აკად. ნ მარისა—„ლაზური (ჭანური) ენის გრამატიკა ქრესტომათიით და ლექსიკონით“ და პროფ. ი. ყიფშიძისა „დამატებითი ცნობები ჭანურის შესახებ“.

13. შერეული შინაარსის (სხვადასხვა კუთხის შემცველი) ლექსიკონები

117. **Зелинский, С. П.** Об'яснительный словарь татарских, грузинских и армянских слов, вощедших в материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского Края. Тифлис. 1889 г. VIII, 165 стр. (Приложение к своду материалов по изучению эконом. быта гос. кр. Зак. Края).

